



### გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე

გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე

ასოცირებული პროფ. დოქტორი ანრი ოხანაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა

პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი

პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი

პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

### მთავარი რედაქტორი

ასოცირებული პროფ. სამართლის დოქტორი მაკა ხოდელი (თსუ), LL.M. (ფრაიბურგი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

## პროფესორ, სამართლის დოქტორ, მერაბ ტურავასადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემა – 2

### შინაარსი

### სტატიები

#### სისხლის სამართლის მეცნიერება იენიდან

პროფესორი (ემერიტუსი), სამართლის დოქ., საპატიო დოქ. (თსუ) ჰაინერ ალვარტი, იენის ფრიდრიხ-შილერის უნივერსიტეტი

63

#### სანდრის შემთხვევის აღილის დათვალეობისა და ექსპერტიზის ჩატარების თავისებურება

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. ნინო გოგნიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

77

#### თანამოხის საფუძველზე განხორციელებული ჩხრაკის სამართლებრივი პრობლემატიკა

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. მაკა ხოდელი, LL.M. (ფრაიბურგი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

82

#### პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებაზე

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. ბესიკ მეურმიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

87

#### უფლება არასრულწლოვანთა დაპერსონალიზებული განაჩენების გაცნობაზე

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. მორის შალიკაშვილი, LL.M. (ჰამბურგი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

93

#### თანამონადილეობის საკითხი დანაშაულის მომზადების სტატიაზე

პროფესორი, სამართლის დოქ. ნონა თოდუა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

105

#### პირობითი მსჯავრის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი (საკანონმდებლო სრულყოფისათვის)

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. იოსებ ვარძელაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

112





## სარედაქციო კოლეგია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი  
ბრემენის რაიონული სასამართლოს  
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ბესტი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი  
თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე  
პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე  
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი  
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი  
LL.M. (ბერლინი)  
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი  
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე  
ადვოკატი დავიდ კონრადი  
პროფ. დოქ. ლავრენტი მალლაკელიძე  
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.  
(ფრაიბურგი)  
ასოცირებული პროფ. სამართლის დოქ.  
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)  
დოქ. ანნეკე პეტცე  
დოქ. მარტინ პიაცენა  
პროფ. დოქ. ეროლ პოლრაიხი  
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის  
დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის  
შესწავლის ინსტიტუტში, ადვოკატი დოქ. იოანა  
რინჩენანუ LL.M. (ვაშინგტონი)  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი  
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე  
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა  
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.  
(ჰამბურგი)  
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი  
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი  
ასოცირებული პროფ. დოქ. ლევან ხარანაული  
ასოცირებული პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M.  
(ფრაიბურგი)  
პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M. (მიუნხენი)  
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი  
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

## ჟურნალის 2024 წლის მეორე გამოცემის სამუშაო ჯგუფი

**თარგმანი:**  
აზა მორგოშია LL.M. (კიოლნი), ჟურნალის სამუშაო  
ჯგუფის წევრი  
სამართლის დოქ. ნინო მჭედლიშვილი, ჟურნალის  
სამუშაო ჯგუფის წევრი  
მარიამ რიჟამაძე, ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრი  
მარიკა ტურავა LL.M. (ჩიკაგო), ჟურნალის სამუშაო  
ჯგუფის წევრი  
თამარ შავგულიძე LL.M. (პასაუ), ჟურნალის სამუშაო  
ჯგუფის წევრი

## სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა, ჟურნალის  
სამუშაო ჯგუფის წევრი

## 2024 წლის მეორე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ასოცირებული  
პროფ. სამართლის დოქ. მაკა ხოდელი LL.M.  
(ფრაიბურგი), თსუ

## ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

# სისხლის სამართლის მეცნიერება იენიდან\*

პროფესორი (ემერიტუსი), სამართლის დოქ., საპატიო დოქ. (თსუ) **ჰაინერ ალვარტი**,  
იენის ფრიდრიხ-შილერის უნივერსიტეტი

## I. შესავალი

მონვევა, რომ *მერაბ ტურავას* პატივსაცემად გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალისთვის (DGStZ) სტატია დამენერა, წინააღმდეგობაში მოვიდა ჩემს გადანყვეტილებასთან, რომლის თანახმადაც იურისტთა გაზეთის (Juristenzeitung) 2023 წლის გამოცემაში<sup>1</sup> გამოქვეყნებული მოკლე ტექსტი „სისხლის სამართლის დოგმატიკის დამასვლისა და დაცემის შესახებ“ უნდა ჩათვლილიყო ჩემს საბოლოო სიტყვად სისხლისსამართლებრივ დისკუსიებში. რატომ განვაგრძო წერა ზოგად ჰერმენევტიკულ სიცარიელეში? თანხმობას, რომელიც დახურულ კარს მიღმა არის ნავარაუდები, უკვე რამდენჯერმე შემემთხვა იმ მხარისგან, რომელიც ამისკენ არის მოწოდებული, არავითარი ღირებულება არ აქვს დასაბუთებული წინააღმდეგობისგან განსხვავებით. ის არის მშიშარა და დამახასიათებელია დღევანდელი სისხლის სამართლის მეცნიერების არაპროდუქტიული სტრუქტურებისათვის გერმანიაში.

ზემოხსენებული საბოლოო სიტყვით, რომელიც იურისტთა გაზეთში გამოქვეყნდა, გადავწყვიტე – და ეს შეიძლება ახლა ცოტა წინააღმდეგობრივად ჟღერდეს – დროის ყოველგვარი ზენოლის გარეშე დამენყო ახალი მცდელობა – კვაზი *ad infinitum* – თავი მიმეძღვნა უპირველესად ფილოსოფიისა და სამართლის თეორიისადმი, ხოლო სისხლის სამართლის კონკრეტული საკითხების კვლევა, ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტისათვის, შემეჩერებინა. უჩვეულოდ დამთრგუნველი და უაღრესად სახიფათო გარემოებების გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, რომ, ისევე, როგორც გაკოტრების შემდეგ, მცდელობა უნდა დაიწყოს თავიდან, ხოლო ახალ დასაწყისს – თეორიული და პრაქტიკული

თვალსაზრისით – დრო და სივრცე უნდა მიეცეს. თავისთავად, მსოფლიოში შექმნილი ვითარების სერიოზულობისა და დროებითი პრინციპული ზენოლის მიუხედავად (ან ამ მიზეზთა გამო), უიმედობა, უკან დახევა ან თუნდაც კაპიტულაცია თავიდანვე გამორიცხებულია. მეცნიერი უკეთეს არგუმენტებს ემორჩილება, მაგრამ არ ნებდება – არც *de jure* და არც *de facto*. მან იცის, რომ მარტო ვერ გადაარჩენს სამყაროს. თუმცა მან უნდა შეძლოს, რომ საკუთარი საშინაო დავალება, რომელიც განსხვავებულ კომპეტენციათა დიფერენცირებული სისტემის ფარგლებში მის ხელთ აღმოჩნდება, საიმედოდ და ოსტატურად შეასრულოს. მისგან მეტი არ უნდა იქნეს მოთხოვნილი. მეტი მან საკუთარი თავისგანაც არ უნდა მოითხოვოს.

*ლავენტი მალაკელიძის* მიერ გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის სახელით გამოგზავნილი მონვევის შემდეგ, უმაღლესი ცხადი გახდა, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისი უნდა გამეკეთებინა. წინამდებარე სტატიით დროებით ვაჩერებ აზროვნებისა და წერის ჩემს მოდიფიცირებულ პროგრამას, რადგან იუბილარის შუამდგომლობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტს შორის პარტნიორობის ხანგრძლივი ტრადიციის ნაწილი გავხდი, მნიშვნელოვნად გავიფართოვე ჩემი ჰორიზონტი და, ასევე, მომეცა საშუალება, მქონოდა პირადი შეხვედრები, რომლებიც შორს იყო ზედაპირულ-აკადემიური ხასიათისგან. ამიტომ, თავს ვალდებულად ვგრძნობ *მერაბ ტურავას*, მასთან ერთად, ბევრი კოლეგისა და ჩვენი უნივერსიტეტების წინაშე. ქვემოთ ჩამოვთვლი მხოლოდ რამდენიმე პუნქტს, მათ შორის, ფოლკსვაგენის ფონდის (VolkswagenStiftung) მიერ მხარდაჭერილი ინტენსიური თანამშრომლობის შესახებ.

იმის ახსნა არ არის საჭირო, რომ საკუთარ თავს არასოდეს განვიხილავდი მეცნიერ-მოხელედ, არამედ კოლეგიალურ, სწავლისათვის მზად მყოფ თანამოსაუბრედ. ასევე, ცხადია, რომ ღირებულად

\* სტატია გერმანულიდან თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა, აზა მორგოშიამ.

<sup>1</sup> Alwart, Heiner, JZ (Juristenzeitung) 78 (2023) Heft 12, 560 ff.

ყოველთვის ითვლებოდა ყოველსმომცველი თავისუფლება. საუბარი იყო არა მიბაძვაზე, არამედ იმაზე, რომ პარტნიორები ერთმანეთს დახმარებოდნენ მისაღები ფორმით ეპოვათ საკუთარი. მაგალითად, უნდა აღინიშნოს, რომ *მალაკელიძის* სადოქტორო ნაშრომს წლების განმავლობაში ერთობლივად ვხელმძღვანელობდით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან – *მერაბ ტურავა*, ხოლო იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტიდან – მე.

წლების განმავლობაში თანამშრომლობა მოიცავდა უთვალავ დისკუსიას სისხლისსამართლებრივი დეტალების შესახებ, განსაკუთრებით – ზოგადი ნაწილიდან. *ტურავას*, რომელმაც დოქტორის ხარისხი *დეტლეფ კრაუსის* ხელმძღვანელობით ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში მიიღო, შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ძველი სკოლის ნებისმიერ გერმანელ დოგმატიკოსს (ან იქნებ უმჯობესია, ვთქვა: შუშის მძივებით მოთამაშეს?), მაშინაც კი, როცა საქმე ენთუზიაზმს ეხება. გარდა ამისა, ის ყოველთვის შთაბეჭდილებას ახდენს თავისი უკიდურესად თავდაჯერებული პიროვნულობითა და, არც თუ ისე ბოლოს, ორგანიზატორული უნარებით. ასე შეძლო მან, საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებში შეუფერხებლად ჩაერთო მრავალი ქართველი კოლეგა სისხლის სამართლის სფეროდან, ახალგაზრდა თუ მოხუცი, ქალი თუ კაცი. ამასთან, ყველა მონაწილე როდი იყო გერმანულ ენაზე კარგი მოსაუბრე (ისევე, როგორც მე ქართულ ან, თუნდაც, რუსულ ენაზე). სხვათა შორის, ინგლისურად ან, უფრო ზუსტად, ამერიკულად საუბრის უნარი ახლა უფრო მეტად შეიძლება იყოს გამოსადეგი, ვიდრე მაშინ, როცა ჯერაც იწყებოდა ჩვენი კონტაქტები.

ყოველთვის შეგიძლიათ, ასე პროცენტით ენდოთ *ტურავას*, მის პროფესიულ ხმას, მის ადამიანისადმი კეთილგანწყობილ გონიერებასა და სიბოხს, მის იუმორს, ისევე, როგორც მის ბუნებრივ ავტორიტეტს. სისხლის სამართლის პროექტებთან დაკავშირებული ურთიერთგაცნობის გზით, *ad oculos* გამოჩნდა, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა და აკადემიური თავისუფლება ძალიან მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან ისე, რომ სახელმწიფო-საზოგადოებრივ წესრიგში მხოლოდ ორივე ერთდროულად რეალიზდება ან არც ერთი. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ სანამ მე ასაკთან დაკავშირებული პრივილეგიებით ვსარგებლობ, *ტურავა*,

მათ შორის, მომავალშიც შეძლებს, დარჩეს თავისი მკაფიო პოზიციის ერთგული და შეინარჩუნოს დისტანცია მიუკერძოებელ პროფესიულ საქმიანობასა და სამართლებრივი სახელმწიფოს სანინააღმდეგო პოლიტიკური ზემოქმედების ნებისმიერ მცდელობას შორის მის ამჟამინდელ პოსტზე უმაღლეს სასამართლოში, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ. სამართალსა და პოლიტიკას შორის ურთიერთობას მრავალი ასპექტი აქვს. ეს ცალკე თემა იქნებოდა.

## II. გარდამტეხი მომენტის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პრობლემების გაცნობიერებისათვის

სულ რამდენიმე წელიწადში დრო ძირეულად შეიცვალა. აზროვნება კოჭლობით უკან ჩამორჩება. გულუბრყვილობა უფრო უადგილოა, ვიდრე ოდესმე. აგვისტოს ხანმოკლე ომი, რომელიც კავკასიაში 2008 წელს მოხდა,<sup>2</sup> უნდა განიხილებოდეს, როგორც გამოსაფხიზლებელი სიგნალი ისეთი კონფლიქტის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რომელიც ბოლო დროს მძვინვარებს, განსაკუთრებით, უკრაინაში, ევროპის შუაგულში. მაგრამ ომი, ნგრევა და სისასტიკე ასევე ხდება ევროპის კართან, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში, იმ მასშტაბით, რაც აქამდე ძნელად თუ იყო წარმოსადგენი. ყოველთვის, როცა თეორიულად გადამწყვეტი მომენტი დგება, საერთაშორისო სამართალი და განსაკუთრებით საერთაშორისო სისხლის სამართალი პრაქტიკაში ქალაქის ვეფხვის უვნებლობას ავლენს.

ნებისმიერ შემთხვევაში, საერთაშორისო „სამართალს“ ძნელად თუ შეუძლია, წინ აღუდგეს მტკიცე, ძალადობრივ, თუნდაც მკვლელ და არაკეთილსინდისიერ, ნაციონალისტური ინტერესებისა და ძალაუფლების პოლიტიკას. ის თვინიერია, დღე-

<sup>2</sup> შედ. ამასთან დაკავშირებით, გაურკვეველობა, რომელიც გამოვლინდა სამართლებრივი და სოციალური ფილოსოფიის საერთაშორისო ასოციაციის გერმანული სექციის კონფერენციაზე, 2008 წლის 24-დან 26 სექტემბერამდე, თიუბინგენში, ჩემს პრეზენტაციაზე. ის გამოქვეყნებულია ორი სათაურით: „Das Recht im Fokus von Philosophie, Politik und juristischer Praxis“ და „Kontingente Gerechtigkeit“, ჟურნალში *Kühl, Kristian* (Hrsg.), ARSP (Archiv für Rechts- und Sozialphilosophie) Beiheft 126, 2011, 5 (Inhaltsverzeichnis), 53 ff. (Abdruck des Vortragstextes).

სასწაულზე წარმოთქმულ სიტყვას უფრო ჰგავს, ვიდრე სავალდებულო რეგულაციას და შელოცვის პათეტიკურ ფორმულად გადაქცევა ემოქერება. საერთაშორისო პოლიტიკური რეალობა, სავარაუდოდ, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დიდი სახელმწიფოების მიერ გავლენის სფეროების მიმართ დაყენებული მოთხოვნებით უნდა განისაზღვრებოდეს, ვიდრე გრძელვადიანი სამშვიდობო წესრიგის იდეალისტური რწმენით. მცდარი ისტორიული დასკვნები და ხელშესახები ეკონომიკური მიზნები აშკარად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ადამიანის უფლებების კონსტრუირებული ონტოლოგია. თუ როგორ შეიძლება, ერთ დღესაც გარემო შეიცვალოს, მინიშნებითაც არ არის განჭვრეტადი. უპირველეს ყოვლისა, იმით უნდა დავიწყოთ, რომ ფაქტები და უფარავად ვალიაროთ და მათგან გამომდინარე გავაგრძელოთ ფიქრი.

ყველა კონკრეტული ასპექტი დაჩრდილულია ნაცნობი, მაგრამ ხშირად მაინც ჩახშობილი კარდინალური პრობლემებით, რომლებიც დაკავშირებულია ექსტრემალურ გლობალურ დათბობასთან. ადამიანის ხელით შექმნილი კლიმატის ცვლილება, რომლის შესახებაც ახლა, ერთი შეხედვით, ყველას საუბრობს, უკვე ათწლეულების განმავლობაში იჩენს თავს სათანადო პასუხების ძიების, აღმოჩენისა და მათი განხორციელების გარეშე. გლობალური კატასტროფა, რომლის შიში დღესდღეობით არსებობს, ყველაფერ ადამიანურს წერტილს დაუსვამს. ამიტომ შეკითხვა უნდა დაისვას, არის თუ არა ჯერ კიდევ საკმარისი დრო იმისათვის, რომ ძველი სტილით გაგრძელდეს სამართლებრივი დებატები და არა ის, რომ ყველაფერი ისედაც უშედეგო იქნება. უმეტესობა, რა თქმა უნდა, არ დაიმსახურებდა რაიმე სხვას, გარდა დავიწყებისა (მაგრამ ვინ უნდა იყოს აქ მოგვიანებით, რომ შეძლოს რალაციის დამახსოვრება ან დავიწყება?). იმის თქმა, რომ ომები, მიუხედავად მათი საშინელი დამანგრეველობისა, გარკვეულწილად ფერმკრთალდებიან კლიმატური ცვლილებების სულ უფრო კონკრეტულ გამანადგურებელ პოტენციალთან შედარებით, ისეთი განცხადებაა, რომელიც, ერთი შეხედვით, უკიდურესად უცნაურად გამოიყურება, მაგალითად, მილიონობით სასტიკი სატელევიზიო სურათის გათვალისწინებით.

მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ მხოლოდ მოახლოებული საბოლოო დაცემის რეალურ გააზრებას შეიძლება მოჰყვეს შედეგად აზროვნების, საუბრი-

სა და მოქმედების კოორდინატთა სისტემის თანმიმდევრულად შეცვლა და ახლებურად განლაგება. დღესდღეობით, ცხოვრებისეული პროცესების ინტერპრეტაციისა და მათგან ცალკეული მეცნიერული შეკითხვების მიღების ფილოსოფიური მცდელობები თავიდანვე უაზროა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ადამიანი აშკარად არა თუ ერიდება თანდათანობით დათმოს თავისი არსებობის ფიზიკური სუბსტანცია, არამედ რეალურად ამის კეთება დაიწყო კიდევ. როგორ უნდა შეძლოს, მაგალითად, სამართლებრივმა კულტურამ, როგორც არ უნდა იყოს ის დეტალებში, გვაჩვენოს წარმატებული მომავლისკენ მიმავალი გზა? როგორ უნდა იყოს ეს შესაძლებელი, თუ ჩვენ მზად არ ვართ, გავაგრძელოთ საკუთარი თავის ერთგულება? ან იქნებ უკვე დიდი ხანია – შერჩევით და, რა თქმა უნდა, დიდწილად შეუმჩნევლად – ვაჩვენებთ უარესი ბარბაროსობის აშკარა ნიშნებს? თავისთავად, ცივილიზაციას ემოქერება ტოტალური დანაკარგის საფრთხე, თუ, მაგალითად, ტექნოლოგიური „პროგრესი“ შეეგუება იმ აზრს, რომ, ადრე თუ გვიან, შეიძლება, დედამიწა ადამიანებისთვის საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდეს.

ეს საკითხი აჩენს შეკითხვებს, რომელთა დეტალური განხილვა შეუძლებელია წინამდებარე სტატიის მოკრძალებულ ფარგლებში. მიუხედავად ამისა, მათ ნათელი უნდა მოჰფინონ, თუ მიმდინარე დრამატულ ფონზე რატომ უნდა ჩანდეს უცნაურად, რომ საგნობრივი დისკურსი, რომელიც, მაგალითად, შესაბამის ჟურნალებში ან სამართლებრივი პრაქტიკის შესაბამისი ღონისძიებების ფარგლებში ან თუნდაც ძირითადი კანონის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ზეიმზე პოულობს გამოსატყულებას, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ შესაძლებელია, ზედმეტი აურზაურის გარეშე ყველაფერი ძველებურად დარჩეს, რომ ჩარჩოებს არსებითი ცვლილება არ ესაჭიროება, რომ აზროვნების ძველი სტრუქტურები და მათი იდეოლოგიური ქვაკუთხედები, რომლებსაც ადამიანები ასე სიამოვნებით და წარმატებით შეეჩვივნენ, კვლავაც სასარგებლოა.

როგორც ჩანს, ზოგიერთი თვლის, რომ, ტრადიციულ სტანდარტებზე დაყრდნობით, ექსპერტებს – მაგალითად, ძირითადი უფლებების დებულებებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, ავტომობილების გადაჭარბებული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული მჯდომარე აქციების სისხლისსამარ-

თლებრივი დევნის,<sup>3</sup> ან, ასევე, ორგანიზებული დანაშაულის, რომელთა ჩადენა ახალი თაობის აქტივისტებს შეერაცხებათ, კლიმატის დაცვის მიზნით შეკრების თავისუფლების ფარგლების და ა.შ. – ამ ყველაფრის ჩვეულებისამებრ უგულვებელყოფა შეუძლიათ. მაგრამ რადიკალურად ხომ არ შეცვლილა გარემოებები ახლა, კერძოდ, ამბიციური და აუცილებელი გარემოსდაცვითი მიზნების (დროებითი) წარუმატებლობის შემდეგ? განა ყველაფერი დღითიდღე არ უარესდება?

მასშტაბურმა საზოგადოებრივმა ცვლილებებმა რეალურად უნდა გამოიწვიოს სამართლებრივი სისტემის კონცეპტუალური ცვლილებები. ამჟამად სერიოზული კონფლიქტები გამწვავდა, რომლებიც არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს იგნორირებული, თუ აზროვნება გათავისუფლდება ლეთარგიისგან და შესაბამის კონტროლებს შეიმუშავებს. თუმცა, როგორც ეს შემდგომ თავებში იქნება ნაჩვენები, ამკარაა შესაბამისი მეთოდების ნაკლებობა, რათა მოთხოვნები გარკვეულ მოცულობამდე მაინც დაკმაყოფილდეს. როგორც აღინიშნა, შემოთავაზებული სამართლებრივ-თეორიული კავშირის სახე შესაძლოა წარმოდგენილი იყოს, როგორც მაგალითი წინამდებარე სტატიის ფარგლებში, თუმცა რეალობაში ვერ განხორციელდეს. ეს მოითხოვს ბევრად უფრო შორს წასვლას ფილოსოფიაში, ვიდრე ეს ამ ეტაპზე შესაძლებელია ან აზრი ექნებოდა.

სპეციალიზირებული ლიტერატურა გარეგნულად მაინც მაცდუნებლად გამოიყურება – შესაბამისი წიგნის ბეჭდური გამოსახულებით – თუმცა მისი შინაარსი ძველდება. ამას ვერანაირი მარკეტინგი ვერ დამალავს. განსაკუთრებით სისხლის სამართლის სახელმძღვანელოები განიცდიდნენ ათწლეულების განმავლობაში ინოვაციების ნამდვილ დეფიციტს (იმდენად, რამდენადაც ჯერ კიდევ შეიძლება საუბარი „სახელმძღვანელოებზე“ თავდაპირველი გაგებით). ერთხელ და სამუდამოდ შეიძლება მათი დალაგება უნივერსიტეტების ბიბლიოთეკათა

საწყობებში. ამავდროულად, შეინიშნება სასამართლო პრაქტიკის სიცარიელე, რომელიც უბრალოდ იმეორებს იგივე მოძველებულ შეხედულებებს. ამის საპირისპიროდ, ბერლინ-ბრანდენბურგის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ცოტა ხნის წინ უარყო სამართლებრივი პრაქტიკის ტიპური კონსერვატიზმი. კერძოდ, შემთხვევითი არ იყო, რომ მან ფედერალურ მთავრობას დააკისრა პასუხისმგებლობა, რომ კლიმატი – რაც საბოლოოდ გულისხმობს ინდივიდისა და მისი შთამომავლობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას – იმაზე უკეთ დაიცვას, ვიდრე აქამდე.<sup>4</sup>

სასამართლო გადაწყვეტილებების გავლენა, რომლებშიც პრობლემა მსგავსად არის დანახული, სულ უფრო მრავალრიცხოვანი და პოლიტიკურად გავლენიანი ხდება მთელ მსოფლიოში.<sup>5</sup> საფიქრალია, შეიძლება თუ არა, მაგალითად, ინდივიდუალურ პროტესტს გარემოს დაცვის აქტივიზმის ფარგლებში სამართლიანად დაუპირისპირდეს იძულება და სანქციები. ჩემი გადმოსახედიდან, მაგალითად, თუ პირი თავს სამოქალაქო აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე მიიწვება, რაც ხორციელდება საერთაშორისო აღელვებისა და დიდი ყურადღების ქვეშ, უნდა ჩაითვალოს არა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად, არამედ ქმედებად, რომელზეც შესაძლოა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუმცა შედეგად არავითარ შემთხვევაში არ უნდა დადგინდეს სისხლისსამართლებრივად დასჯადი წესის დარღვევა. ცხადია, პოლიცია უნდა ჩაერიოს და აქციის მონაწილეებმა ეს უნდა გაითვალისწინონ. მაგრამ სამართლებრივი სისტემა, რომელიც საკმარისად არ იცავს გადარჩენის ინტერესს და შესაბამისად, ახალგაზრდა ადამიანებს ართმევს გამბედაობას, მოემზადონ სამოქალაქო პროფესიებისთვის, მომავალზე ორიენტირებულებმა შექმ-

<sup>3</sup> ასეთი ბლოკადები არაძალადობრივია და უმაღლესი ინსტანციების მოძველებული და არასწორი სასამართლო პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, არ უნდა ჩაითვალოს სისხლისსამართლებრივად დასჯად იძულებად. ამის მაგალითად იხ. (დიდი ხნის წინანდელი) *Schmidhäuser, Eberhard, Strafrecht, Besonderer Teil, 2. Auflage, 1983, Rn. 4/4, 15*. ძალადობა მოითხოვს უშუალო ფიზიკურ ზემოქმედებას მსხვერპლზე; წინააღმდეგ შემთხვევაში გაჩნდებოდა იძულების ქმედების შემადგენლობის ყოველგვარი კონტურების გარეშე გაფართოების რისკი.

<sup>4</sup> წყარო ინტერნეტში: <https://rsw.beck.de/aktuell/daily/meldung/detail/ovg-berlin-brandenburg-gericht-verpflichtet-regierung-zu-zusaetzlichen-klima-massnahmen> (ბოლოს ნანახია 24.10.2024).

<sup>5</sup> სულ ახლახანს მედიამ გაავრცელა ინფორმაცია საერთაშორისო საზღვაო სამართლის ტრიბუნალის მიერ მსოფლიო ოკეანის მდგომარეობის შეფასების შესახებ. შეფასების მიხედვით, სატბურის აირები იწვევს ოკეანეების სამართლებრივად დაუშვებელ დაბინძურებას (შედ. ჟურნალი „Die Zeit“ 2024 წლის 23 მაისი, გვ. 29). როგორც ცნობილია, საზღვაო სამართლის ტრიბუნალი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინსტიტუტი და მდებარეობს ჰამბურგში.

ნან ოჯახები და მოუთმენლად ელოდონ საკუთარი შთამომავლობის ყოლას, განიცდის ლეგიტიმაციის მნიშვნელოვან დეფიციტს. ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მოულოდნელად, შესაძლოა, სიკეთემ და ბოროტებამ ადგილები გაცვალონ.<sup>6</sup> მაგრამ ეს, იმედია, ჯერ კიდევ შორს არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე აშკარა იქნებოდა, რომ მემამბოხე ძალები სახიფათოდ უახლოვდებიან ანარქიული კრიზისების სოციალურ ჩარჩოებს. ნებისმიერ შემთხვევაში, საბედისწერო იქნება, თუ ბევრი გამოსაფხიზლებელი სიგნალი იგნორირებული დარჩება ან ჩანასახშივე ჩაქრება ძალაუფლების მოუქნელი გამოყენებით. არ შეიძლება, უგულებელვყოთ, რომ მომავალში გარემოებათა ზენოლა შესაძლოა უფრო გაიზარდოს.

მომდევნო თავებში უნდა დაისვას შეკითხვა, საკუთარი ძირითადი კომპეტენციის ფარგლებში, ფლობს თუ არა სისხლის სამართლის აკადემიური მეცნიერება შესაფერის მეთოდოლოგიურ და კონცეფციურ საშუალებას, რომელიც შეძლებდა კლიმატის ცვლილების მცირედით მაინც შეჩერებას, გარდამტეხი მომენტის ახლიდან ჩამოყალიბებაში ნვლილის შეტანას, და საერთოდ რაში მდგომარეობს ეს საშუალებები. თავიდანვე გამორიცხულია საუბარი სისხლის სამართლის გამოყენებაზე თანამედროვეობის ან პოსტმოდერნიზმის ეგზისტენციალური პრობლემების გადასაჭრელად. მაგრამ ფუნდამენტურმა, ხშირად სახელმწიფოს დანაშაულების ცოდნით გამყარებულმა სკეპტიციზმმა რეპრესიული საჯარო ძალადობის წინააღმდეგ – საერთო კეთილდღეობისთვის – არ უნდა გადაიყვანოს თანამედროვე სისხლის სამართლის კონცეპტუალიზაციისა და თეორეტიზაციის პროცესი თამაშგარე მდგომარეობაში. ამ სკეპტიციზმმა, რომელიც პრინციპში სრულიად გამართლებულია, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ იურიდიულმა ფაკულტეტებმა, რომ აღარაფერი ვთქვათ სამართლის პოლიტიკის აქტორებსა და მართლმსაჯულების წარჩინებულ მოხელეებზე, ერთი მხრივ, აზროვნების ჩამოყალიბებისადმი მიმართული პედაგოგიკის „წარსულის დაძლევის“ ან მეორე მხრივ, უფრო ბანალურად, მოდური მეორეხარისხოვანი ნვრილმანების (მაგალითად, გენდერული ნიშნების-

<sup>6</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. Alwart, Heiner: <https://www.nzz.ch/wissenschaft/klimaaktivisten-wenn-es-um-den-kampf-um-die-natur-geht-ld.1779632> (ბოლოს ნანახია 24.10.2024).

გან თავისუფალი ენის დადებითი და უარყოფითი მხარეები) მიმართ იგრძნონ თავი ვალდებულად. ეს არ იქნებოდა სწორი თემები და მასშტაბები. მნიშვნელოვანია, რომ მომავალმა და სიცოცხლის გაგრძელებაზე თანახმა მომავალმა თაობებმა უკომპრომისოდ მიუძღვნან თავი ანმყოსა და მომავლის რეალური პრობლემების მოგვარებას და არა დაუსრულებელ ფსევდოდებატებს მედიაში.

იმით, რომ საერთაშორისო ადგილის განსაზღვრის მიზნით, ენის სისხლის სამართლის მეცნიერებას გარკვეული ოპტიმიზმით (გადაჭარბებული ლოკალური პატრიოტიზმის გარეშე) ცენტრში ვაყენებ, ყოველ შემთხვევაში, იმდენად, რამდენადაც მასზე ენის უნივერსიტეტში ჩემი აქტიური დროის განმავლობაში 1995-დან 2017 წლამდე და დღესაც მის თანმდევ შედეგებზე მე ვარ პასუხისმგებელი, ვენდობი *მერაბ ტურავას* ინტერესებს. წინამდებარე სტატიას არ აქვს პრეტენზია სრულყოფილებასა თუ ექსკლუზიურობაზე. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, არ უნდა გაჩნდეს გაუგებრობები.

### III. „ალვარტი და მისი იენური სკოლა“

ზემოთ მოყვანილი სათაური პასაჟია *კლაუს ტიდემანის* სახელმძღვანელოდან.<sup>7</sup> სისხლის სამართლის სწავლების „იენურ სკოლად“ *ტიდემანისეული* იდენტიფიცირება უკავშირდება სისხლისსამართლებრივი უმართლობის გაფართოებული კონცეფციის (სხვაგან უფრო ვიწროდ განიმარტება<sup>8</sup>) ადგილობრივ განვითარებას. ჩემ მიერ მხარდაჭერილი მოდელი ავსებს სამართლებრივი სიკეთის დოგმას და განსაკუთრებით უსვამს ხაზს ეკონომიკურ დანაშაულებში ქმედების უმნიშვნელობას (Aktunwert), რასთან დაკავშირებით *ტიდემანიც* ამახვილებს ყურადღებას.<sup>9</sup> მას დასადასტურებლად მოჰყავს ჩემი ნაშრომები<sup>10</sup>, ასევე, *კრისტინა გაისლერისა* და *ანია ნოკელის* მონოგრაფიები<sup>11</sup>.

<sup>7</sup> Tiedemann, Klaus, Wirtschaftsstrafrecht, Einführung und Allgemeiner Teil, 4. Auflage, 2014, Rn. 156.

<sup>8</sup> მაგალითად, *თომას მაიერის* მცდელობის მოძღვრებაში; იხ. რამდენიმე აბზაცით ქვემოთ.

<sup>9</sup> Tiedemann, Klaus, Wirtschaftsstrafrecht, Einführung und Allgemeiner Teil, 4. Auflage, 2014, Rn. 156 ff.

<sup>10</sup> Alwart, Heiner, JZ 61 (2006) Heft 11, 546 ff.; Alwart, Heiner, in Festschrift für Harro Otto, 2007, S. 3 ff.

<sup>11</sup> Geißler, Christina, Strukturen betrugsnahe Tatbestände,

სისხლისსამართლებრივი უმართლობის თეორიის ამ მარტივ მაგალითზე ნათელი ხდება სისხლის სამართლის მეცნიერების დევიაცია, რომელიც ფიქრობს, რომ მას შეუძლია გაუმკლავდეს საკითხს ფილოსოფიური (ან პროტო-სისხლისსამართლებრივი<sup>12</sup>) საფუძვლის გარეშე. მართალია, *გიუნტერ იაკობსი* აღიარებს, რომ მას სურს დაეყრდნოს სამართლის ფილოსოფოსისა და სისხლის სამართლის მეცნიერის, *ჰანს ველცელის*, შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, სისხლის სამართალმა „პოზიტიური სოციალ-ეთიკური ქმედების მნიშვნელობა“ უნდა დაიცვას.<sup>13</sup> მაგრამ რამდენიმე წინადადების შემდეგ ის ცალსახად აცხადებს, რომ ძირითადი ცნებები, როგორებიცაა ბრალი და ქმედება – წინარესამართლებრივ სტრუქტურებში მათი გამყარების მისაღები ხერხის არარსებობის გამო – გარდაუვალად იქცევა არაარსებით, მეცნიერული ეთიკისგან დაცლილ ცნებებად, უბრალო ლოგოგრამებად, „რომელთა შესახებაც არაფერი შეიძლება ითქვას სისხლის სამართლის ამოცანის გათვალისწინების გარეშე“; თავად „სუბიექტიც“, რომელსაც ის შეეარაცხება, სრულად ფუნქციონალური სიცარიელე აღმოჩნდება.<sup>14</sup>

თუმცა ამ გზით მოქმედება ნიშნავს სისხლის-სამართლებრივი წესრიგის გახსნას მეტისმეტი პოლიტიზებისათვის, შესაბამისად, მის დასუსტებას და მეტ-ნაკლებად თვითნებობისთვის დაქვემდებარებას. ამის ნაცვლად, სისხლის სამართალი, სულ მცირე, სანყისშივე მყარად უნდა იყოს გამაგრებული ზემდგომი პერსპექტივიდან საზოგადოების ინტელექტუალურ ჰორიზონტზე.<sup>15</sup> გარდა ამისა, პრო-

ტო-სისხლისსამართლებრივი კატეგორიები უნდა გაფართოვდეს და დაკონკრეტდეს ტელეოლოგიური მოსაზრებების საფუძველზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სოციალურ სინამდვილესთან<sup>16</sup>, მაგალითად, კლიმატური ცვლილებებით გამოწვეულ განსაკუთრებულად საფრთხისშემცველ განვითარებასთან, ცხადად სტრუქტურირებული სამართლის თეორიისა და პრაქტიკის მოთხოვნებით დაპირისპირება, მასზე ზემოქმედება და გაუმჯობესება. აშკარაა, რომ ამ არსებითი, მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელებისათვის სისხლის სამართლის მეცნიერებამ შესაბამისი ფონი ან საბაზისო ფილოსოფია უნდა მონახოს, რაც უფრო მეტია, ვიდრე, მაგალითად, განცალკევებული, მუდმივი ჟღერადობის კლასიკური ციტატების ნასწავლი სერია.

მხოლოდ სისხლის და სამოქალაქო სამართლის დოქტრინები არ ვარაუდობენ, რომ მაშინაც კი შეიძლება რაიმეს თქმა ისეთი სიტყვების ზოგადი მნიშვნელობის შესახებ, როგორებიცაა „ბრალი“, „განზრახვა“, „საკუთრება“, „მცდელობა“, „ქმედება“, „სასჯელი“ და ა.შ. – კონცეპტუალური, წინარესამართლებრივი ვალდებულების მნიშვნელობით – როცა საგნის ექსპერტის თვლით არ შევხედავთ სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის ამოცანებს, რასაც აშკარად ითხოვს *იაკობსი*. ყოველდღიური სასაუბრო ენა, არაპროფესიონალის მოკრძალებული ჰორიზონტი და გულწრფელი მორალური გამძაფრება, რომლებიც ზემოხსენებულ სიტყვებს ემსახურებიან, საერთო ჯამში, არ შეიძლება, ამ თუ სხვა გამოხატულებით სრულიად სხვა ცნებებს გულისხმობდნენ, ვიდრე იმათ, რომლებიც მუშავდება და კონტროლდება სამართლებრივ-დოგმატიკურ კონტექსტში. ის ფაქტი, რომ სფეროსათვის დამახასიათებელი კონტექსტი ზოგჯერ ახლოს არის ყოველდღიური სასაუბრო ენის ჩვეულებრივ მნიშვნელობასთან, ხოლო ზოგჯერ შორდება მას, საიდუმლო კი არა, განსაკუთრებული სახის დახვეწილი საკომუნიკაციო გამოწვევაა.

თავად სამართლის ცნებაც ექვემდებარება ყოველდღიური გონივრულობის გამოცდას. მხოლოდ

2011; *Nöckel, Anja*, Grund und Grenzen eines Marktwirtschaftsstrafrechts, 2012.

<sup>12</sup> სამწუხაროდ, ეს კონცეფცია არ არის სრულყოფილად გაგებული *Renzikowski, Joachim*, GA (Goldammer's Archiv für Strafrecht) 167 (2020) Heft 3, 160 ff. უფრო დეტალურად პროტო სისხლის სამართლის ტერმინთან და კონცეფციასთან დაკავშირებით იხ. *Alwart, Heiner*, in JRE (Jahrbuch für Recht und Ethik), Band 11, 2003, 127 ff.

<sup>13</sup> *Jakobs, Günther*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 1. Auflage, 1983, S. V, დამონებულია *Welzel, Hans*, Das Deutsche Strafrecht, 11. Auflage, 1969, S. 2.

<sup>14</sup> შედ. *Jakobs, Günther*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 1. Auflage, 1983, S. V.

<sup>15</sup> რაც შეეხება ბრალის ცნებას, ის არ შეიძლება მხოლოდ ფილოსოფიურ ანალიზთან კავშირის ან თუნდაც იდეალისტური სპეკულაციების საკითხი იყოს. პირიქით, თეორიის ნებისმიერი შესაბამისი განვითარება ნეირო-

მეცნიერულ ცოდნასთან უნდა იყოს შედარებული. ეს საკითხები არ უნდა შეფასდეს ისე, რომ სისხლის სამართლის სპეციალისტები საკუთარ თავთან და ფანტაზიებთან განმარტოვდნენ. იხ. *Hallmann (verh. Hoppe), Amina*, Gebundene Freiheit und strafrechtliche Schuld, 2017.

<sup>16</sup> შედ. *Jakobs, Günther*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 1. Auflage, 1983, Rn. 1/8.



ამ შემთხვევაში შეიძლება ეს ცნება, შეასრულოს ზოგადი სახელმძღვანელო ფუნქცია „სამართლის“ სახელით სახელმწიფოს იძულებითი ბრძანების გაგებისა და აღსრულებისთვის.

## 1. განზრახვა

კავშირი, ერთი მხრივ, ენას, ფილოსოფიას, ქმედების თეორიასა და, მეორე მხრივ, სისხლის სამართლის დოგმატიკასა თუ იურიდიულ ტერმინოლოგიას შორის, ნაჩვენები იქნება ქვემოთ, განზრახვის კონცეფციის მაგალითის გამოყენებით. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვხვდებით მრავლობით რიცხვს, მაგალითად, ამ ლამაზ გამონათქვამში: „ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა მოკირწყლულია კეთილი განზრახვებით“. ამ წინადადებაში „განზრახვა“ გამოყენებულია, როგორც „ზრახვის“ ან „გადაწყვეტილების“ სინონიმი – მან, ასევე, შესაძლოა ხაზი გაუსვას უფსკრულს, რომელიც სასურველი ქმედების ფარგლებში მაშინ წარმოიშობა, როდესაც ბოროტი ჯოჯოხეთური საქმეები შეიძლება მხოლოდ ფარისევლური კეთილი ზრახვების საფარქვეშ განვითარდეს. ასეთი თავისებურებები არ ცვლის „განზრახვის“ გამოყენების სხვადასხვა ხერხების გვარეობით მსგავსებას.

ეს მიუთითებს პროტო-სისხლისსამართლებრივ სიტყვათა მარაგზე, რომელსაც, უპირველესად, განეკუთვნებიან „ნება“ და „მოტივი“ – რომელთა გამოყენებაც ყოველთვის შეიძლება ადამიანის ქცევის შინაგანი მამოძრავებელი ძალის მეტაფორად. აშკარაა, რომ ამით, სულ მცირე, ნაჩვენებია სისხლის სამართლის შესაბამისი ცნების შემუშავების ამოსავალი წერტილი. ნაგულისხმევი პროტო-სამართლებრივი საფუძველი გაგრძელებას პოვებს დეტალურად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მეშვეობით, სასჯელის არსისა და მიზნის გათვალისწინებით. მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ სიტყვებსა და ცნებებზე „სისხლის სამართლის ამოცანის გათვალისწინების გარეშე“ (*იაკობსი*) აბსოლუტურად არაფერი შეიძლება ითქვას, შეუსაბამო გაზვიადებაა. ეს მით უფრო გასაოცრად გამოიყურება მაშინ, როდესაც *იაკობსი* სხვაგან ამტკიცებს, რომ შესაბამის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი რეაქციიდან გამომდინარე, ჩნდება სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქცევის ნორმათა „კოგ-

ნიტური საძირკველი“.<sup>17</sup> ამოსავალი დებულების თანახმად, ყველას გაგებით, კავშირი უკვე გამწყდარი უნდა იყოს.

*იაკობსი* არავითარ შემთხვევაში არ არის მართო თავისი ორიგინალური თეზისით, რომ სისხლის სამართლის მეცნიერება არა მხოლოდ უნდა გამოირჩეოდეს ყოველი ჰუმანიტარული მეცნიერების პერსპექტივიდან, არამედ უნდა გამოეყოს მათ. *უინფრიდ ჰასემერი*, მაგალითად, ამტკიცებს, რომ სისხლის სამართალს აქვს „თავისუფლების, პასუხისმგებლობისა და ბრალის საკუთარი კონცეფცია“.<sup>18</sup> თუ ეჭვქვეშ დადგება ეს უცნაური ფორმულირება, რომელიც იურისტების ერთგვარ მონოპოლიად უღერს, წარმოიქმნება ორი შესაძლებლობა ინტერპრეტაციისთვის: იურისტ *ჰასემერს* სურს, აკრძალოს ნებისმიერი „გარე“ კრიტიკა და სხვებისგან იზოლირება შეაფასოს, როგორც უპირატესობა და მნიშვნელობა ან ვარაუდის უკან დგას *ჰასემერის* მხრიდან, სულ ცოტა, ყოველდღიური მიკრო სისხლის სამართლის ფუნდამენტური უარყოფა (ალბათ არა მაღალი დოზით პოლიტიკური საერთაშორისო სისხლის სამართლის უარყოფა შერჩეული მაკროკრიმინალების წინააღმდეგ).

მაშინ *ჰასემერის* მიერ გავლენილი ფრანკფურტის ხაზი ნიშნავს, რომ „სისხლის სამართლის საკუთარი კონცეფცია“ არ უნდა იქნეს მეცნიერული პერსპექტივიდან სერიოზულად მიღებული. უმჯობესია, საერთოდ გაუქმდეს სისხლის სამართალი, რომელსაც თავისი ბუნებით მეტი არაფერი მოაქვს, გარდა არაეთიკური ძალაუფლების აპარატისა სოციალურად ჩამოქვეითებული ადამიანების წინააღმდეგ. ვინაიდან შეუძლებელია ასეთი თვითკმარი ინსტიტუტისგან რაიმე მნიშვნელოვნის ან გონივრულის მიღება, აკრძალულია მასში როგორც დადებითი ჩარევა საგნობრივად დასაბუთებადი განსხვავებების დასაცავად, ისე სასჯელების ისეთ საზოგადოებაში დანერგვის ხელახალი მცდელობა, რომელიც მუდმივად იცვლება, ახალ კონფლიქტებს ქმნის და რომლის პრობლემებიც სისხლისსამარ-

<sup>17</sup> *Jakobs, Günther, Strafrecht, Allgemeiner Teil, 1. Auflage, 1983, Rn. 1/16, 56* (ხაზგასმულია ჩემ მიერ).

<sup>18</sup> *Hasseler, Winfried, ZStW (Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft) 121 (2009) Heft 4, 829 ff., 859*. უნდა ვაღიარო, რომ ციტირებული გამონათქვამი შემდეგში შეიძლება გარკვეულწილად გადაჭარბებულად იყოს გამოყენებული. თუმცა ეს არ ამრუდებს ჩემი აზროვნების ჯაჭვის არგუმენტირებულ არსს.

თლებრივი მექანიზმებით მაინც ვერ მოგვარდება. *ჰასემერის* პოზიცია შესაძლოა მისაღები იყოს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის ეწინააღმდეგება პოლიტიკას, რომელიც მიდრეკილია რომ, განსაკუთრებით როდესაც შიდა უსაფრთხოებას ემუქრება საფრთხე, ამომრჩევლებს პანაცეად გაუსაღოს რეპრესიული სისხლის სამართალი, ნაცვლად პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფისა.

რაც შეეხება ზემოხსენებული განზრახვის ცნების ტელეოლოგიზაციას ან, ჩემი აზრით, ფუნქციონალიზაციას, ჩნდება მოსაზრება, რომ ის – ყოველთვის იმ პირობით, რომ უნდა აღნიშნავდეს განზრახვი დანაშაულის უმართლობას – უფრო ფართოდ ჩამოყალიბებული უნდა იყოს, ვიდრე მიზნისკენ მიმართული ნება ან ზრახვა, რომელიც, როგორც წესი, ქმედების თეორიის ანალიზის, ეთიკური შეფასების ან ყოველდღიური სასაუბრო ენის ნაწილია. რადგანაც „გაუფრთხილებლობა“ მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც დამდგარი შედეგი არ ხვდება იმ რადიუსის ფარგლებში, რომელიც დამნაშავეს შეეძლო გაეთვალა, როგორც საკუთარი ქმედების, სულ მცირე, შესაძლო შედეგი. ის ფაქტი, რომ დამდგარი შედეგი არ განეკუთვნება ურთიერთკავშირს საშუალებასა და მიზანს შორის, რომელსაც დამნაშავე მიჰყვებოდა, ჯერ კიდევ არ შეიძლება მიუთითებდეს უბრალო „გაუფრთხილებლობაზე“. ასეთი შედეგი, თუნდაც ის განზრახვი არ იყოს დამდგარი, როგორც მოსალოდნელი თანმდევი ზიანი, დამნაშავეს განზრახვი ქმედებად უნდა შეერაცხოს სისხლის სამართლის კოდექსის მნიშვნელობით.

შესაძლებელი იქნებოდა გაცნობიერებული უარის თქმა განზრახვის სისხლისსამართლებრივი ცნების წინარესამართლებრივ, ფილოსოფიური მეთოდებით გამჭოლავ სტრუქტურებზე, თუ კანონმდებელი აიღებდა შეცდომის კონკრეტულ შემთხვევებს (კერძოდ, ე.წ. შეცდომას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების არსებობასთან დაკავშირებით) და განზრახვის გამორიცხვის გზით შემდეგნაირად მოაწესრიგებდა: „ვინც დანაშაულის ჩადენისას შეცდომით აღიქვამს გარემოებებს, რომლებიც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი საფუძვლების მოთხოვნებს აკმაყოფილებს, შესაძლოა, უკიდურეს შემთხვევაში, გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის მიეცეს პასუხისმგებლობა.“ წინამდებარე კონტექსტში ზედმეტად შორს წაგვიყვანს, უფრო დეტალურად რომ აიხსნას ეს შესაძლო მოწესრიგება, უფრო ცხადი გახდეს მაგალითების

მოყვანით, ახლოდან იქნეს ნაჩვენები, რამდენად წარმოადგენს ის გამონკვევას განზრახვის სამართლებრივი კონცეფციისათვის და რატომ შეიძლება მისი გადაჭრა კანონმდებლის, ანუ პოზიტიური სამართლის და, საგამონაკლისოდ, არა სისხლისსამართლებრივი დოგმატიკის მეშვეობით. თავს უფლებას მივცემ, რომ ამ მეტისმეტად რთულ, არსით არამიმზიდველ პრობლემასთან დაკავშირებით მივუთითო ჩემს მოხსენებაზე „ქართველი სისხლის სამართლის პროფესორების სამეცნიერო კონფერენციის“ ფარგლებში.<sup>19</sup>

## 2. აუცილებელი მოგერიება

პროტო-სამართლებრივი სისხლის სამართალი უბრუნდება მსჯელობის საერთო სურათს, როდესაც ერთმანეთის პირისპირ დგებიან ცნებები „მოქმედება“ და „რეაქცია“. თუ ხედვა გაფართოვდება, მაშინ შესაძლებელია, რომ გარკვეულ გარემოებებში, მაგალითად, სხეულის განზრახვი დაზიანების მართლწინააღმდეგობა გამოირიცხოს აუცილებელი მოგერიების მეშვეობით და ის არსებითად დაუსჯელ რეაქციად შეფასდეს. სისხლის სამართლის ტრადიციული მოძღვრება განზრახვის ცნებაზეა ფოკუსირებული, რომელიც, თავის მხრივ, არ შეესაბამება, მაგალითად, დანაშაულის შინაგან მხარეს აუცილებელი მოგერიებისას. ამის საპირისპიროდ, რეაქციული ქცევის ობიექტური ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება, რომ ქმედებას საფუძვლად დადებული თავდაცვის ნება თავდაცვის განზრახვად კი არ ჩაითვალოს, არამედ მნიშვნელობა მიენიჭოს ამ ცნების ავტონომიურობას: თავდაცვის სურვილი გულისხმობს იმას, რომ ის, ვინც თავს იცავს, აუცილებელი მოგერიების ვითარებას თავისი მოქმედების მიზეზად აქცევს. სხვას არაფერს. ეს არ გულისხმობს, რომ ის, ვინც თავს იცავს, თავისი ქმედებების კონკრეტულ შედეგს მოელის, მაგალითად, რომ მუშტის დარტყმით თავდამსხმელს რეალურად გააჩერებს და სავარაუდოდ, უფრო მეტად არ წააქეზებს (მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმის საბოლოოდ მოგერიების განზრახვა პრაქტიკულად ჩვეულებრივი შემთხვევა უნდა იყოს).

<sup>19</sup> Alwart, Heiner, in FS-Strafrechtslehrertagung (Strafrechtswissenschaft in einem zusammenwachsenden Europa), Tbilisi 2013, S. 421 ff.

წარმოშობის შესაბამისად, მის სამ ქვე-კონცეპტუალურ გამოხატულებაში (პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა და არაპირდაპირი განზრახვა), განზრახვა არის და რჩება ქმედების მოსალოდნელ ნებად საშუალებასა და მიზანს შორის კავშირის (გაფართოებად) ფარგლებში. ამის საპირისპიროდ, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში ქმედება სპონტანურად პასუხობს იმნუთიერ თავდასხმას, ისე, რომ ის, ვინც თავს იცავს, არ ფიქრობს კონფლიქტის მის სასარგებლოდ დასრულებაზე ან მესამე მხარის დაცვის შემთხვევაში, მესამე მხარის სასარგებლოდ დასრულებაზე. პირველადი გაგების თანახმად, წარმოდგენილ, შესაძლო სამომავლო მიზნებს არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება. შესაბამისად, წარმატებული, ანუ მართლზომიერი (არადასჯადი) აუცილებელი მოგერიება არის თავდასხმელისთვის წინააღმდეგობის განევა და არა აუცილებლად განზრახული, სულ მცირე, დროებითი გამარჯვება თავდასხმელზე.<sup>20</sup>

ვოლუნტატური კომპონენტის ინტერპრეტაცია, ანუ აუცილებელი მოგერიების ცნების შინაგანი მხარე, მხარდაჭერილია გარე- და წინარესამართლებრივი სწავლებით მოტივის შესახებ, რომელიც სამართლის პრაქტიკოსებს სასარგებლო დიფერენციაციას აძლევს. ამ გაგებით, პროტო სისხლის სამართალი ქმნის მასალას, რომლისგანაც იურისტი სამართლის პრაქტიკისათვის შესაფერის ცნებებს აყალიბებს. ზუსტი დასკვნა, რომელიც მიღებულია მოტივის შესახებ ისეთი თეორიის<sup>21</sup> ჰერმენეუტიკული შემუშავებისგან, რომელიც განზრახვის სისხლისსამართლებრივ ცნებას ფართოდ სცდება, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა კარგად არგუმენტირებული, ღირებულად დასაბუთებული ვარაუდისათვის, სისხლისსამართლებრივი უმართლობის გამოსარიცხად.

### 3. მცდელობა

აუცილებელი მოგერიების, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების, დამაკმაყოფილებლად ჩამოყალიბების მიზნით, საჭიროა

დახმარება კონცეპტუალური და სისტემური მომზადების მეშვეობით, რაც ქმედების თეორიული ანალიზით მიიღწევა. თუმცა, სისხლისსამართლებრივი გაგებით მცდელობასთან დაკავშირებით, რთული არ იქნება შინაგანი ნებისა და განზრახვის შემოსაზღვრულობის, როგორც აუცილებლის, დასაბუთება. ამ მხრივ, სისხლის სამართალი გარდაუვალად არის დაკავშირებული ყოველდღიურ სასაუბრო და პროტო-სამართლებრივ საფუძვლებთან. ამრიგად, „გაუფრთხილებლობით მცდელობის“ აღიარება საკუთარ თავში ისეთივე წინააღმდეგობრივი იქნება, როგორც, მაგალითად, საუბარი „გაუფრთხილებლობით ქურდობაზე“. ასეთი კონფიგურაციების სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მხარდაჭერა იქნებოდა რეპრესიული სისტემის ღიად გადაცემა ირაციონალურობისა და არაპროგნოზირებადობისთვის.

ამასთან, დანაშაულის მცდელობის განმარტება არსებითად დამოკიდებულია როგორც ტელეოლოგიურ, ისე პოზიტივისტურ მოსაზრებებზე. *თომას მაიერმა* დეტალურად განმარტა, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მცდელობის ადეკვატური სამართლებრივი ცნება სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილების, ასევე, სისხლის სამართლის გვერდითი დარგების (*Nebenstrafrecht*) საერთო ხედვით. სხვა სიტყვებით, ის პლურალისტურად უნდა დაიყოს ზოგადი ნაწილის ამოსავალი წერტილიდან (კერძოდ, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის<sup>22</sup> 22-ე და შემდგომი პარაგრაფები) დანაშაულის ცალკეულ შემადგენლობათა ჩათვლით.<sup>23</sup> ამაში მდგომარეობს მცდელობის შესახებ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისად ცხადი და მეთოდური მოძღვრების ფუნდამენტურად უდავო, ძირითადი ამოცანა. კანონის შესაბამისი ქმედების შემადგენლობის კონკრეტული სტრუქტურის გათვალისწინებისა და ცნების ჩამოყალიბების საერთო კონტექსტში შემთხვევითი ფაქტორების კლასიფიკაციის გარეშე, უმართლობის დამაფუძნებელი თეორია, საკუთარი მიზნების შესაბამისად, არსებითად ცარიელი უნდა დარჩეს.<sup>24</sup> ის ფაქტი, რომ კონ-

<sup>22</sup> შემდგომში შემოკლებულია, როგორც გსსკ.

<sup>23</sup> *Maier, Thomas, Die Objektivierung des Versuchsunrechts, 2005.*

<sup>24</sup> არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი, რომ ეს შეხედულება შესაძლოა ნაწილობრივ გამოყენებული იქნეს განზრახვის ცნებასთან დაკავშირებით. რადგან დანაშაულის შემადგენლობის ფორმირებისას შემთხვევითობის ფაქ-

<sup>20</sup> *Alwart, Heiner, JuS (Juristische Schulung) 36 (1996) Heft 11, 953 ff.*

<sup>21</sup> *Alwart, Heiner, GA 130 (1983) Heft 10, 433 ff.*

სტიტუცია ძნელად თუ ეხმარება არგუმენტებით გაჯერებულ დასკვნებს, სულ მცირე, უნდა აღინიშნოს მაინც. ძირითადი კანონის ინტერპრეტაცია ვერ შეცვლის ფილოსოფიის, სამართლის თეორიისა და მეთოდოლოგიის ცენტრალურ როლს სისხლის სამართლის დოგმატიკისთვის. და ხელის გულზე უნდა იდოს ფაქტი, რომ ეს მოცემულობა სამართლებრივ აზროვნებას „არადემოკრატიულად“ არ აქცევს.

განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ანალიტიკური ჰერმენევტიკის სამართლებრივი კონცეფციის გამოყენებით, მაიერი უარყოფს გავრცელებულ ნორმის თეორიულ მიდგომებს. ნორმის თეორია, რომელიც პრობლემებს ამარტივებს, უგულებელყოფს თანამედროვე, დიფერენცირებული სამართლებრივი წესრიგისათვის დამახასიათებელ საწყის პირობებს, რომლებიც სახელმძღვანელო უნდა იყოს სასამართლოს მიერ ცნების ადეკვატური განმარტებისა და შესაბამისი გამოყენების პროცესში. დანაშაულის შესაძლო მცდელობათა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, არ შეიძლება ობიექტური მხარე დაყვანილ იქნეს ზოგადი ნაწილის შესაბამის, „დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უშუალო დაწყების“ მახასიათებელზე (გსსკ-ის 22-ე პარაგრაფი). დამნაშავის წარმოდგენებს მისი ქმედების მდგომარეობის შესახებ – დანაშაულის უბრალო მცდელობის არსებობისას – არ შეუძლიათ ქმედების შემადგენლობისათვის რეალობის რელევანტური ხარვეზის უგამონაკლისოდ კომპენსირება. ქცევის ისეთი მორალური ნორმა, როგორცაა „არ მოკლა“, განზრახ მკვლელობის მცდელობასთან კავშირში უმართლობის დასაფუძნებლად შესაძლოა მაშინაც შესაფერისი გამოდგეს, როდესაც რევოლვერი, რომლის სასხლეტიც მზადყოფნაშია მოყვანილი, უყურადღებობის გამო დაუუტენავი აღმოჩნდება. მაგრამ ასეთი მიდგომა არა-

ტორი დიდია, შესაძლებელია, გარკვეულ პირობებში, ტელეოლოგიურად საჭირო გახდეს, რომ განზრახვის გამომრიცხველი „შეცდომა ქმედების შემადგენლობაში“ (გსსკ-ის მე-16 პარაგრაფის პირველი ნაწილი) გაფართოვდეს „აკრძალვაში შეცდომის“ (გსსკ-ის მე-17 პარაგრაფი) საზიანოდ. ეს გამოიწვევდა ეფექტს, რომლის შედეგადაც განზრახვის გამომრიცხვა, როგორც სასურველია, უფრო დიდი მოცულობის ფარგლებში იქნებოდა შესაძლებელი, ვიდრე ახლა. იხ. Alwart, Heiner, in FS-Strafrechtslehrtagung (Strafrechtswissenschaft in einem zusammenwachsenden Europa), Tbilisi 2013, S. 421 ff. პრობლემის საილუსტრაციოდ მოყვანილია მაგალითი ეკონომიკური სისხლის სამართლიდან.

ვითარ შემთხვევაში არ შეიძლება განზოგადდეს. მაგალითად, ფულის გათეთრების მცდელობის კომპლექსურმა ქმედების შემადგენლობამ შესაძლოა მხოლოდ მაშინ იმუშაოს, როდესაც იგი ნაფიქრი და სტრუქტურირებული იქნება სრულიად განსხვავებული წესების შესაბამისად და მასვე დაეფუძნება გადანყვეტილება.<sup>25</sup>

ამ ეტაპზე დეტალურად უნდა გავაკეთო მიმართება მაიერის მომავალზე ორიენტირებულ მონოგრაფიასთან დაკავშირებით. მისი კონცეფცია არ უნდა იქნეს გაკრიტიკებული იმის გამო, რომ საბოლოოდ ყველაფერს უცვლელად ტოვებს, კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს გავრცელებულ მოსაზრებას, არამედ იდეალისტური დანაშენის მეშვეობით მენისტრიმის მათემატიკით კმაყოფილდება. მაიერის საზრუნავი არ არის, უშედეგო დამატებითი სამართლებრივ-ფილოსოფიური ჟარგონის დამკვიდრება, რომელიც არ დგამს ნაბიჯს წინ. თუ მხედველობაში მივიღებთ შესაბამის სპეციალიზებულ ლიტერატურას, სისხლის სამართლის თეორიის მოსაწყენ უძრაობაზე ნამდვილად სხვები არიან პასუხისმგებელნი.

#### IV. შერაცხვისა და დანაშაულის (Verbrechen) შესახებ მოძღვრება ტრანსფორმაციის პროცესში

დანაშაულის შესახებ მნიშვნელოვანი სისხლისსამართლებრივი მოძღვრება გულისხმობს ქმედებისა და შერაცხვის ჰერმენევტიკულ-ეთიკურ თეორიებს, რომლებსაც, თავის მხრივ, შეუძლიათ სიზუსტე და შთაგონება პოზიტიურ სამართალში მოიძიონ. ეს ეხება, მაგალითად, კოლექტიურ და ინდივიდუალურ შერაცხვას შორის გამორჩეულად რთული კავშირის კვლევებს. განსაკუთრებით, დანაშაულში მონაწილეობის დოგმატიკური თეორია, რომელიც „ამსრულებლობას“ და „თანამონაწილეობას“ ემყარება, არ დგას აუცილებლობის წინაშე, წინამდებარე თეორიას დაეფუძნოს. უპირველეს ყოვლისა, შერაცხვის დახვეწილი თეორია არის გადამწყვეტი წინაპირობა თანამედროვე და ფუნქციონალური სისხლის სამართლის თანმიმდევრული განვითარებისთვის.

<sup>25</sup> დეტალურად Maier, Thomas, Die Objektivierung des Versuchsunrechts, 2005, S. 237 ff.

გარდა ამისა, პრობლემები წარმოიქმნება იმი-  
თაც, რომ იურიდიული პრაქტიკა მუდმივად და  
უეცრად აწყდება ახალ სოციალურ გამოწვევებს,  
რომელთა შემსუბუქებაც მას არ შეუძლია. პოლი-  
ტიკური პროცესი, რომელიც ძალიან ხშირად არის  
წმინდა რეაქციული, ხშირად ქმნის სისხლის სამარ-  
თლის რეგულაციებს, რომლებიც შემდეგ მოთმინე-  
ბითა და მშვიდი გონებით უნდა განიხილოს.  
საუკეთესო შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ, მაგა-  
ლითად, შერაცხვის თეორია აუცილებლად უნდა  
განახლდეს, გაკონტროლდეს, მოდიფიცირდეს ან,  
სავარაუდოდ, განსხვავებულ ფუნდამენტზე გან-  
თავსდეს. ეს ფუნდამენტი, შესაძლოა, გულისხმობ-  
დეს როგორც ცვლილებებს დანაშაულის მოძღვ-  
რებაში, ასევე, ახალ, სისტემურად განვითარებულ  
საკანონმდებლო პროგრამას. როგორც გამოცდი-  
ლება აჩვენებს, ეს არ ნიშნავს, რომ ფუნდამენტურ-  
ად გააზრებული სარეფორმო წინადადებები ყუ-  
რადღებას ან თანხმობას იმსახურებენ სისხლის სა-  
მართლის ზოგად მეცნიერებაში ან ზემოქმედების  
მოხდენა შეუძლიათ პარტიული პოლიტიკის კომპ-  
რომისულ სამყაროში. მიუხედავად ამისა, დანებება  
არ შეიძლება.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენები *ჰანს  
ველცელი* თავის მთავარ ნაშრომში სამართლის  
ფილოსოფიაზე ხაზს უსვამს, რომ შერაცხვის თე-  
ორიის “ლოგიკური სტრუქტურები” მუდმივად ვა-  
ლიდური იქნება,<sup>26</sup> სინამდვილეში, ამაზე საუბარიც  
არ შეიძლება. ასე დგას დღეს მიკროდანაშაულებ-  
რიობა, ე.ი. ჩვეულებრივი ინდივიდუალური სისხ-  
ლის სამართალი, ფსიქოანალიზისა და, უპირველე-  
სად, ნეირომეცნიერების ცეცხლის ქვეშ. ხოლო სის-  
ხლისსამართლებრივი რეაქცია მაკროდანაშაულებ-  
რიობაზე, ე.ი. კრიმინალის ისეთ გამოვლინებაზე,  
რომლისთვისაც, შესაძლოა, სახელმწიფო და საზო-  
გადოება არიან თანაპასუხისმგებელნი, იძლევა სა-  
შუალებას შერაცხვის განაჩენების გაფართოების-  
თვის ყოველდღიურ სისხლის სამართალთან მიმარ-  
თებაში, რომელიც წარმოიქმნება ფუნდამენტურად  
ცივილიზებული სოციალური ცხოვრებიდან. იგივე  
ეხება მეზოდანაშაულებრიობას, ე.ი. იურიდიულ  
პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლო-  
ბას, რომელიც არა მხოლოდ შერაცხვის საკუთარ  
სტრუქტურებს იხმობს, არამედ – გერმანული სის-

ხლის სამართლის დოქტრინის ფართო წინააღმდე-  
გობის საპირისპიროდ, რომელიც ინდივიდუალიზმ-  
ში ინარჩუნებს პოზიციას – ადგენს შერაცხვის კო-  
ლექტიურ „ბოლო წერტილს“ (*ჰანს კელზენი*). კერ-  
ძოდ, მაგალითად, სააქციო საზოგადოების „ბოლო  
წერტილს“, რომელიც შემდეგ შეიძლება ჩაინეროს  
კორპორაციულ სისხლის სამართალში, როგორც  
ზიანის მომტან ან, სულ მცირე, წესების დამრღვევ  
დამნაშავე იურიდიულ პირად. დამნაშავე კომპანიის  
მიერ ჩამდინარე წყლების მეშვეობით მიყენებული  
ზიანი შეიძლება იყოს მდინარეში თევზების აუხსნე-  
ლი სიკვდილი, ხოლო წესების დარღვევა – კორუფ-  
ციული ბიზნეს პრაქტიკა.

მეზო სისხლის სამართალი მიუთითებს შერაც-  
ხვის თეორიის სფეროს მნიშვნელოვან ფაქტორივ  
შუალედურ მოვლენაზე. შერაცხვასთან დაკავში-  
რებული ამბივალენტურობა იმაში მდგომარეობს,  
რომ როგორც კორპორაციის ინდივიდუალური  
პასუხისმგებელი დამნაშავე, ისე უშუალოდ დამ-  
ნაშავე კორპორაცია, ორივე ერთმანეთის პარალე-  
ლურად შეიძლება მიეცენ სისხლისსამართლებრივ  
პასუხისმგებლობაში.<sup>27</sup> ასეთი კუმულაციური პასუხისმ-  
გებლობა, სასჯელის შეფარდების ცალკეულ შემთ-  
ხვევებში, მოითხოვს შემამსუბუქებელი და დამამ-  
ძიმებელი ფაქტორების დამაჯერებელ განაწილე-  
ბას ინდივიდსა და ეკონომიკურ კოლექტივს შორის.  
ვისი ბრალეულობა უფრო მაღალია? ინდივიდის თუ  
კორპორაციული კულტურის, რომელიც აშკარად  
დიდი ხნის განმავლობაში იყო უგულვებელყოფილი,  
შესაბამისად, გაუმართლებელი სამენარმეო რისკის  
თუ ცუდი ანტიკორუფციული მენეჯმენტის? ვისი  
ბრალეულობა უფრო ნაკლებია? კოლექტივის, ანუ  
სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა ათავი-  
სუფლებს ინდივიდს, მაგალითად, დირექტორს და  
პირიქით.

ასეთი ორმხრივად შეფასებადი შერაცხვა, რო-  
გორც დანაშაულის შესახებ მიდგომებსა და აღსრუ-  
ლებაში ჰომოგენური და თანმიმდევრული თეორიის  
ნაწილი, ირეკლავს როგორც დღევანდელი ეკონო-  
მიკური ძალაუფლების რეალობას, ასევე, ფაქტს,  
რომ სანარმოები ხშირად უდიდეს ნოუ-ჰაუს ფლო-  
ბენ, რაც, მაგალითად, შეეხება მათი საქმიანობით  
გამონეული პოტენციური საფრთხის შეკავებას.  
აქედან გამომდინარე, აუცილებელია მათი ინტეგ-

<sup>26</sup> შედ. *Welzel, Hans, Naturrecht und materiale Gerechtigkeit, 4. Auflage, 1962, S. 244.*

<sup>27</sup> *Mittelsdorf, Kathleen, Unternehmensstrafrecht im Kontext, 2007.*

რირება ეფექტურ კორპორაციულ და სამართლებრივ სიკეთეთა დაცვაში.

შერაცხვისა და დანაშაულის მოძღვრებამ არ უნდა თქვან უარი განვითარების აუცილებელ ეტაპებზე ინდივიდის სტატუსის აბსოლუტიზირებული „თავისუფლების სამართლებრივი ფილოსოფიის“ მეშვეობით. დღესდღეობით აზროვნების აუცილებელი რადიკალიზმი არ შეიძლება რწმენის საკითხი იყოს. ის არ უნდა აგვერიოს უბრალო ბაქიობაში ან თავის მოტყუებით მოჩვენებითი მნიშვნელობის მქონე ფილოსოფიურ ლექსიკაში ვარჯიშში. მაგალითად, როდესაც გერმანული იდეალიზმის გახსენება ხდება თანაბრად როგორც საზეიმოდ, ისე ბუნდოვნად, არ უნდა დაგვაკინწყდეს, რომ ჩვენ მისგან მხოლოდ დრო არ გვაშორებს. შემდგომი რადიკალიზმი „იენის სკოლის“ გაგებით მხოლოდ მაშინ გაჩნდება, როდესაც შესაძლებელი იქნება დროისა და სივრცისთვის შეძლებისდაგვარად ზუსტი სახელის დარქმევა და ობიექტური კრიტერიუმების უპირობოდ დაცვა, იმის ნაცვლად, რომ დისკუსიის ხარისხი გაიზომოს მონაწილეთა მორალით. ვითარების გონივრულად შეცვლის შანსი ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც რეფორმატორი ფესვებს იდგამს იმაში, რასაც ინტერპრეტირებს და ღრუბლებიდან არ საუბრობს.

სისხლის სამართლის მეცნიერება უაღრესად ილბლიან მდგომარეობაშია, რადგან *კატარინა კრემერის* მონოგრაფია „ინდივიდუალური და კოლექტიური შერაცხვის შესახებ სისხლის სამართალში“ უკვე არის ნაშრომი, რომელიც დეტალურად ავითარებს შერაცხვის თეორიას დანაშაულებრიობის ზემოხსენებულ სამივე სფეროში და კონკრეტულად აჩვენებს კავშირს ინდივიდუალურ და კოლექტიურ შერაცხვას შორის.<sup>28</sup> შედეგი არის ხედვა შერაცხვის ოჯახის (*Zurechnungsfamilie*) შესახებ, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება თანამედროვე სისხლის სამართლის სისტემურად წარმოდგენა და ჯერ კიდევ ჩვეული პრაქტიკის შესაბამისად, მოხდება დაყოფა ცალკეულ ფრაგმენტებად. *კრემერის* ანალიზის შედეგად, შევეცადე წარმომედგინა დამაჯერებელი „კრიტიკა საკონცენტრაციო ბანაკის პერსონალის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესების მიმართ“.<sup>29</sup> თუ ერთ დღესაც

ორიგინალური სახელმძღვანელოების ავტორები, რომლებსაც ეს ძალუძთ, კვლავაც დაინწყებენ საუბარს შერაცხვისა და დანაშაულის მოძღვრებათა ერთად გააზრებაზე და არ დაკმაყოფილდებიან იმით, რომ დიდი ხნის წინ წარდგენილი იურიდიული სახელმძღვანელოები მეორე ან მესამე ავტორის პოზიციიდან ერთი შეხედვით განაახლონ, ისინი უნდა დაეყრდნონ *კრემერის* განვითარებულ იდეებს. თუმცა, თუკი არცთუ ისე შორეულ მომავალში (შემდგომი) გადამწყვეტი ცივილიზაციური რეგრესი მოხდება, ან თუ დადგება კაცობრიობის პლანეტარული გადარჩენის საკითხი, მაშინ ბევრი ისეთი რამ გადაინაცვლებს უკანა ფონზე, რისი ადგილიც იქ არ არის. ეს დროის სხვა მსვლელობიდან მოდის და ახლა მეცნიერების ისტორიის ამოების ნიშანი უნდა ატაროს. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ აქ მთავრდება ჩემი ფანტაზია.

## V. სისხლის სამართლის პროცესის საზღვრების გაშლა

შერაცხვის თეორიის გარეშე, რომლის საფუძველზეც დეტალურად იზრდება შინაარსით მდიდარი სისხლისსამართლებრივი გრამატიკა, რომლის ხორცშესხმასაც სამართლებრივ რეალობაში ოსტატურად ახერხებენ პასუხისმგებელი აქტორები, სისხლის სამართლის ლეგიტიმაციის თითოეულმა თეორიულმა დისკურსმა უნდა დაკარგოს თავისი საგანი და იმთავითვე სიცარიელეში იმოქმედოს. როგორ უნდა დასაბუთდეს სახელმწიფო სასჯელის ფაქტობრიობა, ან, მოქმედების არეალის ფარგლებში, თავიდანვე როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ის ეთიკური საზომების შესაბამისად, როდესაც მისი კონცეფციის სავარაუდო ფორმირებამ უუნარობა აჩვენა საზოგადოებრივი განვითარების ინტერპრეტირებისას, რომ არაფერი ვთქვათ მისი ტემპის აყოლაზე და ამის ნაცვლად აღმოჩნდა მეტ-ნაკლებად თვითნებური იურიდიული ტერმინოლოგია. შესაძლოა, კვლავ რჩება სისხლის სამართლის პროცესუალური მხიარულების ან კომუნიკაციის ასპექტი, რომელიც არასდროს ყოფილა იმაზე დიდი, ვიდრე

შევეხე 2017 წლის 3 თებერვალს – ასაკობრივი მიზეზების გამო, საპენსიო ზღვრის გადალახვის მომენტში – იენაში, ჩემს გამოსამშვიდობებელ ლექციაზე: „როგორ შეიძლება ძველმა ბრალმა წარმოშვას ახალი ბრალი“, რასაც მოჰყვა თანხმობა, წინააღმდეგობა, შიში და თავდაცვა.

<sup>28</sup> *Krämer, Katharina*, Individuelle und kollektive Zurechnung im Strafrecht, 2015.

<sup>29</sup> *Alwart, Heiner*, JZ 77 (2022) Heft 14, 715 ff. ამ თემას უკვე

დღეს. ზოგიერთი ცდილობს, გამოიყენოს გამართლების ე. წ. „გამომსახველობითი“ სტრატეგია, რათა – ამასობაში მართლმსაჯულებისთვის უცხო სხვადასხვა მიზნით სრულიად გადატვირთულ – სისხლის სამართლის პროცესს დაეხმაროს, მაგალითად, დაზარალებულების, მოწმეებისა და თანამოსარჩეველების მხრიდან კმაყოფილების გრძნობით. ასეთი თეორიული დახმარებისა და ემოციების კონსტრუქცია, მათ შორის, შურისძიების სურვილის სისტემატური მიღება, ნამდვილად გამოდგება ნებისმიერი მიმდინარე კრიზისული ფენომენის უკრიტიკოდ შესათვისებლად.

მაგრამ სისხლის სამართლის მეცნიერების მიზანი არ შეიძლება იყოს თანხმობა და დადასტურება. მისი მიზანი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ინსტიტუტის ლეგიტიმურ სისხლის სამართლის სასამართლოდ წარმოჩენა, რომელიც, მართალია, საკუთარ თავს ასე უწოდებს და შესაბამისადაც ჩანს, მაგრამ სინამდვილეში სხვა მიზანს ემსახურება, მაგალითად, მიზანს, რომ მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილოს სოციალური საჭიროებები და უზრუნველყოს სატელევიზიო არხები მილიონობით არაფრისმთქმელი სურათით სხდომებიდან. თითქოს ყველასთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ის იყო, რომ მცირე ხნის განმავლობაში გამოსახულებებით დატყვევებულიყვნენ და დააკმაყოფილებულიყვნენ. სულ ეს იყო. შემდეგი საინტერესო თემა, ანუ გთხოვთ, შემდეგი ფერადი სურათი. მთავარი ის არის, რომ ადამიანი ეკუთვნის ამ გამოსახულებათა მიმომხილველებს, პუბლიკას და არა მათ მიმწოდებლებს, რომელთა კრიტიკა მომხმარებელს შეუჩერებლად შეუძლია.

სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკა აღარ ეყრდნობა შერაცხვის, დანაშაულისა და პროცესის ადეკვატურ მოძღვრებებს. სხვა სიტყვებით, მას აღარ შეუძლია მათზე გააკეთოს მიმართება და დანაშაულზე ეჭვის სწრაფი გამორკვევა სასამართლო დარბაზის ცენტრში მოაქციოს, რადგან მას უმტყუნა სისხლის სამართლის მეცნიერებამ, რომელსაც აღარ აფიქრებს ადეკვატური კონცეფციებისა და თეორიების ჩამოყალიბება. სისხლისსამართლებრივ-დოგმატური აზროვნების პირველადი მოთხოვნები, რომლებიც მიემართება სამართლიანობასა და ადამიანის ღირსებას, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ცარიელი სიტყვები გახდა. სისხლის სამართლის პროცესი კი იქცა ერთგვარ ფორუმად, კერძოდ, პლატფორმად ან მედია-სცენად თვითგამოხატვისა და რეპრეზენტაციის სხვა-

დასხვა ფორმისთვის. ასეთ პლატფორმაზე ბრალდებულის ბედი შეიძლება მხოლოდ მეორეხარისხოვანი ინტერესი იყოს.

ბევრ მოსამართლეს დღეს უბრალოდ სურს, კონკრეტული პერფორმანსის ინტერესების გამო-რიცხვა, ცალსახად იმიტომ, რომ ეს აპრიორი განადგურებდა მათ საქმიანობას: გარემოსდაცვითი აქტივისტების (რომლებიც პროტესტს გამოხატავენ ასფალტზე თავის მინებებით – „Klimakleber“) დისკურსს. თუმცა ზოგჯერ ბრალდებული გარემოსდაცვითი აქტივისტების განცხადებები დაშვებულია ხოლმე მფარველობითი ფორმით. მაგრამ მაშინ ეს უნდა მოხდეს შემდეგი დევიზის მიხედვით: ერთ ყურში შეშვება, მეორედან გამოშვება. უმჯობესია, დაეუბრუნდეთ დღის წესრიგს და დავემორჩილოთ პოლიტიკისა და მასმედიის რეფლექსიურ მოთხოვნებს, რომ უფრო მკაცრი ზომებია მისაღები. სისხლის სამართლის მოსამართლეები ხშირად სიამოვნებით ეწინააღმდეგებიან გარემოსდაცვით აქტივისტებს, რომ საქმის არსებითი განხილვა არ არის „ფორუმი“ კლიმატის საგანგებო მდგომარეობის განსახილველად. მიუხედავად ამისა, საწყის ინსტანციებში დიდი გაურკვევლობაა და სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან საკუთარ თავში დაეჭვება ზოგჯერ აშკარად შესამჩნევია. ასე არ შეიძლება და ამ სფეროში ასე არ უნდა გაგრძელდეს.

ჰანა ვეირიხის მონოგრაფია აჩვენებს სისხლის სამართლის პროცესის საზღვრების ამჟამინდელ ბუნდოვანებას მისი ყველა საეჭვო ასპექტით. მე ვიზიარებ ამას და ვეთანხმები ვეირიხის კრიტიკას. ის შემაჯამებლად წერს: „სანამ შენარჩუნდება [...] სახელმწიფო სასჯელი, რომელიც იმსახურებს ამ სახელს, სასჯელის შემუშავებისთვის სერიოზულად უნდა იქნას გათვალისწინებული მისი თეორიული საფუძვლები და მათი შედეგები. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო სასჯელის სისტემა ასევე დაცული უნდა იყოს საზღვრების მოშლის გამოვლინებებისგან, რათა შენარჩუნდეს მისი ფუნქციურობა ამ საფუძვლების გაგებით.“<sup>30</sup> დავამატებ, რომ ეს საფუძვლები ციდან არ ჩამოცვენილა, ისინი დროისა და სივრცის შესაბამისად გამოვლენილი პრობლემების საფუძველზე შემუშავდნენ. აქედან ჩანს, რომ დღესდღეობით მათი არსებითი ნაკლებობაა. ტექნოკრატიით, რომელიც სულ უფრო გასაოცარი

<sup>30</sup> Weyrich, Hanna, *Straftheorien und Rechtswirklichkeit*, 2021, S. 300 (ხაზგასმულია ჩემ მიერ).

და ბევრისთვის სულ უფრო მომხიბვლელი ხდება, დაბრმავებული საზოგადოება არასწორად განსჯის, რომ „დებატების კულტურა“ მხოლოდ გადმონაშთია და სერიოზული საგნობრივი შეკითხვები მხოლოდ უნდა ტრივიალიზდეს და სიღრმისეულად არ იქნეს განხილული. ასე ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები აუცილებლად გახდება მეორეხარისხიანი.

## VI. დასკვნითი შენიშვნა

როგორც თავიდანვე აღინიშნა, კარგად გააზრებული სისხლის სამართალი, რა თქმა უნდა, სამყაროს ვერ გადაარჩენს. მაგრამ სისხლის სამართლის სპეციალისტებმა საშინაო დავალება შეასრულეს. ზემოხსენებულ მოსაზრებებს უნდა ეჩვენებინათ იმის აუცილებლობა, რომ სისხლის სამართლის კატეგორიები აღქმული იყოს ერთმანეთთან შეჯერებულ მოქნილ სისტემად და რომ ამალდეს ცნობიერება მეთოდოლოგიური პრობლემების შესახებ. ფილოსოფიასა და სამართლებრივ თეორიაში ჩანერგვის გარეშე (ასე ვთქვათ, „ზევიტ“), დოგმატიკა (ასე ვთქვათ, „ქვევიტ“) დრამატულად ცვალებადი რეალობის მიღმა იფიქრებს, საზოგადოებისთვის უსარგებლო გახდება და არაპროდუქტიულობის გამო, დამსახურებულად დამარცხდება.

ახლა, როცა აუცილებელი ხელსაწყოები უკვე ხელმისაწვდომია, აღარ უნდა არსებობდეს ეჭვი, რომ ჩვენი, იენური კვლევითი საზოგადოების მიერ განვითარებული ინსტრუმენტები შესაბამისობაში არიან უახლეს ცვლილებებთან. რა თქმა უნდა, ეს ეხება მხოლოდ სამართლის მეცნიერებისა და ფილოსოფიური სამართლის მეცნიერების პატარა ველს. ამ შესაძლებლობების თანმიმდევრული გამოყენება ახლებურად წარმოაჩენს გარემოსდაცვით აქტივიზმს, იმის აუცილებლობის გარეშე, რომ გარემოსდაცვითი პროტესტის კონკრეტული ქმედებები შედარებულ იქნეს „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის“ ფართოდ განხილულ, ბუნდოვან მოდელთან. მაგრამ ეს იქნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, განსაკუთრებით რთული თემა, რომელიც აქტუალური უნდა გახდეს არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ საქართველოშიც და ყველგან ჩვენს პლანეტაზე, სადაც არის სამართლებრივი რეჟიმები (და ეს ყოველთვის ნიშნავს იძულებით ნესრიგს). სამართლებრივი თვალსაზრისით, რო-

დესაც საქმე ეხება ისეთ პრობლემას, როგორცაა მოსალოდნელი გლობალური კლიმატური კატასტროფა, არც ეროვნული და არც პოზიტივისტური კრიტიკიუმები არ უნდა იყოს საბოლოოდ პირველხარისხიანი. თუმცა მეორე თავში განხილული შემოთავაზებები ძალიან ცოტაა საიმისოდ, რომ შექმნას, ჩემი აზრით, შემოთავაზებული რეალობის საფუძვლიანი გაგება. მაგრამ ხომ უნდა დარჩეს კიდევ რაღაც გასაკეთებელი. ამ სტატიის დასასრულს შეიძლება იყოს მხოლოდ გულითადი მოწვევა საუბრის ერთად გასაგრძელებლად. ეს, რა თქმა უნდა, არაფერს აკლებს იუბილარი *მერაბ ტურავას* მიმართ პატივისცემის გამოხატვას გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალისა და, მცდელობის შესაბამისად, ამ სტატიის მეშვეობით.<sup>31</sup>

<sup>31</sup> რეტროსპექტიულად, მაგალითის სახით ვიხსენებ საპროცესო სამართლის შემდეგ იენურ მონოგრაფიას: *Grawe, Stefan, Die strafprozessuale Zufallsverwendung, 2008*. ნაშრომის კრიტიკულ მიმოხილვას *იურგენ ველში* შემდეგნაირად აჯამებს: „გრავეს ნამუშევარი გამოიწვევს ნაყოფიერ პოლემიკას. მისი თეზისები უკომპრომისო და ორიგინალურია. უნდა ველოდოთ, რომ მათგან მნიშვნელოვან იმპულსი წამოვა სისხლის სამართლის საპროცესო საინფორმაციო სამართლის მონაცემთა დაცვის მოთხოვნებისთვის.“ *ib. GA 156 (2009) Heft 5, 248*.



# ხანძრის შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ექსპერტიზის ჩატარების თავისებურება

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. **ნინო გოგნიაშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## I. შესავალი

ყველაზე მნიშვნელოვანი პირველდანიყებითი და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება, რომელსაც ფაქტობრივად ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, არის შემთხვევის ადგილის დათვალიერება. იგი სხვა სახის საგამოძიებო მოქმედებებისგან მკვეთრად განსხვავდება თავისი მნიშვნელობითა და მრავალფეროვნებით. შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზანი დანაშაულის კვალის და ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა, ამოღება და ფიქსირებაა, რომელიც გვეხმარება შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენაში.

დანაშაულის თავისებურების გათვალისწინებით დათვალიერებაში შეიძლება მონაწილეობდეს: საექსპერტო – კრიმინალისტიკური სამსახური, კინოლოგიური სამსახური, სახანძრო – ტექნიკური ექსპერტი, სამაშველო სამსახური და ა.შ. შემთხვევის ადგილის დათვალიერება უნდა ჩატარდეს სწრაფად და ობიექტურად, რათა არ მოხდეს კვალის დაზიანება და განადგურება, ვინაიდან აღნიშნული გზით მოპოვებულ ნებისმიერ კვალს, საგანსა თუ ობიექტს, რომელიც კანონის სრული დაცვითაა მოპოვებული, მტკიცებულებითი მნიშვნელობა გააჩნია. გარდა საგამოძიებო მოქმედებებისა, ცალკეული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე მნიშვნელოვანია ასევე, ექსპერტიზების ჩატარება, რომლის გარეშეც, საქმეზე ფაქტობრივი გარემოების დადგენა შეუძლებელია.

## II. ხანძარი და მისი გამომწვევი მიზეზები

დაუზანგვის პროცესი, რომელიც წარმოადგენს ქიმიურ რეაქციას სხვადასხვა ინტენსივობის სიძლიერითა და სინათლის განვითარების მიმდინარეობით, არის ხანძარი. იმისათვის, რომ გაჩნდეს ხანძარი,

მნიშვნელოვანია არსებობდეს სამი ძირითადი კომპონენტი: ჟანგბადი, სითბო და საწვავი. საწვავად შეიძლება გამოყენებული იყოს ნახშირბადი, წყალბადი და ლითონები. არსებობს ხანძრის რამდენიმე ტიპი, კერძოდ, ინდუსტრიული ხანძარი, საყოფაცხოვრებო ხანძარი, ხანძარი სატრანსპორტო საშუალებაში და ხანძრები ბუნებაში.

ინდუსტრიული ხანძრები ძირითადად ქარხნებსა და ფაბრიკებში ხდება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია: (1.) შესწავლილ იქნეს შენობის ექსტერიერი და ინტერიერი. მოხდეს დაზარალებულისა და სხვა იქ მყოფი პირების გამოკითხვა. (2.) განისაზღვროს შენობაში წვადი მასალის არსებობა. (3.) განისაზღვროს პოტენციური სითბოს წყაროები და მათი მდებარეობა. (4.) შესწავლილ იქნეს შენობაში გაყვანილობა. (5.) მოხდეს შენობაში არსებული სიტუაციის აღწერა და ბინის სქემის შედგენა.

საყოფაცხოვრებო ხანძრები შემოსაზღვრული ხანძრების კატეგორიას მიეკუთვნება და აღნიშნული ფაქტის არსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოხდეს: (1.) სახლის, შენობის ექსტერიერისა და ინტერიერის შესწავლა, გამოიკითხოს დაზარალებული, თვითმხილველები და მეხანძრეები;<sup>1</sup> (2.) განისაზღვროს წვადი მასალის არსებობა, მათი სახეობა და მდებარეობა; (3.) შესწავლილ იქნეს ხანძრის გაჩენის კერის ნიშნები და მათი მდებარეობა; (4.) შესწავლილ იქნეს ხანძრის განვითარების გზა და თავისებურებები; (5.) დადგენილ იქნეს ხანძრის გაჩენის კერა.

სატრანსპორტო საშუალებაში ხანძრის შემთხვევაში, უნდა მოხდეს სატრანსპორტო საშუალების სრულფასოვნად დათვალიერება, მითუმეტეს, იმ ადგილზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, სადაც სხვადასხვა სახის კვანძები და აგრეგატები განთავსებული, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ააღება. ავტომობილებში ხანძრის გაჩენის წყარო-

<sup>1</sup> Picozzi, Massimo/Alberto, Intini, Scienze Forensi – Teoria e prassi dell'investigazione scientifica, 2009, გვ. 31.

ებია: (1.) ღია ცეცხლი; (2.) ელექტრო წყაროები; (3.) ცხელი ზედაპირები; (4.) მექანიკური ნაპერწკლები და ა.შ.

ხანძრები ბუნებაში – გავრცელების სამი ძირითადი ფაქტორი არსებობს: ამინდი, ადგილმდებარეობა, წვადი მასალა. აღნიშნული გარემოებების შესწავლის შემდეგ დგინდება ხანძრის გაჩენის მიზეზები.

### III. შემთხვევის ადგილის დათვალიერება ხანძრის შემთხვევაში

ხანძარი წარმოადგენს არაკონტროლირებად წვის პროცესს და მას თან ახლავს არა მხოლოდ მატერიალური ფასეულობების განადგურება, არამედ, იგი ასევე საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასაც.

ხანძრის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ხანძრის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მისი ანალიზი, რათა ზუსტად დადგინდეს, აღნიშნული ფაქტი უბედური შემთხვევა თუ განზრახ ჩადენილი დანაშაული.<sup>2</sup> ინფორმაციის მიღების შემდეგ უნდა მოხდეს მისი გადამონმება თვითმხილველების, მოწმეებისა და დაზარალებულების გამოკითხვის გზით.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ტარდება ხანძრის შემთხვევაში არის შემთხვევის ადგილის დათვალიერება, რომლის განხორციელების ეტაპზეც ხდება ფოტოგადაღება, ოქმისა და შესაბამისი სქემის შედგენა,<sup>3</sup> ასევე ხანძრის კერის დადგენა და ადგილზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ამოღება,<sup>4</sup> ექსპერტიზის ჩატარების მიზნით.

ხანძრის შემთხვევები იმით არის განსაკუთრებული, რომ მისი დათვალიერება და სრულფასოვანი

ნი გამოძიება, დიდ გამოცდილებას მოითხოვს, მას განსაკუთრებული სპეციფიკა ახასიათებს და გამოუცდელი ადამიანისთვის, გამომძიებელი იქნება, პროკურორი თუ ექსპერტი, შეიძლება ის მხოლოდ დამწვარ ნივთებთან, ჩამონგრეულ კედლებსა და ნარჩენებთან იყოს ასოცირებული, რაც თავიდანვე განაპირობებს საქმის ფატალურ დასასრულს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების ეფექტურობა დამოკიდებულია სპეციალური ტაქტიკური წესების დაცვასთან, ასევე ყველა საჭირო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენებასთან, რომელიც ექვემდებარება პროცესუალურ დამაგრებას და გვადლევს შესაძლებლობას სხვა მტკიცებულებებთან ერთად გამოვიტანოთ დასკვნა დანაშაულის მექანიზმისა და გამოსაძიებელი შემთხვევის გარემოებების შესახებ. იმაზე, თუ რამდენად დროულად, სრულად და ობიექტურად მოხდება მისი ჩატარება, დამოკიდებულია გამოძიების შემდგომი ბედი.

დათვალიერების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სპეციალური ტაქტიკური ხერხებისა და სამეცნიერო-ტექნიკური საშუალების სწორად გამოყენებაზე, რომელიც მიღებული შედეგების ჩათვლით ექვემდებარება პროცესუალურ დამაგრებას.

ხანძრის შემთხვევის ადგილის დათვალიერება ტარდება შემდეგი საკითხების გადასაწყვეტად: (1.) საგნების, ობიექტების, მანქანის, მექანიზმისა და კონსტრუქციების მდგომარეობის დასაფიქსირებლად; (2.) ხანძრის გაჩენის კერისა და ხანძრის წარმოშობის მიზეზის განსასაზღვრად; (3.) ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენის მიზნით იმ ნივთიერებების და საგნების ამოსაღებად, რომლებიც ექვემდებარება ლაბორატორიულ კვლევას;<sup>5</sup> (4.) სახანძრო – უსაფრთხოების წესების დარღვევისა და მისგან გამომწვეულ შედეგებს შორის კავშირის გარკვევის მიზნით; (5.) ხანძრის გამომწვევისა და მისი გავრცელების ხელისშემწყობი ფაქტების დადგენა და ხანძრის თავიდან აცილების რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

ხანძრის შემთხვევების გამოძიების აქტუალობა აიხსნება იმით, რომ მოქალაქეთა მატერიალური

<sup>2</sup> გოგნიაშვილი, ნინო, კრიმინალისტიკა, 2021, გვ. 50.

<sup>3</sup> მნიშვნელოვანია მოხდეს სქემის შედგენა, რომელიც საშუალებას აძლევს საგამოძიებო ორგანოებს ფოტო, ვიდეო მასალასა და ოქმთან ერთად სრულფასოვანი დასკვნები გამოიტანოს საქმის არსისა და ვითარების შესახებ. შემთხვევის ადგილის სრული და ზუსტი აღწერა ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ამ ფაქტობრივი მასალის შეკრება და დამუშავება გაამყარებს კვლევისას წარმოშობილ მოსაზრებებსა და დასკვნებს და დაეხმარება საგამოძიებო ორგანოსა და ექსპერტებს შესაბამისი ვერსიების აგებაში.

<sup>4</sup> Чешко, Илья Данилович, Технические основы расследования пожаров: Методическое пособие, 2002, გვ. 29.

<sup>5</sup> ადგილზე ორთქლის ან ადვილად ააღებადი სითხის კვალის გამოსავლენად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ულტრაიისფერი სხივები, ინდიკატორები, გაზოანალიზატორები და ა.შ.

ღირებულებებისა და საკუთრების დაცვა სახელმწიფოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული გარემოება ავალდებულებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს სრულყოფილ პროფილაქტიკური მეთოდები, დროულად დაადგინონ ხანძრის გამომწვევი მიზეზები და გამოავლინონ ის პირები, რომლებიც დამნაშავე არიან ხანძრის გაჩენაში.

ხანძრის ადგილის დათვალიერება, როგორც უკვე აღინიშნა, ნებისმიერი ხანძრის შემთხვევის გამოძიების ეტაპზე მნიშვნელოვანი საპროცესო მოქმედებაა. მოცემულ შემთხვევაში დათვალიერება უნდა განვიხილოთ, როგორც მნიშვნელოვანი და ობიექტური ინფორმაციის წყარო. უხარისხოდ ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება პრაქტიკულად განაპირობებს ხანძრის გამოძიების წარუმატებლობას.

აღმოჩენილი კვლებისა და სხვა ობიექტების დათვალიერება ხორციელდება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილას. იმ შემთხვევაში თუ საგნებისა და ობიექტების დასათვალიერებლად დიდი დრო არის საჭირო, ამ შემთხვევაში შესაძლებელია, სათანადო წესით იქნეს ამოღებული ობიექტები და დათვალიერებული იმ ადგილას, სადაც აღნიშნული მოქმედების განხორციელება შეუფერხებლად, სრულყოფილად იქნება შესაძლებელი.

დათვალიერებამ, რომელიც მიმართულია იმ მტკიცებულებათა აღმოსაჩენად, რომელიც მხოლოდ ერთი კონკრეტული ვერსიის დასამტკიცებლად გვჭირდება, შეიძლება მიგვიყვანოს ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაკარგვამდე, რომელიც სხვა ვერსიის წამოსაყენებლად იქნებოდა საკმარისი და მოგვცემდა შესაძლებლობას უფრო ობიექტურად განგვიხილა აღნიშნული შემთხვევა.<sup>6</sup> შემთხვევის ადგილის დროული დათვალიერება იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს ხანძრის რეალური მიზეზი.<sup>7</sup>

ხანძრის შემთხვევის ადგილის დათვალიერება, კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, ხორციელდება იმ მიზნით, რომ დადგინდეს: (1.) გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ ხანძრის კერის განვითარებაზე და მისი წარმოშობის მიზეზებზე; (2.) ცეცხ-

ლის გავრცელების მექანიზმის შესახებ მონაცემები, გარემოებები, რომელიც ხელს უწყობს ხანძრის გავრცელებას, და ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის ხასიათი.

ხანძრების დიდი ნაწილი ხდება გაუფრთხილებლობით, როგორც გაუფრთხილებელი ქმედებისა ან გარკვეული პირების დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგი. იშვიათად ხანძარი ხდება ბუნებრივი მოვლენების შედეგად (მზის სხივები, ქექაქუხილი), თუმცა, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია გამოკვეთილი იქნეს დამნაშავე პირები, რომელთაც არ მიიღეს შესაბამისი პროფილაქტიკური ზომები, ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად.

დათვალიერების ეტაპზე მნიშვნელოვანია გამოვყოთ უშუალოდ ხანძრის ზონა (რომელიც პირველ რიგში უნდა იქნეს დათვალიერებული) დაკვამლიანების ზონისგან. შემთხვევის ადგილის დეტალური დათვალიერებისათვის ხანძრის ადგილი უნდა დაიყოს ცალკეულ უბნებად. ცალკეული უბნების ზომა დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე – ბინაზე ან დანესებულებაზე, ეს შეიძლება იყოს ცალკეული ოთახებიც. პრაქტიკაში გამოიყენება დათვალიერების ორი მეთოდი: სტატიკური და დინამიკური.<sup>8</sup>

სტატიკური მეთოდი მოიცავს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას ხანძრის ადგილზე საგნების პირველადი განთავსების გათვალისწინებით, უძრავ მდგომარეობაში. ზოგადი დათვალიერების ეტაპზე რეკომენდირებულია გამოყენებული იქნეს მხოლოდ სტატიკური მეთოდი და დაფიქსირდეს სხვადასხვა სახის კვლები და სხვა სახის თავისებურებები, ისე, რომ არ გადავადგილოთ გამოსაკვლევი საგნები. შემთხვევის ადგილის დათვალიერების მოცემული ტაქტიკა არის გარანტი იმისა, რომ შემთხვევის გარემოებები იყოს დადგენილი მისი პირველადი სახით, იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც დახვდათ სამართალდამცავი ორგანოების ყველა საგანი და გარემოება რჩება ხელუხლებელი, არაფერი არ იცვლება, არ მოძრაობს. სტატიკურ დათვალიერებას მიზანმიმართულად უნდა ახლდეს თან ფოტო და ვიდეო გადაღება. დინამიკური მეთოდი დაკავშირებულია საგნების გადაადგილების გზით ხანძრის წარჩენების დათვალიერებასთან.

<sup>6</sup> *Брайнин, Михаил Семенович*, Расследование дел о пожарах, 1956, გვ. 56.

<sup>7</sup> *Sidoti, Francesco*, L'investigazione e le scienze umane, L'aquila, Edizioni Libreria Colacchi, 2006, გვ. 83.

<sup>8</sup> *Александров, Игорь Викторович*, Криминалистика Тактика и методика, 2018, გვ. 322.

დინამიკური დათვალიერების შემდეგ საგნებისა და ობიექტების პირველადი განთავსების ადგილზე დაბრუნება შეუძლებელი იქნება.

დინამიკური დათვალიერება ტარდება სტატიკური დათვალიერების დასრულებისა და მისი შედეგების ოქმში ფიქსაციის შემდეგ. დინამიკური დათვალიერების ეტაპზე დგინდება ხანძრის კერა, ამიტომ იგი უნდა ჩატარდეს, პირველ ყოვლისა იმ ადგილებში, სადაც სავარაუდოდ გაჩნდა ხანძარი. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ სტატიკური დათვალიერების ეტაპზე ხანძრის კერის პირველადი დადგენა აღმოჩნდეს არაზუსტი, სწორედ ამიტომ, დინამიკური დათვალიერება უნდა ჩატარდეს უშუალოდ ხანძრის კერის ადგილას. რაც უფრო დიდია ხანძრის ზონა და მის მიერ მიყენებული ზიანი, უფრო მეტი ძალისხმევა არის საჭირო დინამიკური დათვალიერების ეტაპზე.

დინამიკური დათვალიერების ეტაპზე შესაძლებელია კონსტრუქციის დაშლა, რათა უფრო ზედმიწევნით მოხდეს ობიექტის დათვალიერება. ხანძრის შემთხვევის ადგილზე სამუშაოების განხორციელებისას, შესაძლებელია აღმოჩენილი იქნეს სხვადასხვა სახის საგნები და მონყობილობები, რომლებიც ნაწილობრივ არის დამწვარი, ასევე იატაკის ნაწილი, რომელზედაც შემორჩენილი შეიძლება იყოს ისეთი სახის კვალი, რომელიც აშკარად მიუთითებს იქ, ხანძრამდე არსებულ ნივთზე, საგანსა და ობიექტზე. მნიშვნელოვანია, ყურადღება იქნეს გამახვილებული ადგილზე არსებულ სუნზეც, სადაც შესაძლოა აღმოჩენილ იქნეს საწვავის აშკარა კვალი, რომელმაც გამოიწვია ხანძრის გაჩენა. დათვალიერების დასკვნით ეტაპზე უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა ის ნაკლოვანება, რომელიც წინა პერიოდში გამოიკვეთა. შემდგომ კი ხდება ამოღებული საგნებისა და ობიექტების ამოღება, შეფუთვა და დალუქვა.<sup>9</sup>

<sup>9</sup> Чешко, Илья Данилович/ЮН, Николай Васильевич/Плотников, Виктор Георгиевич, Осмотр места пожара, методическое пособие, 2004; Максимов, Павел Викторович, Рентгенофлуоресцентные методы исследования объектов пожарно-технической Экспертизы, Вестник Кокшетауского технического института, №3(23), 2016, 7.

#### IV. სახანძრო – ტექნიკური და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და მისი მნიშვნელობა ხანძრის შემთხვევების გამოძიების ეტაპზე

ექსპერტიზის ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არაერთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე, ხანძრის შემთხვევების დროს კი მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ხანძრის გამომწვევი მიზეზები და ის პირები, რომელთაც განახორციელეს დანაშაულებრივი ქმედება. ხანძრის შემთხვევაში მნიშვნელოვანია: სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა, ქიმიური ექსპერტიზა, სასამართლო – ელექტრო ტექნიკური ექსპერტიზა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა (როდესაც შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია ადამიანის გვამი).

სახანძრო – ტექნიკური ექსპერტიზა ერთ – ერთი ყველაზე რთული სახის ექსპერტიზაა. მის სირთულეს განაპირობებს რამდენიმე ფაქტორი: 1. ხანძრის დროს ნადგურდება შემთხვევის ადგილი და იქ არსებული ნივთები, საგნები და ობიექტები; 2. ხანძრის ნარჩენებში რთულია აალების წყაროს აღმოჩენა; 3. ხანძრის ჩაქრობისას ხდება ადგილზე არსებული ნივთებისა და ობიექტების გადაადგილება, რაც ართულებს ადგილის ხარისხიან გამოკვლევას; 4. აალების წყაროს დადგენისას მნიშვნელოვანია იმ კონკრეტული ხელსაწყოების, მათი აგებულებისა და სხვა ფაქტორების ცოდნა, რამაც გამოიწვია ხანძრის გაჩენა; 5. ხანძრის ადგილის დათვალიერების პრობლემა სამშენებლო კონსტრუქციების განადგურების გამო.

ხანძრის ადგილის დათვალიერებისა და ექსპერტიზის ჩატარებისას, მნიშვნელოვანია დაცული იქნეს უსაფრთხოების ზომები, არა მხოლოდ იქ არსებული კვალისა და სხვა მტკიცებულებების შენარჩუნების, არამედ მომუშავე პირების უსაფრთხოების დაცვის მიზნითაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემთხვევის ადგილზე გასვლამდე ექსპერტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია: 1. უსაფრთხო არის თუ არა ხანძრის ადგილზე გასვლა და გადაადგილება; 2. ხანძრის ყველა კერა არის თუ არა ჩამქრალი; 3. დამწვარი არის თუ არა მყარი კონსტრუქციები; 4. ადგილზე ხომ არ იმყოფებოდა რაიმე ტოქსიკური, რადიაციული ან ფეთქებად საშიში მასალა; 5. დაცული არის თუ არა სათანადოდ შემთხვევის ადგილი და ა.შ.

ინფორმაციის მიღება განაპირობებს შემთხვევის ადგილზე დასაგეგმი ღონისძიებების თანმიმდევრობას. ნივთმტკიცებების ამოღების შემდგომ ხდება მათი ლაბორატორიებში გადატანა შემდგომი ქიმიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით. ქიმიური მეთოდით გამოკვლევა ტარდება ულტრაიისფერი დასხივების მეთოდით და ქრომატოგრაფიული გამოკვლევის მეთოდით. ასევე, არსებითია სასამართლო – ელექტროტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებაც, რაც იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს ელექტროსადენებით ხანძრის გაჩენის ალბათობა.

ხანძრის შემთხვევაში მნიშვნელოვანია სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზაც, როდესაც ხანძრის დროს აღმოჩენილი იქნება ადამიანის გვამი. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რამ გამოიწვია ადამიანის გარდაცვალება – ხანძარმა თუ სხვა გარემოებამ. შესაბამისად, ექსპერტიზით უნდა დადგინდეს დამწვრობა სიცოცხლისდროინდელია, თუ სიკვდილის მერე განვითარებული.<sup>10</sup> დამწვრობის სიცოცხლის დროინდელიობის დასადგენად მნიშვნელოვანია ქსოვილებისა და ორგანოების მიკროსკოპული კვლევა. დამწვრობის სიცოცხლისდროინდელიობის მაჩვენებელია ფილტვების სისხლძარღვებში ცხიმოვანი ემბოლიის აღმოჩენა, ასევე შინაგანი ორგანოების სისხლძარღვებში, ღვიძლის კუპერის უჯრედებში და ლეიკოციტების ციტოპლაზმაში ჭვარტლის მცირე ნაწილაკების აღმოჩენა.<sup>11</sup> გარდა ამისა, გვამი იღებს მოკრივის პოზას, რაც განპირობებულია კუნთების დამოკლებით, რის გამოც ისინი მკვრივდება და ე.წ. „სითბური გაშეშება“ იწყება. დამწვრობამ შეიძლება იმდენად დააზიანოს ადამიანის სხეული, რომ მისი ამოცნობა შეუძლებელი გახდეს.<sup>12</sup> ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გვამის კბილებზე, თანდაყოლილ და შეძენილ ბიოლოგიურ ნიშნებზე დაკვირვება. იდენტიფიკაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ტანსაცმლის დარჩენილი მცირე ნაწილების შესწავლას ენიჭება.

## V. დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ხანძრის შემთხვევების გამოძიება რთული და ამავდროულად ძალიან სპეციფიკურია. საგამოძიებო მოქმედებებისა და ექსპერტიზის ჩატარება დიდ დროს, ენერგიასა და ცოდნას მოითხოვს. მნიშვნელოვანია სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების არა მხოლოდ გამოყენება, არამედ მათი სწორი გამოყენებაც, რათა არ მოხდეს შემთხვევის ადგილზე არსებული კვალისა და გადარჩენილი ნივთიერი მტკიცებულებების სრულად განადგურება.

მნიშვნელოვანია საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლებისა და ექსპერტების სათანადოდ მომზადება, შესაბამისი სასწავლო ბაზის მონაცემი, რაც სამწუხაროდ საქართველოში ამ ეტაპზე ჯერ კიდევ მიუწვდომელია. საქართველოში არ არსებობს ასევე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მთელი რიგი ნორმები და შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული კი იმ თანამედროვე მიღწევებიდან უნდა გამომდინარეობდეს, რაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების პრაქტიკაში წარმატებით გამოიკვეთა და ხელს უწყობს ასეთი კატეგორიის საქმეების სრულფასოვან გამოძიებასა და შესაბამისი ექსპერტიზების ჩატარებას.

<sup>10</sup> Cattaneo, Cristina/ De Angelis, Danilo/Grandi, Marco, Mass disasters, in: Schmitt/Cunha/Pinheiro (eds.), Forensic Anthropology and Medicine, Complementary Sciences from Recovery to Cause of Death, Humana Press, NY, 2006, 359.

<sup>11</sup> კილასონია, ბესარიონ, სასამართლო მედიცინა, თბილისი, 2011, გვ. 186.

<sup>12</sup> Picozzi, Massimo/Alberto, Intini, Scienze Forensi – Teoria e prassi dell'investigazione scientifica, 2009, გვ. 152.

# თანხმობის საფუძველზე განხორციელებული ჩხრეკის სამართლებრივი პრობლემატიკა

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *მაკა ხოდელი, LL.M.* (ფრაიბურგი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლიდან გამომდინარე, საცხოვრებელში ან სხვა მფლობელობაში შესვლის, ჩხრეკის უფლების მოპოვების სამი ალტერნატივა არსებობს: მფლობელი პირის ნებართვა, მისი ნების არარსებობის შემთხვევაში კანონით დადგენილი მიზნითა და კანონის შესაბამისად სასამართლოს გადაწყვეტილება, გადაუდებელი აუცილებლობის გარემოება.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის<sup>2</sup> 112-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით. ამ მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად კი, თანამესაკუთრის ან თანამფლობელის ან კომუნიკაციის ერთი მხარის თანხმობა საკმარისია ამ ნაწილით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების სასამართლოს განჩინების გარეშე ჩასატარებლად.

პირის თანხმობის შემთხვევაში, კონსტიტუციით გარანტირებული ამ მნიშვნელოვანი უფლებების შეზღუდვაზე სასამართლო კონტროლის სავალდებულობა არ ვრცელდება, რადგან პირის ნებართვა, თავის მხრივ, გამორიცხავს ამ უფლების დაცვის სფეროში ჩარევას.<sup>3</sup> პრობლემას ქმნის პირის

რის თანხმობის ნებაყოფლობითობის საკითხი, მისი ფარგლები, მისი ფორმა, ე.წ. მესამე პირთა უფლებები. აღნიშნული საკითხები არ არის საქართველოს კანონმდებლობით დარეგულირებული, რამაც შეიძლება რისკი შეუქმნას თანხმობის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობას. წინამდებარე სტატია სწორედ ამ პრობლემატიკის განხილვას ისახავს მიზნად და ღრმა პატივისცემის გამოხატვის დასტურად ეძღვნება პატივცემულ იუბილარს, პროფესორ მერაბ ტურავას.

## II. საკანონმდებლო რეგულაცია და ძირითადი პრობლემატიკა

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, არავის არ აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების სანაღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განმარტების თანახმად, „საცხოვრებელი ბინა ან სხვა მფლობელობა არის ნებისმიერი უძრავი ან საცხოვრებლად განკუთვნილი მოძრავი ნივთი, ქონება, რომელიც საკუთრებაში ან მუდმივ თუ დროებით მფლობელობაში ან სარგებლობაში აქვს გადაცემული ინდივიდს“<sup>4</sup>. გადამწყვეტ კრიტერიუმს

<sup>1</sup> გადაუდებელი აუცილებლობის გარემოების შემთხვევაში უფლების შეზღუდვის კანონიერებას შემდგომ (a posteriori) ამოწმებს სასამართლო. გადაუდებელი აუცილებლობის შინაარსობრივი განმარტების შესახებ საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N 1/3/407 გადაწყვეტილება, II, 26.

<sup>2</sup> შემდგომში შემოკლებულია, როგორც სსსკ.

<sup>3</sup> *ფაფიაშვილი, ლალი*, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 42, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>). ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>4</sup> *კობახიძე, ირაკლი*, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, გვ. 186.

საცხოვრებელი მფლობელობის განსაზღვრისას წარმოადგენს ცხოვრების მიზნის სუბიექტური განსაზღვრა და მისი ობიექტური შეცნობადობა.<sup>5</sup> აქ უპირატესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მესაკუთრის თუ მფლობელის მხრიდან ამ ობიექტთან მიმართებით განმარტოების მოლოდინს და საზოგადოების მზაობას, დასაბუთებულად აღიაროს ასეთი მოლოდინი.<sup>6</sup>

საცხოვრებლის ან სხვა მფლობელობის, როგორც პირადი ცხოვრების კერძო სფეროს სივრცითი გამოხატულების<sup>7</sup> ხელშეუვალობა გულისხმობს არა ჩარევის აბსოლუტურ აკრძალვას, არამედ თვითნებური ჩარევის დაუშვებლობას.<sup>8</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ინდივიდის ნებართვა გამორიცხავს საცხოვრებლისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლების დაცვის სფეროში ჩარევას.<sup>9</sup> იმისთვის, რომ გარკვეული მოქმედება ჩაითვალოს ძირითად უფლებაში ჩარევად, ის უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი სუბიექტის ნების საწინააღმდეგოდ.<sup>10</sup> ამასთან, ნებართვა უნდა იყოს ყოველგვარი იძულებისა თუ მოტყუების გარეშე მიღებული. საქართველოს სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-5 წინადადებით დადგენილი შესაძლებლობა, რომ ჩხრეკა ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშე, თუკი თანამესაკუთრე ან თანამფლობელი თანახმაა, არაა საქართველოს კანონმდებლობით დეტალურად დარეგულირებული.

<sup>5</sup> *კობახიძე, ირაკლი*, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 187.

<sup>6</sup> *ფაფიაშვილი, ლალი*, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 40, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>). ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>7</sup> შეად. *კობახიძე, ირაკლი*, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 187.

<sup>8</sup> *ლოლაძე, ბესიკ*, მუხლი 15, წიგნში: *ლოლაძე ბესიკ, ფირცხალაიშვილი, ანა*, ძირითადი უფლებები, 2023, გვ. 317.

<sup>9</sup> *კობახიძე, ირაკლი*, მუხლი 20 – პირადი ცხოვრების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობა, წიგნში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 189; ასევე, იხ. *ლოლაძე, ბესიკ*, მუხლი 15, წიგნში: *ლოლაძე ბესიკ, ფირცხალაიშვილი, ანა*, ძირითადი უფლებები, 2023, გვ. 330.

<sup>10</sup> *ლოლაძე, ბესიკ*, მუხლი 15, წიგნში: *ლოლაძე ბესიკ, ფირცხალაიშვილი, ანა*, ძირითადი უფლებები, 2023, გვ. 330.

გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში ჩხრეკის ჩატარების საკანონმდებლო რეგულირება მოცემულია გერმანიის სსსკ-ის 105-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, ჩხრეკა ტარდება მხოლოდ მოსამართლის ნებართვის საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობის გარემოებისას – პროკურორის და გამომძიებლის გადაწყვეტილებით. გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში განიმარტება, რომ მოსამართლის ბრძანება ჩხრეკის შესახებ აუცილებელია, როდესაც პირი არ გამოთქვამს თანხმობას მის წარმოებაზე.<sup>11</sup> ასე, რომ ჩხრეკის შესახებ მოსამართლის ბრძანება არაა საჭირო, როდესაც პირი ამ ღონისძიების ჩატარებას ნებაყოფლობით და ღიად თანხმდება.<sup>12</sup> აღსანიშნავია, რომ თუკი სახეზე არ არის კანონით გათვალისწინებული გარკვეული წინაპირობები (გერმანიის სსსკ-ის 102 და შემდგომი მუხლები), პირს უნდა განემარტოს მისი მხრიდან ამ ღონისძიების ჩატარების ნებაყოფლობითობა.<sup>13</sup> ნებაყოფლობითობის დადასტურება, როგორც წესი, განისაზღვრება მთელი რიგი გარემოებების წინასწარი გაცნობითა და განმარტებით.<sup>14</sup> თუკი სივრცეს რამდენიმე ადამიანი იყენებს, ყველამ უნდა გამოაცხადოს ჩხრეკაზე თანხმობა.<sup>15</sup> ზოგიერთი მათგანის არყოფნის შემთხვევაში თანხმობა არ შეიძლება უპირობოდ ვივარაუდოთ.<sup>16</sup>

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განვითარებულია მოსაზრება, რომ ნებართვა უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული, ხოლო ამის შეფასების განმსაზღვრელ ფაქტორს უნდა წარმოადგენდეს „ობიექტური გონიერულობა“ ანუ რამდენად დაიჯერებდა გონიერი ადამიანი, რომ თანხმობის გამცემ პირს ჰქონდა აღნიშნული უფლებამოსილება.<sup>17</sup>

<sup>11</sup> *Köhler, Marcus* in: *Meyer-Goßner/Schmitt*, StPO, 67. Aufl, 2024, §105, Rn. 1.

<sup>12</sup> *Eisenberg, Ulrich*, Beweisrecht der StPO, 10. Auflage, 2017, Rn. 2402.

<sup>13</sup> *Köhler, Marcus* in: *Meyer-Goßner/Schmitt*, StPO, 67. Aufl, 2024, §105, Rn. 1.

<sup>14</sup> *Eisenberg, Ulrich*, Beweisrecht der StPO, 10. Auflage, 2017, Rn. 2402.

<sup>15</sup> *Eisenberg, Ulrich*, Beweisrecht der StPO, 10. Auflage, 2017, Rn. 2402.

<sup>16</sup> *Eisenberg, Ulrich*, Beweisrecht der StPO, 10. Auflage, 2017, Rn. 2402.

<sup>17</sup> *ფაფიაშვილი, ლალი*, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუ-

გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, თანხმობით განხორციელებული ჩხრეკის წარმოებისას დასაშვებია თანხმობის უკან გამოთხოვა (გაუქმება).<sup>18</sup> თუმცა, აღნიშნული არ იწვევს ღონისძიების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, როდესაც მის გაგრძელებას კანონი (გერმანიის სსსკ-ის 105-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი)<sup>19</sup> შესაძლებელს ხდის.<sup>20</sup> მსგავსი პოზიციის განვითარებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ ნებართვის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების დროს, ნებართვის გამცემ პირს აქვს უფლება, ნებისმიერ მომენტში უკან გამოითხოვოს ნებართვა.<sup>21</sup>

საინტერესოა იმ საკითხების გამოყოფა, თუ რა ქმნის თანხმობის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის ძირითად პრობლემატიკას.

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი, როგორც წესი, გარკვეული ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობაა, რომელიც ამ მოქმედების ჩატარების საჭიროებას ადასტურებს. თანხმობის საფუძველზე განხორციელებული ჩხრეკის ჩატარებისას, როგორც წესი, გამოძიების ორგანოს არ მოეთხოვება დასაბუთებული ვარაუდის არსებობის მტკიცება, რომ პირი შესაძლოა ჩართული იყოს დანაშაულებრივ საქმიანობაში.<sup>22</sup> ამდენად, ამ შემთხვევაში მსგავსი სტანდარტის არსებობა, ამ საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების საჭიროება ვერ დგინდება ობიექტური პირის (მოსამართლის) მიერ. სასამართლოს ან პროკურორის მიერ კონსტიტუციით გარანტირებული უფლების

შეზღუდვა წარმოადგენს პირის უფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევის თავიდან აცილების მექანიზმს. თანხმობის შემთხვევაში კი ეს გარანტია ნაკლებად არსებობს.

აღსანიშნავია, რომ თანხმობით განხორციელებულ ჩხრეკასთან მიმართებით გამოძიების ორგანოთა უფლებამოსილება მეტად ფართოა. მათ ეძლევათ ნებისმიერი ადგილისა თუ პირის, ნებისმიერ დროს ჩხრეკის წარმოების შესაძლებლობა მიზეზების კონკრეტული განმარტების ვალდებულების გარეშე.<sup>23</sup> თანხმობის განმცხადებელმა პირმა კი, თანხმობის მიუხედავად, შესაძლოა თავი დაუტყველად და მოწყვლად მდგომარეობაში იგრძნოს, რამდენადაც თავად ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ვითარება იძულებითი ხასიათის მატარებელია. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია პირის მხრიდან გაცხადებული თანხმობის რეალური ნებაყოფლობითობის შეფასება.

კანონმდებელი არ განსაზღვრავს თანხმობის ფორმას. შესაბამისად, თანხმობა შეიძლება იყოს წერილობით გამოსატყუი ან ზეპირად. შეიძლება თუ არა, რომ თანხმობა ივარაუდებოდეს, იყოს დუმილით გამოსატყუი? გერმანულ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ მდუმარე თანხმობა არ არის საკმარისი და ასეთი თანხმობა ვერ გაათავისუფლებს საგამოძიებო ორგანოს მოსამართლის ბრძანების აუცილებლობისგან.<sup>24</sup>

აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობა არ ადგენს ვალდებულებას, შემონმდეს თანხმობის გამცემი პირის ქმედუნარიანობა.<sup>25</sup> მაგ.: არის თუ არა პირი ნასვამ მდგომარეობაში, ფსიქიკური პრობლემების მქონე, შესაძლებლობის გარკვეული შეზღუდვა ხომ არ აქვს?

თანხმობის ნებაყოფლობითობის შეფასებისას მნიშვნელოვანია, თუ რა გარემოებებში მოხდა თან-

ციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 51, 57, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>18</sup> Eisenberg, Ulrich, Beweisrecht der StPO, 10. Auflage, 2017, Rn. 2402a.

<sup>19</sup> იგულისხმება გადაუდებელი აუცილებლობის გარემოება.

<sup>20</sup> Eisenberg, Ulrich, Beweisrecht der StPO, 10. Auflage, 2017, Rn. 2402a.

<sup>21</sup> ფაფიაშვილი, ლალი, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 49, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>22</sup> ფაფიაშვილი, ლალი, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 42-43. (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>23</sup> შეად. ფაფიაშვილი, ლალი, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 43, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>24</sup> Eisenberg, Ulrich, Beweisrecht der StPO, 10. Auflage, 2017, Rn. 2402; Köhler, Marcus in: Meyer-Goßner/Schmitt, 67. Aufl, 2024, §105, Rn. 1.

<sup>25</sup> ფაფიაშვილი, ლალი, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 44, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).



ხმობის გაცემა. შესაძლებელია, გამოძიების ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან ადგილი ჰქონდეს დაუშვებელი მეთოდების გამოყენებას. ეს შეიძლება იყოს ძალის დემონსტრირება, დაშინება, მოტყუება, შანტაჟი. თანხმობა არ უნდა იყოს აშკარა ან ნაგულისხმევი იძულებისა თუ დაშინების შედეგი.<sup>26</sup> გარდა, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლისგან განხორციელებულ ქმედებისა, მნიშვნელოვანია თანხმობის გამცემი პირის სუბიექტური აღქმა, მისი პიროვნული ფაქტორებიდან გამომდინარე. მაგ. ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორცაა პირის ასაკი თუ განათლება.<sup>27</sup>

საქართველოს სსსკ-ი არ ითვალისწინებს პირისთვის მისი უფლებების შესახებ შესაბამისი განმარტების ვალდებულებას, მათ შორის, ჩხრეკის ჩატარებაზე უარის თქმის უფლების შესახებ. ლიტერატურაში აღინიშნება, რომ თანხმობის ნებაყოფლობითობა არ არის დამოკიდებული უარის თქმის უფლების ცოდნაზე<sup>28</sup> და რომ პირისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა უარის თქმის უფლების შესახებ არ წარმოადგენს თანხმობის უკანონობის საფუძველს.<sup>29</sup> თუმცა, თუკი პირს განემარტა ჩხრეკის ნებართვაზე უარის თქმის უფლება, აღნიშნული აშკარად იქნება ნებართვის ნებაყოფლობითობის მაჩვენებელი ძლიერი ფაქტორი.<sup>30</sup>

<sup>26</sup> ფაფიაშვილი, ლალი, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 47, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>27</sup> ფაფიაშვილი, ლალი, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 45, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>28</sup> ფაფიაშვილი, ლალი, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 46, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>29</sup> ფაფიაშვილი, ლალი, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 47, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>30</sup> ფაფიაშვილი, ლალი, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 47, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ნებაყოფლობითობის საკითხის განხილვისას უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა ერთობლიობა, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს გამოძიების ორგანოთა მიერ თანხმობის მისაღებად გამოყენებული ტაქტიკა,<sup>31</sup> შექმნილი გარემო პირობები, პირის სუბიექტური დამოკიდებულება, ემოციური მდგომარეობა და ა.შ.

### III. სასამართლო პრაქტიკა

თანხმობის საფუძველზე განხორციელებული ჩხრეკის შეფასებაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულმა პოზიციამ, რომელმაც მოგვიანებით განსაზღვრა სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 19 მაისის განაჩენში განმარტა, რომ „გადაუდებელი აუცილებლობის გამო ბინასა თუ სხვა კერძო მფლობელობაში თუნდაც მისი მესაკუთისა და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ შესაბამისი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე“.<sup>32</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 25 მაისის განაჩენით თითქმის სიტყვა-სიტყვით გაიმეორა, რომ „გადაუდებელი აუცილებლობის გამო პირადი ჩხრეკის, ასევე, ბინასა თუ სხვა კერძო მფლობელობაში თუნდაც მისი მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის თანხმობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება უნდა შეამოწმოს სასამართლომ შესაბამისი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე“.<sup>33</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლო 2022 წლის 3 ნოემბრის განჩინებაში, სადაც საუბარია

<sup>31</sup> ფაფიაშვილი, ლალი, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 44, (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>32</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 19 მაისის გადაწყვეტილება #609აპ-15.

<sup>33</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება #605აპ-15.

ჰოსპიტალიდან სამედიცინო დოკუმენტაციის ამოღებაზე, აღნიშნავს, რომ „სსსკ 120-ე მუხლის მე-2, მე-4 ნაწილებისა და 112-ე მუხლის პირველი, მე-5 ნაწილების შესაბამისად, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება მოითხოვს სასამართლოს განჩინების ან გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში – გამომძიებლის დადგენილების არსებობას, რაც, თავის მხრივ მოითხოვს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმებას სასამართლოს მიერ, თუნდაც ასეთი საგამოძიებო მოქმედება ჩატარებული იყოს პირის თანხმობით“.<sup>34</sup>

სასამართლო პრაქტიკა თანხმობის საფუძველზე განხორციელებული ჩხრეკა-ამოღების შესახებ ამყარებს სამეცნიერო ლიტერატურაში ჩამოყალიბებულ პოზიციას, რომ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის პირობებში უმჯობესია ინფორმაციის მოპოვება მოხდეს სასამართლო ნებართვის საფუძველზე.<sup>35</sup> ლიტერატურაში აღინიშნება, რომ მართალია, თანხმობით ჩატარებული ჩხრეკის ლეგიტიმურობა არ საჭიროებს სასამართლოს მიერ დადასტურებას, თუმცა არ გამორიცხავს ამ ფორმით ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების შემოწმებას სასამართლოს მიერ, როდესაც მხარე ასაჩივრებს ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის კანონიერებას.<sup>36</sup> ბოლო წლებში ჩამოყალიბებული

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ნებაყოფლობითობის მიუხედავად, პროკურატურა სასამართლოს მიმართავს ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობის მიზნით და მოსამართლის განჩინებით ხდება ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების შეფასება, მისი კანონიერად ან უკანონოდ ცნობა.<sup>37</sup>

#### IV. დასკვნა

საკითხის განხილვის შედეგად გამოიკვეთა თანხმობის საფუძველზე განხორციელებული ჩხრეკის ძირითადი პრობლემური ასპექტები. აღნიშნული ფორმით ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, მათ შორის, თანხმობის წინასწარ დადგენილი ფორმის არარსებობა, ნებაყოფლობითობის შეფასებითობა. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია პირის მიერ გაცემული თანხმობის კანონიერების კრიტერიუმების სსსკ-ით დადგენა.<sup>38</sup> სირთულეს წარმოადგენს თანხმობის ფარგლების განსაზღვრა.<sup>39</sup> შედეგად, დიდია რისკი, რომ თანხმობის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება არაკანონიერად, ხოლო მის შედეგად მიღებული მტკიცებულებები კი დაუშვებლად იქნეს ცნობილი. სწორედ აღნიშნული რისკი განაპირობებს ჩამოყალიბებულ პრაქტიკას, სადაც მიუხედავად პირის თანხმობისა, პროკურატურა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავს ჩატარებული ჩხრეკის კანონიერად ცნობის თაობაზე.

<sup>34</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 3 ნოემბრის განჩინება N845აპ-22.

<sup>35</sup> *ხიდუშელი, თორნიკე*, კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვის სამართლებრივი საფუძვლები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით, 2023, გვ. 119, (ხელმისაწვდომია: [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tornike\\_Khidesheli.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tornike_Khidesheli.pdf) ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>36</sup> *ფაფიაშვილი, ლალი*, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 42, სქოლიო 23. (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024); აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა სამეცნიერო პოზიცია, რომლის მიხედვითაც მხარეს აქვს თავისი და მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულების გამოკვლევის ლეგიტიმური ინტერესი უშუალოდ მოსამართლის წინაშე, განსაკუთრებით იმ მტკიცებულების მიმართ, რომელსაც გადამწყვეტი გავლენა შეუძლია მოახდინოს საბოლოო შედეგზე. ამის მტკიცების ტვირთი თავად მხარეზეა, მან უნდა დაუსაბუთოს სასამართლოს წარმოდგენილი მტკიცებულების გამოკვლევის საჭიროება. იხ. *კოჭლამაზაშვილი, ჰადრი*, მხარის მიერ თავისი მტკიცებულების სადავოდ გახდომისა და გამოკვლევის შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესში,

მართლმსაჯულება და კანონი 3(79) 2023, 5, 19, (ხელმისაწვდომია: <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/gamomtsemloba/martlmsajuleba/pdfs/ABA-79.pdf> ბოლოს ნანახია 30.10.2024).

<sup>37</sup> იხ. მაგ.: ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის განჩინება N11/ბ-442; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 7 ივნისის განჩინება N11/ა-2040.

<sup>38</sup> შეად. *ხიდუშელი, თორნიკე*, კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვის სამართლებრივი საფუძვლები, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით, 2023, გვ. 177, ხელმისაწვდომია: [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tornike\\_Khidesheli.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tornike_Khidesheli.pdf) ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

<sup>39</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. *ფაფიაშვილი, ლალი*, თანხმობის საფუძველზე ჩხრეკის წარმოების პრობლემური საკითხები, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII გამოცემა, 2014, 36, 49 და შემდეგი გვ. (ხელმისაწვდომია: <https://iliauni.edu.ge/uploads/other/41/41652.pdf>. ბოლოს ნანახია: 1.11.2024).

# პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *ბესიკ მეურმიშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## I. შესავალი

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას არსებობს რისკები, რომ შესაძლოა პირადი ცხოვრების დაცული სფერო დადგეს საფრთხის წინაშე და დაირღვეს ადამიანის უფლებები. აღნიშნულის საპირისპიროდ აუცილებელია ამ საგამოძიებო მოქმედებათა კონტროლის ეფექტური მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება, რათა შეიქმნას შესაბამისი წინაპირობები პირად ცხოვრებაში უკანონოდ ჩარევის თავიდან ასაცილებლად.<sup>1</sup> მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შეზღუდვებს როგორცაა მაგალითად, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების აკრძალვა კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით; სასამართლოს მონიტორინგია ასევე დანესებული ამ მოქმედებათა დაწყებასთან, ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და ა.შ.,<sup>2</sup> რაც თითქმის შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.<sup>3</sup> მაგრამ აქვე შეიძლება დაისვას კითხვა: რამდენად ეფექტურია კონტროლის ის მექანიზმები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნულ კანონმდებლობაში? აღნიშნული საკითხი დღემდე აქტუალურია. ფარული საგამოძიებო მოქ-

მედებები, მათი ჩატარების დადგენილი წესიდან გამომდინარე, ურთულესი მოქმედებებია, რომლებიც კომპლექსურად მოიცავენ როგორც სამართლებრივ, ასევე ტექნიკურ მხარეს. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ამ მოქმედებათა მონიტორინგიც არ არის მარტივი. თუმცა, 2014 წლიდან დღემდე, ეროვნულმა კანონმდებლობამ გაითვალისწინა საერთაშორისო მიდგომები და გამოცდილება<sup>4</sup> ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას ეფექტური კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილების ანალიზი, რათა გაირკვეს ახორციელებს თუ არა გარე კონტროლის ეს ორგანო ეფექტურ მონიტორინგს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე. აღნიშნული საკითხის განხილვა ხელს შეუწყობს დადებითი თუ უარყოფითი მხარეების გამოვლენას და სამომავლო გეგმების დასახვას, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ზედამხედველობის გაუმჯობესების კუთხით.

## II. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფლებამოსილება ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას

აღსანიშნავია, რომ როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებაზე მონიტორინგი პრობლემას წარმოადგენს.<sup>5</sup> ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისას დამოუკიდებელი მაკონტროლებ-

<sup>1</sup> იხ. *ჯიაკუმოპულოს, კრისტოს/ ბუტარელი, ჯიოვანი/ ო'ფლურთი, მაიკლ*, მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, გვ. 51-55, [https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Handbook\\_data\\_protection\\_KAT](https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Handbook_data_protection_KAT) (ბოლოს ნანახია: 25.06.2024).

<sup>2</sup> იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1433 მუხლი (შემდგომში შემოკლებულია, როგორც სსსკ).

<sup>3</sup> იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: *Zakharov v. Russia*, No.47143/6, 04.12.2015; *Kennedy v. United Kingdom*, No.26839/05, 18.05.2010; *Huvig v. France*, No.11105/84, 24.04.1990; *lordachi and Others v. Moldova*, No.25198/02, 14.09.2009; *გვასალია, თამარ*, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები (საკანონმდებლო ცვლილებების მიმოხილვა), *ჟურნალი სამართალი და მსოფლიო*, 2 (2015), 188.

<sup>4</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება: *Zakharov v. Russia*, No.47143/6, 04.12.2015, 231-233.

<sup>5</sup> იხ. *ბოდელი, მაკა*, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), 2019, გვ. 366-375.

ლი ორგანოს ჩართვა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია.<sup>6</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული თემის ირგვლივ არსებობს არაერთი მოსაზრება,<sup>7</sup> თუმცა ჯერჯერობით ერთიანი აზრი ჩამოყალიბებული არ არის.

საერთაშორისო მიდგომების თანახმად, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობა შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად: 1. ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე ნებართვის გაცემა, 2. მისი განხორციელების მონიტორინგი და 3. დასრულება-შენეწყვის კანონიერების შემოწმება.<sup>8</sup> ამასთან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ზედამხედველი ორგანოს (თანამდებობის პირის) დამოუკიდებლობის ხარისხიც, მისი არჩევა-დანიშვნის განსაკუთრებული და განსხვავებული წესი, რათა იგი არ გახდეს ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩამტარებელ სუბიექტზე დამოკიდებული.<sup>9</sup>

ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაწყება-აღსრულების მაკონტროლებელ ორგანოდ მიჩნე-

ულია სასამართლო.<sup>10</sup> თუმცა, მოსამართლე არ არის ის სუბიექტი, რომელიც სრულად გააკონტროლებს ამ საგამოძიებო მოქმედებებს.<sup>11</sup> დღეს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს ამის რესურსი არა აქვს.<sup>12</sup> ამდენად, მოსამართლის შესაძლებლობები გადაჭარბებულად არ უნდა შეფასდეს. საჭიროა, სასამართლოს გარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობა შიდა და გარე კონტროლის სხვადასხვა მექანიზმებით განხორციელდეს, რაც ნამდვილად შეუწყობს ხელს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას და ადამიანის უფლებების დაცვას.<sup>13</sup> კონტროლის ერთ-ერთი ასეთი ორგანო პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურია.

აღსანიშნავია, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილება აქვს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს.<sup>14</sup> სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებას და ჩანერას, ინფორმაციის მოხსნას და ფიქსაციას კავშირგაბმულობის არხიდან და კომპიუტერული სისტემიდან, გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრას და ასევე საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლს ექსკლუზიურად ახორციელებს მხოლოდ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო.<sup>15</sup> დასახელებული სტრუქტურაა უფლებამოსილი „ფარული მოსმენების“ განსახორციელებლად ფლობდეს ტექნიკურ საშუალებებს, მოახდინოს სისტემის ნორმალური ფუნქციონირე-

<sup>6</sup> იხ. გეგეშიძე, თამარი, თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, 2021, გვ. 132, [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tamari\\_Gegeshidze.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tamari_Gegeshidze.pdf) (ბოლოს ნანახია: 25.06.2024).

<sup>7</sup> იხ.: Harfield, Clive, *The Governance Of Covert Investigation*, 773-804, [https://law.unimelb.edu.au/\\_data/assets/pdf\\_file/0009/1703529/34\\_3\\_4.pdf](https://law.unimelb.edu.au/_data/assets/pdf_file/0009/1703529/34_3_4.pdf) (ბოლოს ნანახია: 25.06.2024); ხუციშვილი, ილია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამიჯვნასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტები, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი სამართლის მაცნე, 1 (2020), 111-128, <http://heraldoflaw.com/read-book/?ID=1211> (ბოლოს ნანახია: 25.06.2024); გოგინიაშვილი, ნინო, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი, 7 (2023), 80-91; Babikov, Oleksandr, *Distinction Between Covert Investigative (Search) Actions and Operational-Technical Measures and Search Operations (Part 1)*, *Criminal Process*, 2021, 97-102, <http://pgp-journal.kiev.ua/archive/2021/10/16.pdf> (ბოლოს ნანახია: 25.06.2024).

<sup>8</sup> იხ. გეგეშიძე, თამარი, თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, 2021, გვ. 132, 133, [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tamari\\_Gegeshidze.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tamari_Gegeshidze.pdf) (ბოლოს ნანახია: 25.06.2024).

<sup>9</sup> იხ. გეგეშიძე, თამარი, თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, 2021, გვ. 133, [https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tamari\\_Gegeshidze.pdf](https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi5/Tamari_Gegeshidze.pdf) (ბოლოს ნანახია: 25.06.2024).

<sup>10</sup> იხ. ხოდელი, მაკა, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით), 2019, გვ. 369.

<sup>11</sup> იხ. მეურმიშვილი, ბესიკ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო მონიტორინგი: ქართულ სისხლის საპროცესოსამართლებრივ სივრცეში არსებული რეალობა და გამოწვევები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 8 (2023), 57.

<sup>12</sup> იხ. მეურმიშვილი, ბესიკ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო მონიტორინგი: ქართულ სისხლის საპროცესოსამართლებრივ სივრცეში არსებული რეალობა და გამოწვევები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 8 (2023), 57.

<sup>13</sup> იხ. მეურმიშვილი, ბესიკ, ფარული საგამოძიებო მოქმედებების სასამართლო მონიტორინგი: ქართულ სისხლის საპროცესოსამართლებრივ სივრცეში არსებული რეალობა და გამოწვევები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 8 (2023), 57.

<sup>14</sup> იხ. სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილი.

<sup>15</sup> იხ. სსსკ-ის მე-3 მუხლის 32-ე ნაწილი.

ბა და ამისათვის შექმნას შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, განათავსოს შესაბამისი ტექნიკური საშუალებები.<sup>16</sup> ეს პროცესი საიდუმლო ხასიათს ატარებს.<sup>17</sup> აქედან გამომდინარე, არსებობს მოსაზრება, რომ რა ტექნიკურ საშუალებებს შეიძენს და გამოიყენებს ეს სააგენტო არ არსებობს გარე კონტროლის შესაბამისი მექანიზმები.<sup>18</sup> ამასთან, სააგენტო და შესაბამისი საგამოძიებო ორგანო პასუხისმგებელი არიან სათანადოდ დაიცვან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია,<sup>19</sup> რათა არ გამოჟღავნდეს ეს მონაცემები და არ მოხდეს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების დაცული სფეროს ხელყოფა.<sup>20</sup>

თავდაპირველად სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩანერა ხდებოდა ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც ნიშნავდა იმას, რომ ამ საგამოძიებო მოქმედების დასაწყებად საჭირო იყო ორი სუბიექტის თანხმობა. ესენი იყვნენ: სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების და ჩანერის განმახორციელებელი ორგანო და პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორი.<sup>21</sup> ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის

მეშვეობით უნდა გამორიცხულიყო, ინსპექტორის კონტროლის გარეშე „ფარული მოსმენების“ ალბათობა, რაც ერთგვარ გარანტიად მიიჩნეოდა; მაგრამ ეს სისტემა ვერ უზრუნველყოფდა სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადება-ჩანერის სრულ კონტროლს და შესაბამისად, არ იყო გამორიცხული ინსპექტორის ელექტრონული თანხმობისა და მოსამართლის ნებართვის გარეშე „ფარული მოსმენის“ განხორციელება.<sup>22</sup> ინსპექტორი მისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე გასცემდა ელექტრონულ თანხმობას და ამ ფარგლებში ახდენდა მონიტორინგს, რაც ბუნებრივია, არ იყო საკმარისი და არსებობდა შესაძლებლობა იმისა, რომ ინსპექტორის გვერდის ავლით, მის გარეშე ემოქმედა ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩამტარებელ ორგანოს.<sup>23</sup>

მოგვიანებით 2019 წლის მაისში შეიქმნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელსაც დაევალა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე შესაბამისი კონტროლის განხორციელება. ამჟამად, სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებას და ჩანერას აკონტროლებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. კერძოდ, დასახელებული სამსახური ამონებს: კონტროლის ელექტრონული სისტემით – მონაცემთა დამუშავების კანონიერებას; კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემით – მონაცემთა დამუშავების კანონიერებას; დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას (ინსპექტირებას).<sup>24</sup>

გარდა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მონიტორინგს ახორციელებს ასევე: ინფორმაციის მოხსნაზე და ფიქსაციაზე კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული

<sup>16</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის #1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი, მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე და სხვები, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-57.

<sup>17</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის #1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი, მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე და სხვები, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-57.

<sup>18</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის #1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი, მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე და სხვები, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-57.

<sup>19</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>5</sup> მუხლი.

<sup>20</sup> იხ. *მეურმიშვილი, ბესიკ*, წიგნში: რედაქტორი ფაფიაშვილი, ლალი, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი), 2017, გვ. 531.

<sup>21</sup> იხ. *აქუბარდია, ირინა*, კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, საიუბილეო კრებულში: რევაზ გოგუელიძე 65, რედაქტორები: *ხრუსტალი, ვალერი/მეფარიშვილი, ვია*, 2022, გვ. 215; *მეურმიშვილი, ბესიკ*, წიგნში: რედაქტორი *ფაფიაშვილი, ლალი*, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი (კერძო ნაწილი), 2017, გვ. 531.

<sup>22</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის #1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი, მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე და სხვები, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-61.

<sup>23</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის #1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს სახალხო დამცველი, მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე და სხვები, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-61.

<sup>24</sup> იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 54-ე მუხლი.

სისტემიდან და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაციაზე; გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრაზე, ფარულ ვიდეო ანდა აუდიოჩანერაზე, ფოტოგადაღებაზე, საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის კონტროლზე; ტექნიკური საშუალებით ელექტრონული თვალყურის დევნებაზე.<sup>25</sup>

ამასთან, საყურადღებოა კანონში არსებული დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შემონგების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს უფლება აქვს: შევიდეს სააგენტოს შეზღუდული დაშვების არეალში და მიმდინარე რეჟიმში დააკვირდეს უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქმიანობის განხორციელებას; გაეცნოს სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ (მათ შორის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ) სამართლებრივ დოკუმენტებს და ტექნიკურ ინსტრუქციებს; მიიღოს ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მიზნებისთვის გამოყენებული ტექნიკური ინფრასტრუქტურის შესახებ და შეამოწმოს ეს ინფრასტრუქტურა; სააგენტოს მოსამსახურეებს მოსთხოვოს ახსნა-განმარტებები ინსპექტირების განხორციელებისას გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.<sup>26</sup> სააგენტო ასევე ვალდებულია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს სრულყოფილად გადასცეს ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში გააკეთოს შესაბამისი განმარტებებიც.<sup>27</sup>

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს სასამართლო უგზავნის ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ განჩინებას, რომელიც შეიცავს რეკვიზიტებს და სარეზოლუციო ნაწილს; ხოლო მოსამართლის განჩინების ეგზეკუტორი მატერიალური სახით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს წარედგინება დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა.<sup>28</sup>

სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება/ჩანერის შემთხვევაში, მოსამართლის განჩინებას – რეკვიზიტებს და სარეზოლუციო ნაწილს, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო მიღებისთანავე, ელექტრონული სისტემის მეშვეობით აწვდის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, რასაც ადასტურებს აღნიშნული სამსახური და ამის შემდეგ იწყება ფარული საგამოძიებო მოქმედება.<sup>29</sup> საყურადღებოა ასევე ისიც, რომ იმ შემთხვევაში თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური-სათვის ელექტრონული და მატერიალური სახით მიწოდებული მოსამართლის განჩინების რეკვიზიტებში ანდა სარეზოლუციო ნაწილში არის ბუნდოვანება-უზუსტობები ან არ ემთხვევა ერთმანეთს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს ელექტრონული სისტემის მეშვეობით.<sup>30</sup> ამ ვითარების შესახებ, სააგენტო შეატყობინებს პროკურორს, რომელიც თავის მხრივ მიმართავს განჩინების გამომტან სასამართლოს და უზუსტობების აღმოფხვრიდან 24 საათში განჩინება მიეწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.<sup>31</sup>

დაახლოებით ანალოგიურად რეგულირდება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა – ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ პროკურორის დადგენილება, ასევე სასამართლოს განჩინება საგამოძიებო მოქმედების კანონიერად/უკანონოდ ცნობის თაობაზე, რომელიც შეიცავს მხოლოდ რეკვიზიტებსა და სარეზოლუციო ნაწილს, შესაბამისი კონტროლის განსახორციელებლად ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.<sup>32</sup>

აღსანიშნავია, რომ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების შეჩერების საფუძვლებსაც. თუ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს დადგენილი წესის შესაბამისად არ გაეგზავნა მოსამართლის განჩინების მატერიალური ან ელექტრონული ეგზეკუტორები, ასევე პროკურორის დადგენილება; ამასთან თუ სამსახურისათვის მიწოდებული დოკუმენტები შეიცავს ბუნდოვანება-უზუსტობებს ანდა ერთმანეთს

<sup>25</sup> იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 54-ე მუხლი.

<sup>26</sup> იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 54-ე მუხლი.

<sup>27</sup> იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 54-ე მუხლი.

<sup>28</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>29</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილი.

<sup>30</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>4</sup>, მე-5<sup>5</sup> ნაწილები.

<sup>31</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-5<sup>4</sup>, მე-5<sup>5</sup>, მე-5<sup>6</sup> ნაწილები.

<sup>32</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>3</sup> მუხლის მე-6<sup>2</sup>, მე-7 ნაწილები.

არ ემთხვევა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია შეაჩეროს ფარული საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობა.<sup>33</sup> შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის პროცესში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულნი არიან როგორც სასამართლო, ასევე პროკურორი და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომლებიც შესაბამის დოკუმენტებს ელექტრონული და მატერიალური სახით მიაწვდიან პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, რის შემდეგაც ამავე სამსახურის თანხმობით განახლდება ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.<sup>34</sup>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მონიტორინგია დანესებული ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედების დასრულებაზე და ამ მოქმედებათა შედეგად მოპოვებული ინფორმაციის განადგურებაზე. ამ დროს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანო ადგენს ოქმს, რომელიც ეგზავნება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს შესაბამისი კონტროლის განსახორციელებლად.<sup>35</sup>

როგორც ჩანს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური მონიტორინგის თვალსაზრისით, აქტიურად არის ჩართული ფარული საგამოძიებო მოქმედების როგორც საწყის ეტაპზე, ასევე მისი მიმდინარეობის პერიოდში და დასრულებისას. მიუხედავად ამისა, იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრების თანახმად, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებობს ხარვეზები და კონტროლის ის მექანიზმები, რომლებიც გააჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, არ არის საკმარისი. კერძოდ, ფარული ვიდეო-აუდიო ჩანერის, ასევე ფოტოგადაღების დროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს შემონემებისას უფლება არა აქვს ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი ორგანოს ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე გამოითხოვოს ინფორმაცია ამ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირების ვინაობის შესახებ; აგრეთვე მისი შემონემა მოახდინოს ამ მოქმედების განხორციელების პროცესში; ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს უფლება არა აქვს შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელის თანხ-

მობის გარეშე ჰქონდეს წვდომა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკური აღჭურვილობის მახასიათებლებზე.<sup>36</sup>

გარდა ამისა, არაეფექტურად არის მიჩნეული ასევე ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მხრიდან განხორციელებული მონიტორინგი იმ საფუძვლით, რომ ამ სამსახურს მოსამართლის განჩინების ის ნაწილი გადაეცემა, რომელიც შეიცავს რეკვიზიტებს და სარეზოლუციო ნაწილს და არა მთლიანად განჩინება; ამასთან, კონტროლი შეეხება მხოლოდ ამ მოქმედებათა დანყება-ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს; პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის უფლება შეაჩეროს ფარული საგამოძიებო მოქმედება ფორმალურ ხასიათს ატარებს და საწყის ეტაპს მოიცავს; შესაბამისად, აუცილებელია კონტროლის მექანიზმების გაძლიერება განსაკუთრებით ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას და ამ კუთხით მნიშვნელოვანია მოსამართლის როლი კიდევ უფრო ქმედითი გახდეს.<sup>37</sup>

ზემოთ უკვე არაერთხელ აღინიშნა ფარული საგამოძიებო მოქმედებების მონიტორინგი, ერთ-ერთი ურთულესი პროცესია. შესაბამისად, ამ მოქმედებათა მხოლოდ ერთი უწყების მიერ სრულყოფილი კონტროლის განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური სხვა ორგანოებთან ერთად უნდა ახდენდეს ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა ინსპექტირებას. მონიტორინგში ჩართული უნდა იყოს არა მხოლოდ სასამართლო, არამედ სამთავრობო სექტორიც (მაგალითად, პრემიერ-მინისტრის კონტროლი). ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის კონტროლის მექანიზმების ქრონოლოგიურმა განხილვამ ცხადყო, რომ ამ სამსახურის როლი აშკარად გაზრდილია. თუმცა, ამ კუთხით კრიტიკა მაინც არსებობს.

<sup>33</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>34</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-6-მე-13 ნაწილები.

<sup>35</sup> იხ. სსსკ-ის 143<sup>6</sup> მუხლის მე-14 ნაწილი, 143<sup>8</sup> მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>36</sup> იხ. *აქუბარდია, ირინა*, კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, საიუბილეო კრებულში: რევაზ გოგშელიძე 65, რედაქტორები: *ხრუსტალი, ვალერი/მეფარიშვილი*, ვია, 2022, გვ. 216-217.

<sup>37</sup> იხ. *აქუბარდია, ირინა*, კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე, საიუბილეო კრებულში: რევაზ გოგშელიძე 65, რედაქტორები: *ხრუსტალი, ვალერი/მეფარიშვილი*, ვია, 2022, გვ. 218-219.

### III. დასკვნა

ეროვნული კანონმდებლობის, სასამართლო გადამწყვეტილებების და იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების გათვალისწინებით, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური არის ის სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაწყების, ჩატარების და დასრულების ეტაპებზე. მისი როლი არსებითია ინსპექტირების კუთხით; მაგრამ ცალკე აღებული მხოლოდ ეს ორგანო ვერ შექმნის გარე კონტროლის ისეთ სისტემას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ამ პროცესში ბოლომდე ჩართვა. ამის რესურსი დასახელებულ სამსახურს არ გააჩნია. ამასთან, ის კრიტიკული მოსაზრებები რაც ამ სამსახურის მიმართ გაჟღერდა, ქმნის საფრთხეებს, რომ შესაძლოა იგი გახდეს ამ მოქმედებათა დაწყება-ჩატარების მონაწილე სუბიექტი და არა ეფექტური მაკონტროლებელი. აღნიშნული კი ყოველად მიუღებელია. ეს ორგანო დაკარგავს თავის ფუნქციას. გარდა ამისა ფარული საგამოძიებო მოქმედებები ტექნიკური თვალსაზრისით, რთულად ჩასატარებელი მოქმედებებია და შესაბამისად, ისეთმა „ინსპექტირებებმა“, რასაც ზოგიერთი ავტორი ითხოვს, შესაძლოა ხელიც კი შეუშალოს დაგეგმილი მოქმედებების წარმატებით დასრულებას.

ამდენად, კანონმდებელმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს მიანიჭა უფლებათა ის სპექტრი, რომელიც გარე კონტროლის ერთ ნაწილს, მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. ბუნებრივია, ამ მოქმედებათა ჩამტარებელი სუბიექტების საქმიანობა კონტროლის სხვა მექანიზმებითაც (სასამართლო, საპარლამენტო, სამთავრობო, შიდა უწყებრივი) უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მონიტორინგის თვალსაზრისით, ასეთი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს ფარული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების პრინციპის დაცვით დაწყება-ჩატარებას და ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებების დაცვას.



# უფლება არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების გაცნობაზე

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *მორის შალიკაშვილი*, LL.M. (ჰამბურგი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„მეცნიერებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან ის გადაარჩენს ჩვენს ხალხს. თუ ჩვენ მეცნიერება დავკარგეთ და დავივიწყეთ, ქართველი ხალხი დაიღუპება. მეცნიერება ცვლის ადამიანის ბუნებას და ხასიათს. თუ განათლებულია ადამიანი, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს ღვთის, სამშობლოსა და ოჯახის წინაშე“.<sup>1</sup>

*ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*

## I. შესავალი

2023 წლის 16 თებერვალს მიემართეთ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებს განცხადებით და ვითხოვეთ, საჯარო ინფორმაციის სახით, მეცნიერული კვლევისთვის, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ გამოტანილი **დეპერსონალიზებული განაჩენების** გადმოცემა. საქართველოს საერთო სასამართლოებიდან მივიღეთ საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე სხვადასხვა შინაარსის უარის პასუხი, დასაბუთების გარეშე. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „**დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის მიზანს წარმოადგენს რა პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვა სახელმწიფო, პროფესიულ, პირად ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გახმაურების თავიდან აცილება, არ ხორციელდებოდა აღნიშნულ საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების დამუშავება და მათი საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება**“; ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან მოსული პასუხის თანახმად, არასრულწლოვანთა განაჩენების გაცემა „**შესაძლებელია მხოლოდ პროცესის მონაწილე მხარეებზე ან სხვა პირებზე მხარეთა (ერთდროულად ორივე მხარის) წინასწარი წერილობითი თანხმობის წარდგენის შემთხვევაში**“; რუსთავის საქალაქო სასამართლოდან მოსული პასუხის თა-

ნახმად, „**მოთხოვნილი სახით ინფორმაციის მოძიება, დამუშავება მოითხოვს რა დიდ დროს და სასამართლო რესურსს, აღნიშნული კი გამოიწვევს სასამართლოს პარალიზებას, რუსთავის საქალაქო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნა**“; ბათუმის საქალაქო სასამართლოდან მიღებული პასუხის თანახმად, განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, ფორმალურად გაუმართავია, რის გამოც ის არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის უარი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 9 ოქტომბრის **#3/3443-23** გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების გადმოცემაზე შეტანილი სარჩელი.

არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების გადმოცემაზე უარი ორ არგუმენტს შეიცავს: არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის შიში და სასამართლოს საქმიანობის გადატვირთულობა, რაც სასამართლოში არასაკმარისი რესურსის არსებობას უკავშირდება.

სასამართლო განაჩენების გამოთხოვის მიზანი იყო მათი ზოგადი ანალიზი და საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში ამ ანალიზის ინტეგრირება, იმ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამოვლენა, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკაში არსებობს და მათი გამოსწორების თაობაზე მსჯელობის დაწყება.

<sup>1</sup> ამონარიდი 2014 წლის 26 იანვრის საკვირაო ქადაგებიდან. იხ.: <https://www.ambebi.ge/article/95382-patriarki-pulis-da-chama-smis-siqvarulze-ilia-meores-sakvirao-kadageba/> (ბოლოს ნანახია: 04.07.2024).

სტატის მიზანია მსჯელობის გახსნა იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაჩენების, განჩინებების, დადგენილებების სამეცნიერო საზოგადოებისათვის გადაცემა *დეპერსონალიზებული* სახით, მეცნიერული ანალიზისთვის.

## II. მეცნიერების არსი და აკადემიური თავისუფლების მნიშვნელობა

### 1. მეცნიერების არსი

1917 წლის 7 ნოემბერს გერმანელმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა წაიკითხა ლექცია სახელწოდებით „მეცნიერება, როგორც პროფესია“.<sup>2</sup> ვებერმა ისაუბრა მეცნიერებაზე, როგორც იდეაზე, რომლის მიზანია იდეალურ კონცეფციასა და რაციონალურობაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ცვლილებები. ვებერისთვის მეცნიერება არის სამყარო, რომელშიც მას შეუძლია ცოდნის მიღება.<sup>3</sup> ვებერის აზრით მეცნიერება არის ინტელექტუალურ-არისტოკრატიული საქმე (*Eine geistesaristokratische Angelegenheit*).<sup>4</sup>

ზოგადად, მეცნიერების პირველი გააზრება ცოდნას უკავშირდება. ცოდნა „გულისხმობს რაიმე გააზრებულს, მონესრიგებულს, ახსნილს, დასაბუთებულს... მეცნიერებაში უპირველესად იმ ერთობლიობას მოიაზრებენ, რომელიც კვლევითა და სწავლებით მონოდეტულ ცოდნას ქმნის და არა იმას, რაც შეიძლება გვწამდეს ან ფიქრობდეთ“.<sup>5</sup> მეორეს მხრივ, „მეცნიერება არის პროცესი. მეცნიერება კვლევით საზრდოობს. მეცნიერები ცდილობენ, განსაზღვრული და კარგად გააზრებული მეთოდებით სერიოზულად და გეგმიურად, ნაბიჯ-

ნაბიჯ შეიძინონ ცოდნა რაიმე საგნის შესახებ. ამ გაგებით, მეცნიერება არის ჭეშმარიტების ძიება“.<sup>6</sup> სისხლის სამართლის მეცნიერება, რომელშიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაც მოიაზარება, „სოციალური წესრიგის დაცვის უკანასკნელი საშუალებაა (*ultima ratio*). იგი არის ხელისუფლების ყველაზე ბასრი იარაღი“.<sup>7</sup> შესაბამისად, ამ „ბასრი იარაღის“ არასრულწლოვანების მიმართ გამოყენების თაობაზე მეცნიერული კვლევები მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“ ხაზი გაუსვა სამეცნიერო საქმიანობის მნიშვნელობას და განაცხადა, რომ „სამეცნიერო საქმიანობისათვის დამახასიათებელია ამა თუ იმ სფეროში ჭეშმარიტების ძიებისა და შემეცნების პროცესი, მეთოდურად ორიენტირებული კრიტიკული აზროვნება, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გადაცემა. როგორც ვხედავთ, მეცნიერება მოიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კვლევისა და სწავლების კომპონენტებს“.<sup>8</sup> ამავე გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ „კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობა დაუკავშირა არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევებს, არამედ სწავლებას, ცოდნის სხვა ინდივიდებისათვის გადაცემის შესაძლებლობას“.<sup>9</sup> საკონსტიტუციო სასამართლოსთვის სამეცნიერო კვლევა და სწავლება პირდაპირ კავშირშია საზოგადოების კულტურულ ცხოვრებასთან. სამეცნიერო კვლევას და სწავლებას დიდი ზეგავლენა გააჩნია ქვეყნის

<sup>2</sup> *Mehling, Gabriele, Was ist Wissenschaft?*, <https://fis.uni-bamberg.de/server/api/core/bitstreams/33c56bace4d3-4336-afee-f78ee49268ce/content> (ბოლოს ნანახია: 03.07.2024).

<sup>3</sup> *Mehling, Gabriele, Was ist Wissenschaft?*, <https://fis.uni-bamberg.de/server/api/core/bitstreams/33c56bace4d3-4336-afee-f78ee49268ce/content> (ბოლოს ნანახია: 03.07.2024).

<sup>4</sup> [https://www.molnut.uni-kiel.de/pdfs/neues/2017/Max\\_Weber.pdf](https://www.molnut.uni-kiel.de/pdfs/neues/2017/Max_Weber.pdf) გვ. 480. (ბოლოს ნანახია: 03.07.2024).

<sup>5</sup> *მუთჰორსტი, ოლაფ, სამართალმცოდნეობის საფუძვლები. მეთოდი – ცნება – სისტემა*, 2019. გვ. 1.

<sup>6</sup> *მუთჰორსტი, ოლაფ, სამართალმცოდნეობის საფუძვლები. მეთოდი – ცნება – სისტემა*, 2019. გვ. 1.

<sup>7</sup> *ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი. ზოგად ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება*, 2011. გვ. 18.

<sup>8</sup> *ტულუში, თეიმურაზ/ზურჯანაძე, გიორგი/მშვენიერაძე, გიორგი/გოცირიძე, გიორგი/მენაბდე, ვახუშტი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა*, 2013. გვ. 470.

<sup>9</sup> *ტულუში, თეიმურაზ/ზურჯანაძე, გიორგი/მშვენიერაძე, გიორგი/გოცირიძე, გიორგი/მენაბდე, ვახუშტი, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა. 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა*, 2013. გვ. 470.

კულტურულ ცხოვრებაზე. განათლება (მათ შორის, კვლევა და სწავლება), როგორც პროფესიის დაუფლების აუცილებელი წინაპირობა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის შემადგენელი და მნიშვნელოვანი ნაწილია.<sup>10</sup> შესაბამისად, მეცნიერება და სწავლება ეხმარება მოქალაქეს ინტელექტუალურ განვითარებაში, რამაც თავის მხრივ, კულტურულ ცხოვრებაში ამ ადამიანების აქტიურ ჩართულობას უნდა შეუწყოს ხელი.

სამართლის მეცნიერება სოციალური მეცნიერების ნაწილია და მისი მიზანია სოციალური ურთიერთობების რეგულირება.

სამართლის მეცნიერებას ძირითადად სამი ფუნქცია გააჩნია:<sup>11</sup> 1) სამართლის [მათ შორის სასამართლო] პრაქტიკის განტვირთვა – „სამართლის [სასამართლო] პრაქტიკას საშუალება აქვს, დოგმატიკის მიღწევები გამოიყენოს და ამიტომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არ სჭირდება სისტემის ხელახალი შემუშავება. რატომაა ესა თუ ის გადაწყვეტილება სწორი, შეიძლება მარტივად და უხარვეზოდ დასაბუთდეს სამართლის დოგმატიკის მიერ შექმნილი ინსტრუმენტებით“;<sup>12</sup> 2) „სტაბილიზაციის ფუნქცია, რომლის მიხედვით სამართლის [სასამართლოს] პრაქტიკას შეუძლია დოგმატიკურ დისკუსიებში განმტკიცებულ მოსაზრებებს დაეყრდნოს, ეს კი წინადადგმული ნაბიჯია იქითკენ, რომ სამართლის [მათ შორის სასამართლო] პრაქტიკაში წინასწარ განჭვრეტადი და, შესაბამისად, გეგმაზომიერი გადაწყვეტილებები იქნას მიღებული“;<sup>13</sup> 3) „კრიტიკისა და უწყვეტი განვითარების ფუნქცია გულისხმობს, რომ სამართლის დოგმატიკა სამართლებრივ მასალას სისტემურად ანესრიგებს, ამით მას სააშკარაოზე გამოაქვს შიდა ხარვეზები და, ამავედროულად გვიჩვენებს სამართლის მოქმედების ფარგლებს. ეს კი ხარვეზთა გამოსწორების საშუალებას იძლევა. ამ კუთხით სამართლის დოგმატიკის დამსახურება ისიცაა, რომ იგი კარგად და-

მუშავებულ და განხილულ გზებს გვთავაზობს ხარვეზების აღმოსაფხვრელად“.<sup>14</sup>

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების დამუშავებამ, შესწავლამ და ანალიზმა ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტაბილიზაციას, რაც გულისხმობს წინასწარ განჭვრეტადი გადაწყვეტილებების მიღებას, რაც თავის მხრივ სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელი კომპონენტია.

## 2. აკადემიური თავისუფლება

სამეცნიერო საქმიანობა პირდაპირ კავშირშია ამ საქმიანობის თავისუფლებასთან, რომელსაც საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს. საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია. „აკადემიური თავისუფლება სპეციფიკური უფლებაა და დაკავშირებულია სწავლების, სწავლის და კვლევის პროცესში სინამდვილის მეცნიერულ ძიებასთან“.<sup>15</sup> „უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დეკლარაციის თანახმად,<sup>16</sup> „აკადემიური თავისუფლება არის იდეა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების იმ სახეებს და შესაბამის პასუხისმგებლობათა რიგს, რომლებიც განსაზღვრულია უმაღლესი სასწავლებლების, მათი მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და სტუდენტებისთვის და უპირველესად კვლევის, სწავლებისა და სწავლის პროცესის თავისუფლებას გულისხმობს. ამავე დეკლარაციის მიხედვით, „სწავლისა და სწავლების პროცესში მუდმივად უნდა იყოს გათვალისწინებული კვლევის უახლესი შედეგები, რაც სწავლას უფრო სიღრმისეულსა და

<sup>10</sup> *ქანთარია, ბექა*, მუხლი 35, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლება-ნი, 2013. გვ. 424.

<sup>11</sup> *მუთჰორსტი, ოლაფ*, სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი – ცნება – სისტემა, 2019, გვ. 13-14.

<sup>12</sup> *მუთჰორსტი, ოლაფ*, სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი – ცნება – სისტემა, 2019, გვ. 14.

<sup>13</sup> *მუთჰორსტი, ოლაფ*, სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი – ცნება – სისტემა, 2019, გვ. 14.

<sup>14</sup> *მუთჰორსტი, ოლაფ*, სამართალმცოდნეობის საფუძვლები, მეთოდი – ცნება – სისტემა, 2019, გვ. 14.

<sup>15</sup> *ხოფერია, რევაზ*, აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე), საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალი, N 1-2, 2021, 219.

<sup>16</sup> <https://mes.gov.ge/uploads/News/%20deklaracia.pdf> (ბოლოს ნანახია: 04.07.2024).

მრავალფეროვანს გახდის, მეორე მხრივ, კი უფრო მასშტაბურ საზოგადოებრივ დატვირთავს შესძენს სამეცნიერო-კვლევით მიღწევებს, ხელს შეუწყობს სამეცნიერო კვლევის შედეგების ნაყოფიერ გამოყენებას საზოგადოებრივი დანიშნულებით და მათ ადაპტაციას სასწავლო პროგრამაში დასაწერად<sup>17</sup>. მსგავსად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნული დეკლარაციისა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ სწავლებისა და კვლევის თავისუფლებას ცენტრალური მნიშვნელობა მიანიჭა უნივერსიტეტის განვითარებისთვის.<sup>17</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით თავისუფალი მეცნიერება საკვანძო ფუნქციის მატარებელია როგორც ინდივიდის თვითრეალიზაციისთვის, ასევე მთლიანად საზოგადოების განვითარებისათვის.<sup>18</sup>

გერმანიის კონსტიტუცია იცავს მეცნიერებაზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც პირველ რიგში გულისხმობს უნივერსიტეტის ფარგლებში მეცნიერებისა და სწავლების კავშირს, რომელიც ემსახურება სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდებას.<sup>19</sup> გერმანიის კონსტიტუცია მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის 1-ელი წინადადება [ხელოვნება და მეცნიერება, კვლევა და სწავლება თავისუფალია] ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ უნივერსიტეტებს, სადაც კვლევა და სწავლება მიმდინარეობს, ხელი შეუწყოს მეცნიერების ფინანსური, ორგანიზაციული და პროცედურული საკითხების განვითარებაში.<sup>20</sup> გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებელს მოუწოდა დაიცვას აკადემიური თავისუფლება ისეთი საფრთ-

ხეებისაგან, რომელსაც კვლევაზე და სწავლებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია.<sup>21</sup> სახელმწიფოს მიერ მეცნიერების დაცვა, ხელშეწყობა და მხარდაჭერა არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება.<sup>22</sup>

მეცნიერებისა და სწავლების მიზანია ახალგაზრდა თაობისთვის ცოდნის გადაცემა. ცოდნა ეფუძნება დისციპლინის პრაქტიკული და თეორიული ასპექტების გაცნობას და გააზრებას.<sup>23</sup> ფილოსოფოსი მიხეილ პოლანი (Michael Polanyi) ამბობდა, „როცა ცოდნაზე ვსაუბრობ, ყოველთვის ვგულისხმობ როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ ცოდნას“.<sup>24</sup> იურიდიულ მეცნიერებაშიც კანონმდებლობის შექმნა და მისი ცვლილებები მიიღწევა პარლამენტისა და სასამართლოს ერთობლივი საქმიანობით.<sup>25</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობის თანახმად, უნდა ითქვას, რომ **არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების** (პრაქტიკის) გაცნობა და ანალიზი ემსახურება: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, როგორც დარგის განვითარებას; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკის პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას კანონმდებლობაში; მოსამართლის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ინტერპრეტაციის გაგებას;<sup>26</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საუნივერსიტეტო სწავლებაში კვლევის უახლესი შედეგების ინტეგრირებას; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სტუდენტებისათვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიცემას, რაც

<sup>17</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, BVerfG, Beschluss vom 06.03.2020, 1 BvR 2862/16, Rn. 22. [https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/2020/03/rk20200306\\_1bvr286216.html](https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Entscheidungen/DE/2020/03/rk20200306_1bvr286216.html)

<sup>18</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, BVerfGE 35, 79 (113.) – Hochschul-Urteil.

<sup>19</sup> *ხოფერია, რევაზ*, აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე), საკონსტიტუციო სასამართლოს უფრნალი, N 1-2, 2021, 221.

<sup>20</sup> *Mager, Ute*, Das Verhältnis von Steuerung, Freiheit und Partizipation in der Hochschulorganisation aus verfassungsrechtlicher Sicht. In: Ordnung der Wissenschaft 1, 2019, 9.

<sup>21</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, BVerfGE 136, 338, Rn. 76.

<sup>22</sup> *ხოფერია, რევაზ*, აკადემიური თავისუფლება როგორც კონსტიტუციით გარანტირებული უფლება (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი გერმანიის, აშშ-ის და საქართველოს მაგალითზე), საკონსტიტუციო სასამართლოს უფრნალი, N 1-2, 2021, 224.

<sup>23</sup> *Kogge, Werner*, Einführung in die Wissenschaften. Wissenschaftstypen – Deutungskämpfe – Interdisziplinäre Kooperation, 2022, S. 152.

<sup>24</sup> „Wenn ich von Wissen spreche, beziehe ich mich also stets sowohl auf praktische als auch auf theoretische Kenntnisse“, *Polanyi, Michael*, Implizites Wissen, 1985, S. 16.

<sup>25</sup> *Schünemann, Bernd*, სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში, სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებული, რედ. მ. ტურავა, 2013, გვ. 435.

<sup>26</sup> *გვენეტაძე, ნინო/ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, 2005, გვ. 23.

მნიშვნელოვანია როგორც მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებისათვის, ასევე ზოგადად, საზოგადოების განვითარებისათვის; სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს როგორც მეცნიერების პროფესიულ განვითარებას, ასევე სტუდენტებში კრიტიკული და ანალიზზე დაფუძნებული აზროვნების ჩამოყალიბებას; სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მხარეებისათვის განჭვრეტადი გადაწყვეტილების მიღებას, რაც მნიშვნელოვანია სამართლის სტაბილიზაციისათვის; არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების სასამართლო პრაქტიკაში განხორციელების შესწავლასა და სისხლის სამართლის პოლიტიკის გაუმჯობესებას.

### III. არასრულწლოვანთა განაჩენების ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო რეგულირება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება.

2023 წლის 13 ივნისამდე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მესამე პრიმა პუნქტის თანახმად, „ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად ქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში სასამართლოს ვებგვერდზე ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება. სასამართლო გადაწყვეტილებებში შეტანილი პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი წყდება კანონის შესაბამისად“.

2023 წლის 13 ივნისს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მესამე პრიმა პუნქტში შევიდა ცვლილებები.

2024 წლის 29 მაისს კვლავ შევიდა ცვლილება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მესამე პრიმა პუნქტში. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, „სასამარ-

თლოს მიერ ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტის სრული ტექსტი ამ აქტის მიღებისთანავე ხდება საჯარო ინფორმაცია და გაიცემა საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. არავის არა აქვს უფლება, ამ აქტის ტექსტი საჯაროდ გამოაქვეყნოს მისი დეპერსონალიზაციის გარეშე. ამასთანავე, აღნიშნული აქტის დეპერსონალიზებული ტექსტი ამ აქტის მიღების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვებგვერდზე ქვეყნდება. ამ პუნქტის მიზნებისთვის სასამართლო აქტი არის საქართველოს საერთო სასამართლოს მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის, ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება. ამავე პუნქტის მიზნებისთვის სასამართლო აქტის ტექსტის დეპერსონალიზაციაში იგულისხმება მასში მითითებული შემდეგი ინფორმაციის სრული დეპერსონალიზაცია: ა) პირის ვინაობა, სახელწოდება, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი, საიდენტიფიკაციო ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, სამუშაო ადგილისა და დაკავებული თანამდებობის სახელწოდებები; ბ) პირის რეგისტრაციის ადგილის, ადგილსამყოფლის, საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის მისამართები; გ) პირის ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი; დ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული სხვა სახის ისეთი ინფორმაცია, რომელიც პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო“.

ბოლო ერთ წელში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ამ ერთი მუხლის ერთ პუნქტში შესული ცვლილებები აშკარად მიუთითებს სასამართლო განაჩენების გასაჯაროების საკითხის მნიშვნელობაზე და აქტუალობაზე. 2023 წლის 13 ივნისის ცვლილებამ სულ სხვაგვარად ჩამოაყალიბა აღნიშნული ნორმა. ხოლო, 2024 წლის 29 მაისის ცვლილება არ არის დიდად განსხვავებული 2023 წლის 13 ივნისის ცვლილების.

2023 წლის 13 ივნისამდე მოქმედი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ღია და დახურულ სასამართლო სხდომაზე

მიღებული გადაწყვეტილების რეგულირებას ახდენდა. 2023 წლის 13 ივნისის ცვლილების შემდეგ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მესამე პრიმა პუნქტი აღარ შეიცავს რეგულირებას დახურულ სასამართლო სხდომაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების თაობაზე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, კი, არასრულწლოვნის საქმე მხოლოდ დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება. 2023 წლის 13 ივნისის ცვლილების შემდეგ რეგულირების გარეშე დარჩა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნების საკითხი.

„საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილების მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით ღია სასამართლო სხდომაზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი, ხოლო დახურული სხდომის შემთხვევაში – სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერიც ხაზს უსვამს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების პროცესის დახურვის აუცილებლობას, რაც არასრულწლოვნის პირადი მონაცემების გამჟღავნების პრევენციისთვის მნიშვნელოვანია. *არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების* გაცნობა და ანალიზი არასრულწლოვნის პირადი მონაცემების გამჟღავნების შესაძლებლობას არ იძლევა. შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის ჩანაწერს არ ენიშნა აღმდეგება *არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების* გაცნობა და ანალიზი.

**1. არასრულწლოვანთა განაჩენების მიღება, როგორც ინფორმაციის თავისუფლება**

ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას, რომელიც ადამიანს აქვს მინიჭებული როგორც ეროვნული, ისე

საერთაშორისო კანონმდებლობით. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. საქართველოს კონსტიტუციის 18-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებული სახელმწიფო საიდუმლოებად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება, გაცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. აღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ მათ მიზანს არ წარმოადგენს სამეცნიერო და კვლევითი მიზნებისთვის შეიზღუდოს ინფორმაციის, მათ შორის განაჩენების გადაცემა ყოველგვარი პერსონალური ინფორმაციის გარეშე. ამ ნორმების მიზანს წარმოადგენს დაიცვას პირები მათი უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვისგან და არ გახდეს სხვა პირებისთვის ხელმისაწვდომი საჯარო დაწესებულებაში დაცული მათი პირადი ინფორმაცია. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის

28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა. პერსონალური ინფორმაციის დეფინიციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. არასრულწლოვანთა განაჩენი, რომელიც არ შეიცავს პირის მახასიათებელ არცერთ ნიშანს დაუშვებელია მიჩნეულ იქნეს პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციად. ფაქტობრივად, განაჩენები ყოველგვარი პერსონალური მონაცემების გარეშე არის სამეცნიერო მასალა, რომელშიც მოცემულია არაიდენტიფიცირებადი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული და მის მიმართ განხორციელებული სახელმწიფო იძულების ღონისძიება. სამეცნიერო კვლევის ფარგლებში ხდება განაჩენებში არსებული არაპირადი ინფორმაციის განზოგადება და მისი გამოყენება: 1) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გასაუმჯობესებლად წინადადების შეთავაზებით და 2) საუნივერსიტეტო სწავლებაში ინტეგრირებისთვის. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მონაცემთა დეპერსონალიზაციას – „მონაცემთა იმგვარი დამუშავება, როდესაც შეუძლებელია მონაცემთა სუბიექტთან მათი დაკავშირება ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებს ან/და დროს საჭიროებს“. სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი გაცემულ იქნეს დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის შედეგად მიღებული განაჩენები სამეცნიერო და კვლევითი მიზნებისთვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ როცა პერსონალური მონაცემების დეპერსონალიზაცია შესაძლებელია, კანონი უშვებს სასამართლოს აქტების პერსონა-

ლური მონაცემების დაფარვის გზით გაცემას.<sup>27</sup> ამავე გადაწყვეტილების თანახმად, „დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს აქტების როლის და მათში გადმოცემული ინფორმაციის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ სასამართლოს აქტები განეკუთვნება საჯარო დანესებულებაში არსებულ იმ ტიპის ინფორმაციას, რომლის ხელმისაწვდომობის მიმართაც თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივ საკითხს შეეხება“.<sup>28</sup> მართლმსაჯულების ფარგლებში მიღებული აქტები თავისთავად არის საზოგადოების მომეტებული ინტერესის საგანი. ცალსახაა, რომ არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენებისადმი ინტერესი კიდევ უფრო მაღალია, ვინაიდან 2015 წელს მიღებულმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა დაამკვიდრა არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესზე<sup>29</sup> მორგებული განაჩენის სტანდარტი. შესაბამისად, მათ მიმართ მიღებული განაჩენების ანალიზი შესაძლებელს გახდის გარკვეული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას და შემდგომ ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

## 2. საერთაშორისო აქტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სამეცნიერო კვლევების ჩატარების აუცილებლობაზე

საერთაშორისო აქტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სამეცნიერო კვლევების ჩატარების აუცილებლობაზე საუბრობენ. კერძოდ, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავში-

<sup>27</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის 01/376 გადაწყვეტილება „ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 19.

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის 01/376 გადაწყვეტილება „ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 51.

<sup>29</sup> არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესზე დეტალურად იხ.: *შეყილაძე, ხატია*, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, თსუ-ს სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2016, 267-286.

რებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები) გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპების 48-ე მუხლის თანახმად, დაგეგმილ და განხორციელებულ უნდა იქნეს დანაშაულის აღკვეთასთან დაკავშირებული პროგრამები სანდო, სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და პერიოდული მონიტორინგის, შეფასებისა და შესაბამისად, შესწორების საფუძველზე. ამავე დოკუმენტის 64-ე მუხლის მიხედვით, თანამშრომლობა უნდა იქნეს ნახალისებული მეცნიერული კვლევის წარმოებასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენისა და არასრულწლოვნების დანაშაულის აღკვეთის შესახებ ეფექტიანი მიდგომების შემუშავებას, და ასეთი კვლევის შედეგები ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული და შეფასებული.

არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები) გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესების 30-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ძალისხმევა უნდა დაეთმოს არასრულწლოვანთა გადაცდომებისა და დანაშაულის მიმართულებების, პრობლემებისა და მიზეზების, ასევე თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების განსხვავებული მოთხოვნების პერიოდულ შესწავლასა და შეფასებას. ამავე მუხლის კომენტარის მიხედვით, „გამოკვლევის გამოყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის საფუძვლად საყოველთაოდ აღიარებულია მნიშვნელოვან მექანიზმად, რათა პრაქტიკა შეესაბამებოდეს თეორიაში არსებულ მიღწევებს და მოხდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება და გაუმჯობესება. მუდმივი კავშირი გამოკვლევისა და პოლიტიკის შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის. ახალგაზრდების ცხოვრების სტილისა და არასრულწლოვანთა დანაშაულების ფორმისა და სპექტრის სწრაფი და ხშირად სერიოზული ცვლილებების ფონზე საზოგადოებისა და მართლმსაჯულების პასუხი არასრულწლოვანთა დანაშაულსა და გადაცდომებზე მალე ძველდება და ხდება შეუსაბამო. შესაბამისად, არასრულწლოვანთა მოთხოვნების, ასევე სამართალდარღვევების მიმართულებებისა და პრობლემების მუდმივი შეფასება არის სათანადო პოლიტიკის ფორმულირებისა და ჩარევის ფორმების გაუმჯობესების წინაპირობა როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ დონეზე. ამ კონტექსტში პასუხისმგებელმა დაწესებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ დამოუკიდებელი

პირებისა და ორგანოების მიერ კვლევის ჩატარებას; შეიძლება ღირებულ იყოს თავად არასრულწლოვანთა მოსაზრების გაგება და მხედველობაში მიღება; ამასთან მნიშვნელოვანია არა მარტო იმათი აზრი, ვისაც თავად მოუწია მართლმსაჯულების სისტემის მონაწილეად გადაქცევა. დაგეგმარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს უფრო ეფექტურ და სამართლიან სისტემაზე. ამ მიზნით უნდა ჩატარდეს ყოველმომცველი და მუდმივი შეფასება არასრულწლოვანთა მოთხოვნებისა და პრობლემებისა და აირჩეს კონკრეტული პრიორიტეტები“.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი #10 კომენტარის – მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ – 99-ე მუხლის თანახმად, *კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს რეგულარულად შეაფასონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკული განხორციელება, განსაკუთრებით კი, გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა დისკრიმინაციის, რენტეგრაციისა და რეციდივიზმთან მიმართულებაში. სასურველია, თუ ამგვარ შეფასებას ჩატარებენ დამოუკიდებელი აკადემიური ინსტიტუტები. კვლევები, რომლებიც, ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს განვითარებას განრიდების პროგრამების ან მოზარდთა დანაშაულებრივ აქტივობების კუთხით, მიუთითებს წარმატებულ და წარუმატებელ ასპექტებზე.*

როგორც საერთაშორისო სტანდარტებიც ცხადყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარებისათვის სამეცნიერო კვლევების ჩატარება აუცილებელია. აღნიშნული შეუძლებელია არასრულწლოვანთა განაჩენების ანალიზის გარეშე. შესაბამისად, *არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების* გაცნობა და ანალიზი არის საერთაშორისო მოთხოვნათა ერთ-ერთი აუცილებელი პირობა, რომელიც, როგორც აღინიშნა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარებას უწყობს ხელს.



#### IV. საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის – არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების – გაცნობის უფლების შეზღუდვის გააზრება თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი აბსოლუტურად გამორიცხავს დახურულ სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების დეპერსონალიზებული სახით გაცემას, ამით იზღუდება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის, სამეცნიერო კვლევის მიზნით. შესაბამისად, სახეზეა ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ უფლებაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დადგინდეს: 1) არის თუ არა ჩარევა და 2) თუ არის, რამდენად არის ლეგიტიმური, გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული.<sup>30</sup> სტატიის მოცულობის გათვალისწინებით თანაზომიერების პრინციპის მხოლოდ საკითხისადმი მნიშვნელოვან ასპექტებს შევხებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, „თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“.<sup>31</sup>

„თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, დაპირისპირებული ინტერესები, უფლებები ან სამართლებრივი პრინციპები ერთმანეთთან თანხვედრაში შეიძლება მოვიდეს თანაზომიერი შეფასებით, რაც გულისხმობს საკითხის ისეთ გადაჭრას, როცა პრიორიტეტი ენიჭება ისეთი ინტერესის, უფლება-თა-

ვისუფლების ან სამართლებრივი სიკეთის დაცვას, რომელიც უფრო მეტად ღირებულია და აღემატება დაპირისპირებულ სიკეთეს“.<sup>32</sup> საინტერესოა, უფლებამზღუდავი რეგულაცია – ის რომ არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების გაცნობა და მეცნიერული ანალიზი შეუძლებელია, არღვევს თუ არა კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებულ უფლებას? შეიძლება, რომ ერთმანეთს უპირისპირდებოდეს ორი ინტერესი: არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პირადი, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროების რისკი და სამეცნიერო კვლევის განხორციელების მიზნით საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის დეპერსონალიზებული ფორმით გაცნობის უფლება.

უპირველესად, აუცილებელია, შეფასდეს, თუ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება უფლებაშემზღუდველი ღონისძიება – არასრულწლოვანთა განაჩენების დეპერსონალიზებული ფორმით გაცნობა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“.<sup>33</sup>

საინტერესოა, რომელ საჯარო ინტერესს შეიძლება ემსახურებოდეს არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების გაცნობა და ანალიზი. „ლეგიტიმურ მიზანს უნდა ჰქონდეს უფლების შეზღუდვის გამართლების უნარი, ხოლო ამგვარი მიზნები მომდინარეობს დემოკრატიული ღირებულებებისგან, რასაც სახელმწიფო და საზოგადოება ეფუძნება“.<sup>34</sup> ეს შეიძლება იყოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიმსჯელოთ, თუ რამდენად შეიძლება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა იყოს ლეგიტიმური მიზანი,

<sup>30</sup> იზორია, ლევან, მუხლი 7, ისაქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლება-ნი, 2013. გვ. 27.

<sup>31</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 60.

<sup>32</sup> ლოლაძე, ბესიკ/ ფირცხალაიშვილი, ანა, ძირითადი უფლებები, კომენტარი, 2023. გვ. 59.

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის #3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 15.

<sup>34</sup> ლოლაძე, ბესიკ/ ფირცხალაიშვილი, ანა, ძირითადი უფლებები, კომენტარი, 2023. გვ. 63.

აღნიშნული იმთავითვე გამორიცხულია, რადგან *დეკლარაციებზე* განაჩენების გაცნობაზე საუბარი და რისკი იმის, რომ პირადი ცხოვრების უფლება დაირღვეს არ არსებობს. *არასრულწლოვანთა დეკლარაციებზე* განაჩენების ანალიზის დროს ხდება მოსამართლის არგუმენტების შეფასება შემდეგ საკითხებში: სასჯელის ზომის განსაზღვრა, სასჯელის შეფარდების დროს არასრულწლოვანის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გათვალისწინება, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ნორმების გამოყენება, პროცესის მონაწილეების მიერ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის დაცვა, სამართლის ნორმის შეფარდების თავისებურებანი, ზრდასრული პირის გავლენა მოზარდზე, გამამტყუნებელი/გამამართლებელი განაჩენის დასაბუთება<sup>35</sup> და ა.შ. ვინაიდან სამართალი არის შეფასებითი მეცნიერება,<sup>36</sup> ამ ანალიზის დროს მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმის შეფასების შესწავლა და მნიშვნელობის არმქონე ისეთი სახის ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის იდენტიფიცირება. შესაბამისად, *არასრულწლოვანთა დეკლარაციებზე* განაჩენების გაცნობის და ანალიზის დროს არ არის საჭირო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის იდენტიფიცირება და არ ხდება არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევა. შესაბამისად, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვა ვერ იქნება საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის (*არასრულწლოვანთა დეკლარაციებზე* განაჩენების) სამეცნიერო მიზნით გაცნობის შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი. ერთადერთი შემთხვევა შეიძლება იყოს გახმაურებული საქმეები, სადაც *დეკლარაციის* მიუხედავად, მედიაში გაჟღერებული ფაქტებიდან გამომდინარე, მაინც იდენტიფიცირებადი იყოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულების ვინაობა. ასეთ შემთხვევაში, თავად სასამართლომ ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს განაჩენის გაცემა-არგაცემის საკითხი, ანუ სა-

სამართლო გაცემს ან არგაცემს გახმაურებული საქმეების განაჩენს. ეს შესაძლებელია ინდივიდუალურად განაჩენის მიხედვით გადაწყდეს. შესაბამისად, ეს გარემოება ვერ გაამართლებს უფლების – საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის, *დეკლარაციებზე* განაჩენების გაცნობის – აბსოლუტურ, ბლანკეტურ შეზღუდვას.

ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზანი, რაც გაამართლებს უფლების შეზღუდვას, შეიძლება იყოს სასამართლოს გადატვირთულობისაგან დაცვა, რადგან გადაწყვეტილებები უნდა დაიშტრიხოს – *დეკლარაციებზე* განაჩენს – და დიდი რაოდენობით გადაწყვეტილებების მოთხოვნისას, შეიძლება ზედმეტად გადაიტვირთოს სასამართლო. ამ ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით რომელი უფრო ღირებული ინტერესია სასამართლოს გადატვირთულობისაგან დაცვა თუ სამეცნიერო მიზნებისთვის საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, „სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლების ჯეროვანი უზრუნველყოფა ასევე უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულებას, საზოგადოებრივ ზედამხედველობას და სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს აქტების სრული ტექსტი“.<sup>37</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სამართლიანი სასამართლოს უფლების კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები .... უნდა იწვევდნენ სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას საზოგადოების მხრიდან. გამჭვირვალე, სრულყოფილი, ადეკვატური და საკმარისი პროცედურები უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობას, მათ საზოგადოებრივ აღიარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი და, საბოლოო ჯამში, მთლიანად ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და განმტკიცებისათვის“.<sup>38</sup>

<sup>35</sup> გვენეტაძე, ნინო/ტურავა, მერაბ, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, 2005. გვ. 116-121.

<sup>36</sup> ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013. გვ. 38.

<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის 01/376 გადაწყვეტილება „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 47.

<sup>38</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, „საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და, შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას“.<sup>39</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ განაჩენების და მათ შორის არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების გასაჯაროების ლეგიტიმური მიზანი არის: საზოგადოებრივი ზედამხედველობა სასამართლო ხელისუფლებაზე, სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობა და კანონის ნორმატიულ შინაარსთან დაკავშირებული განმარტებები.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ არასრულწლოვანის საქმეზე მიღებული სასამართლოს განაჩენიდან ამონარიდი, რომელიც ცალსახად მიუთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის გამოყენების უხეშ შეცდომაზე, რაც პრაქტიკის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს. საერთო სასამართლოების მიერ არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილ ორ განაჩენში (რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 12 ივნისის განაჩენი და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 18 მარტის განაჩენი) მოსამართლე უთითებს, რომ არასრულწლოვანს განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად შემცირდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი სასჯელის შემცირებას 73-ე მუხლის შესაბამისად უშვებს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემთხვევაში.

*არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების გაცნობა და მეცნიერული ანალიზი მნიშვნელოვანია აღნიშნული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად: სასამართლოს ანგარიშვალდებულება, საზოგადოებრივი ზედამხედველობა სასამართლო*

*ხელისუფლებაზე; საზოგადოების ნდობის ამაღლება და განმტკიცება სასამართლო ხელისუფლებისადმი,<sup>40</sup> საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებული განმარტებების გაცნობა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, როგორც დარგის განვითარება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკის პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და მათი გაუმჯობესება, რაც არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებით არის გათვალისწინებული; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საუნივერსიტეტო სწავლებაში კვლევის უახლესი შედეგების ინტეგრირება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სტუდენტებისათვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზიარება. აღნიშნული ლეგიტიმური მიზნები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სასამართლოს გადატვირთულობის არგუმენტით არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების გაცემაზე უარი.*

## V. დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხორციელებული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ *არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების* გაცნობითა და მეცნიერული ანალიზი არ არღვევს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების უფლებას. ასევე, იმ ლეგიტიმური მიზნების მიღწევა, რომელიც *არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების* გაცნობითა და მეცნიერული ანალიზით არის შესაძლებელი ამჟამად მეტი ღირებულებისაა ვიდრე სასამართლოს გადატვირთულობის არგუმენტით *არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების* გაცემაზე უარი. შესაბამისად, აუცილებელი იქნებოდა *არასრულწლოვანთა დეპერსონალიზებული განაჩენების* გაცემის იმგვარი რეგულირება, რომ მიღებული იყოს: სასამართლოს ანგარიშვალდებულება და საზოგადოებრივი ზედამხედველობა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, როგორც დარგის განვითარებისათვის ხელის შეწყობა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკის პრობლე-

წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 59.

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 16.

<sup>40</sup> შეად., ტურავა, მერაბ, მუხლი 42, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. მეორე თავი. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013. გვ. 534.

მური საკითხების იდენტიფიცირება და მათი გაუმჯობესება, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებით არის გათვალისწინებული; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საუნივერსიტეტო სწავლებაში კვლევის უახლესი შედეგების ინტეგრირება; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სტუდენტებისათვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიცემა.

დღეს არსებული საკანონმდებლო რეგულაციების ანალიზმა როგორც აჩვენა, ყველაზე სამართლიანი გამოსავალი შეიძლება იყოს, თუ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლში ან/და შესაბამისად, „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N1/250 გადაწყვეტილების მეორე მუხლში შეტანილი იქნება შემდეგი სახის დამატება: „დასაშვებია სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის დახურულ სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების *დეკლარაციის* ფორმით გაცემა“.

# თანამონაწილეობის საკითხი დანაშაულის მომზადების სტატიაზე

პროფესორი, სამართლის დოქ. *ნონა თოდუა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## I. შესავალი

სტატიაში განხილულია დანაშაულში თანამონაწილეობასთან დაკავშირებული ერთი დაუმუშავებელი საკითხი. **ისმის კითხვა:** შესაძლებელია თუ არა, ადგილი ჰქონდეს თანამონაწილეობას (როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით) დანაშაულის მომზადების სტადიაზე? კერძოდ: ა) თუ შეიძლება ამ სტადიაზე გაიმიჯნოს ამსრულებელი და თანამონაწილე? ან ბ) დაისვას თანამსრულებლობის (ანუ ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის) საკითხი?

ამ პრობლემის განხილვას დოქტრინაში არა აქვს დათმობილი ყურადღება. ეს არცაა გასაკვირი იმ ქვეყნებთან მიმართებაში (მაგ., გერმანია), სადაც დანაშაულის მომზადება არაა მიჩნეული პრინციპულად დასჯად სტადიად (სხვა საკითხია, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 30 მე-2 პუნქტი,<sup>1</sup> ასევე ის ფაქტი, რომ მათ გსსკ-ის კერძო ნაწილში გათვალისწინებული აქვთ დანაშაულის ფაქტობრივი მომზადების ცალკეული სპეციალური შემადგენლობა). ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც დანაშაულის მომზადებაც დასჯად სტადიადაა აღიარებული (მაგ., საქართველო),<sup>2</sup> ამ საკითხის განხილვას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, როგორც დოგმატური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

საქმე ისაა, რომ თუკი ვაღიარებთ თანამონაწილეობას (როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით) და-

ნაშაულის მომზადების სტადიაზე, მაშინ მთელ რიგ შემთხვევაში (როცა კანონმდებლობით ჯგუფურობა დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა) ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაულის მომზადება, ჩადენილი ამ დამამძიმებელ (მაკვალიფიცირებელ) გარემოებაში – ჯგუფურად (მაგ., მკვლელობის მომზადება, ჩადენილი ჯგუფურად – სსკ-ის 18, 109-ე მუხლი). ეს კი თავის მხრივ გამოიწვევს პირის გაზრდილ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>3</sup> ხოლო თუკი უარს ვიტყვით მომზადების სტადიაზე თანამონაწილეობის შესაძლებლობაზე, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაულის მომზადება, ჩადენილი ამ დამამძიმებელი გარემოების გარეშე, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი დაკვალიფიცირდება დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის მომზადებად (მაგ., სსკ-ის 18, 108-ე მუხლი).<sup>4</sup> შედეგად პირი არ დაექვემდებარება გაზრდილ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. იგივე შედეგს გამოიწვევს ამ საკითხის გადანყვეტა სხვა დანაშაულებთან მიმართებაში, სადაც ჯგუფურობა შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული.

## II. საკითხის სამართლებრივი ანალიზი

იურიდიულ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში სადავო არაა, რომ თანამონაწილეობა შესაძლებელია, არა მხოლოდ დამთავრებული დანაშაულის დროს, არამედ დანაშაულის მცდელობის სტადიაზეც, როცა უკვე დაწყებულია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება.

<sup>1</sup> შემდგომში შემოკლებულია, როგორც გსსკ. იხ. გსსკ-ის § 30 მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენაზე შეთანხმების გარკვეული ფორმები დასჯადია.

<sup>2</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში შემოკლებულია, როგორც სსკ) მე-18 მუხლი, რომლის პირველი ნაწილი გვაძლევს დანაშაულის მომზადების ცნებას: დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრების მძიმე დანაშაულის, აგრეთვე ამავე მუხლის მე-2 ნაწილში ამომწურავად ჩამოთვლილი ზოგიერთი ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადებისათვის.

<sup>3</sup> სსკ-ის 109-ე მუხლი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 16-დან 20 წლამდე, ან უფადო თავისუფლების აღკვეთას.

<sup>4</sup> სსკ-ის 108-ე მუხლი განზრახ მკვლელობისთვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 10-დან 15 წლამდე.

თუმცა ეს საკითხი სხვაგვარად უნდა დადგეს დანაშაულის მომზადების სტადიაზე.

**კერძოდ, საინტერესოა:** რამდენადაა შესაძლებელი დანაშაულის მომზადებაში მონაწილე პირების დაყოფა ამსრულებლებად და თანამონაწილეებად, ასევე თანამსრულებლებად და თანამონაწილეებად?

მიგვაჩნია, რომ ასეთი დაყოფა დოგმატურად შეუძლებელია (სულ მცირე, სადავოა) და ამის მიზეზი არაერთია:

(1) განსხვავებით დანაშაულის მცდელობის სტადიისაგან, მომზადების სტადიის ყველა ფიგურანტი დანაშაულის მომზადებაში უშუალოდ მონაწილე პირია: მომზადებაში უშუალოდ მონაწილეა ის, ვინც მოიფიქრა დანაშაულის ჩადენის გეგმა, შეიძინა სათანადო იარაღი და საშუალება, გადმოიბირა პირი დანაშაულის ჩასადენად, გაანაწილა როლები სავარაუდო ამსრულებლებს შორის და ა.შ. დანაშაულის მომზადებაში უშუალო მონაწილეა ასევე ისიც, რომელიც თანხმობას აცხადებს დანაშაულის ამსრულებლობაზე (ანუ მის უშუალოდ ჩადენაზე), რადგან ასეთი შეთავაზების მიღება და თანხმობის მიცემა კონკრეტული დანაშაულის უშუალოდ ჩადენაზე, ასევე ქმნის პირობებს დანაშაულის ჩასადენად.

შესაბამისად, განსხვავებით მცდელობის სტადიისაგან, შეუძლებელია, ერთი პირი უშუალოდ ამზადებდეს დანაშაულს, ხოლო მეორე სხვაგვარად უწყობდეს ხელს მის მომზადებას ისე, რომ უშუალოდ არ მონაწილეობდეს მომზადების პროცესში. ასეთი რამ შესაძლებელია მცდელობის (და რა თქმა უნდა, დამთავრებული დანაშაულის) სტადიაზე, სადაც, შესაძლოა, ერთი პირი უშუალოდ ასრულებდეს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას (მაგ., მოკვლის მიზნით ტყვია ესროლოს მსხვერპლს), ხოლო მეორე სხვაგვარად უწყობდეს ხელს მკვლელობის ჩადენას (მაგ., ცეცხლსასროლი იარაღი გადასცეს სავარაუდო ამსრულებელს მკვლელობის ჩასადენად), მაგრამ უშუალოდ არ იღებდეს მონაწილეობას მკვლელობის ჩადენაში;

(2) მომზადება ისეთი ქმედების განხორციელებაა, **რაც არ შედის** დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში – იგი ამ შემადგენლობის გარეთ დგას და მხოლოდ პირობებს ქმნის სამომავლოდ (თუნდაც რამდენიმე წუთის შემდეგ) დანაშაულის შემადგენლობის უშუალოდ განხორციელებისათვის.<sup>5</sup>

<sup>5</sup> იმ მოსაზრების კრიტიკის შესახებ, რომლის მიხედვით

შესაბამისად, მომზადებისას **ადგილი არა აქვს** დანაშაულის უშუალოდ ჩადენას (ანუ მისი ობიექტური შემადგენლობის თუნდაც ნაწილის განხორციელებას), რაც საქართველოს სინამდვილეში აუცილებელია ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნისათვის;<sup>6</sup>

(3) აქედან გამომდინარე, მომზადების სტადიაზე შეუძლებელია, მასში მონაწილე პირები დაიყოს ამსრულებლებად და თანამონაწილეებად, რადგან მომზადებასთან მიმართებაში ყველა ფიგურანტი უშუალოდაა ჩართული მის პროცესში, ხოლო შემდგომი სტადია (მცდელობა), ანუ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, ჯერ არაა დაწყებული.

მართალია, შესაძლებელია, პირებს შორის არსებობდეს შეთანხმება, თუ რომელი მათგანი იქნება ამსრულებელი, ხოლო რომელი – თანამონაწილე, მაგრამ ეს მხოლოდ შეთანხმებაა და არა ფაქტი. შესაბამისად, არავინ უწყის, შესრულდება თუ არა იგი სინამდვილეში. არაა გამორიცხული, ამსრულებლის ფუნქცია რეალურად შეასრულოს მომზადებაში მონაწილე სხვა პირმა, რომელთანაც არ ყოფილა ასეთი შეთანხმება. ან ასეთი ფუნქცია შეასრულოს საერთოდ სულ სხვა პირმა, რომელსაც სრულებით არ მიუღია მონაწილეობა ამ დანაშაულის მომზადებაში. ასევე არაა გამორიცხული, მომზადებაში მონაწილე პირები შეთანხმებულები იყვნენ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაზე და საამისად პირებიც უკვე შერჩეული იყოს, მაგრამ ბოლო მომენტში მოხდეს ისე, რომ დანაშაული უშუალოდ მხოლოდ ერთმა პირმა ჩაიდინოს;

(4) საერთოდ, ჯგუფურობა იმიტომაცაა დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება, რომ ამ დროს ადგილი აქვს ორი ან მეტი ამსრულებლის (**და არა ერთ ამსრულებელთან ერთად თანამონაწილის**)

მომზადების სტადიაც შედის დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობაში, იხ. *თოდუა, ნონა*, წიგნში: ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2024, გვ. 497-499.

<sup>6</sup> საკითხზე, თუ რატომაცაა აუცილებელი საქართველოში თანამსრულებლობისთვის ორი ან მეტი უშუალო ამსრულებლის არსებობა (ანუ არანაკლებ ორი პირის მიერ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის თუნდაც ნაწილის განხორციელება), იხ. *თოდუა ნონა*, წიგნში: ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2024, გვ. 500-509; 515-512; ასევე *თოდუა, ნონა*, წიგნში: თოდუა/ივანიძე/ტურავა (რედ.), სისხლის სამართალი, კომენტარი, მე-2 ტომი, 2021, გვ. 408-412.

ძალების გაერთიანებას სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის წინააღმდეგ, რაც უშუალოდ ქმედების ჩადენისას (და არა მანამდე – დანაშაულის მომზადებისას) ამალღებს უმართლობის ხარისხს (ანუ ამალღებს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს).<sup>7</sup> შესაბამისად, ჯგუფურობა, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება, **სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მაშინ**, როცა უკვე დაწყებულია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა და იმნუთიერი (და არა სამომავლო) საფრთხე ექმნება სამართლებრივ სიკეთეს;

(5) გამომდინარე აქედან, არაა მიზანშეწონილი, დანაშაულის მომზადება შეფასდეს, როგორც ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის დაუმთავრებელი სტადია. უფრო სწორი იქნება, იგი შეფასდეს დანაშაულის ძირითადი (მარტივი) შემადგენლობის (მაგ., მკვლელობის ან ქურდობის) მომზადებად – (სსკ-ის 18, 108-ე მუხლი ან 18, 177-ე მუხლის პირველი ნაწილი), თუ სახეზე არაა ამ დანაშაულის სხვა დამამძიმებელი გარემოება, მაგალითად, განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის (სსკ-ის 109-ე მუხლი), ან ვთქვათ, ბინაში უკანონოდ შეღწევით ქურდობის (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი) მომზადება.

განვიხილოთ შესაბამისი მაგალითები.

**პირველი მაგალითი:** პაატამ და გეგამ ივანეს მოკვლა გადაწყვიტეს. ისინი შეუდგნენ მკვლელობის მომზადებას: შეიძინეს დანაშაულის იარაღი; შეისწავლეს ივანეს მოძრაობის მარშრუტი; გაარკვიეს, როდის მოძრაობს იგი მანქანით, ხოლო როდის – ფეხით; დანაშაულის ჩადენის დროზეც შეთანხმდნენ.

როგორც ვხედავთ, სახეზეა მკვლელობის მომზადების სტადია. ამ სტადიაში ორივე მათგანი უშუალოდ მონაწილეობს და იგი იმგვარ ქმედებაში გამოიხატება, რაც არ გვაძლევს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას (ამიტომაც, რომ მომზადება სამართლებრივ სიკეთეს უქმნის არა იმნუთიერ, არამედ მხოლოდ სამომავლო საფრთხეს).<sup>8</sup> მომზა-

დების პროცესში ორივე პირი უშუალოდ რომ არ მონაწილეობდეს, მაშინ თითოეულის ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება მკვლელობის მომზადებად, ასეთად დაკვალიფიცირდება მხოლოდ იმ პირის ქმედება, რომელმაც უშუალოდ მოამზადა იგი.

შესაბამისად, დოგმატურად დასაბუთებულ იქნება, ამგვარ შემთხვევაში თითოეულის ქმედება დაკვალიფიცირდეს მარტივი მკვლელობის მომზადებად (სსკ-ის 18, 108-ე მუხლი) და არა ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობის მომზადებად – ამ ეტაპზე მკვლელობის ჩადენა უშუალოდ ჯერ არაა დაწყებული (ჯერ არაა დაწყებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა). ამდენად, შეუძლებელია იმის კატეგორიული მტკიცება, რომ მას პირთა ჯგუფი ჩაიდენს, რადგან მისი ჯგუფურად ჩადენა მხოლოდ სავარაუდოა.

ქმედების კვალიფიკაცია **არ შეიცვლება იმ შემთხვევაშიც**, როცა პაატა და გეგა შეთანხმებულები იყვნენ მკვლელობის უშუალო ჩადენაზე და ფუნქციებიც წინასწარვე ჰქონდათ განაწილებული – პაატას უნდა გაეკავებინა მსხვერპლი, ხოლო გეგა დანას ჩასცემდა მას.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც სახეზეა მხოლოდ შეთანხმება იმაზე, თუ დანაშაულის მცდელობის სტადიაზე ვინ რა უნდა გააკეთოს, მაგრამ არავინ იცის, დანაშაულის ჩადენისას ორივე მათგანი მართლაც მიიღებს თუ არა უშუალო მონაწილეობას მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაში – ჯერ ასეთი ფაქტი სახეზე არაა.

ამდენად, ამ შემთხვევაშიც მათი ქმედება მარტივი მკვლელობის მომზადებად უნდა დაკვალიფიცირდეს (სსკ-ის 18, 108-ე მუხლი).

**მეორე მაგალითი** (მომზადების სტადიაზე უკვე გამოკვთილია, თუ ვინ იქნება დანაშაულის ამსრულებელი და ვინ – თანამონაწილე): პაატა და გეგა შეთანხმდნენ, ერთად მოეკლათ ივანე. კერძოდ, პაატას ხელი უნდა გაეკავებინა მისთვის, ხოლო გეგა დანას ჩასცემდა მას. მათ დახმარება სთხოვეს დავითს, რომელსაც გაანდეს ჩანაფიქრი. მათი თხოვნით, დავითმა დაამზადა ცივი იარაღი და გადასცა იგი პაატას და გეგას.

მართალია, ამ საქმეში თითქოს აშკარად გამოკვთილია ამსრულებლებიც (პაატა და გეგა) და

<sup>7</sup> იხ. *თოდუა, ნონა* წიგნში: ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2024, გვ. 534; 551-552.

<sup>8</sup> დანაშაულის მომზადების სამართლებრივი ბუნების საკითხზე იხ. *წერეთელი, თინათინ*, სისხლის სამართლის პრობლემები, პირველი ტომი, 2007, გვ. 377-405; *გამყრელიძე, ოთარ*, სისხლის სამართლის პრობლემები, მე-3 ტომი, 2013, გვ. 236-242; *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის

გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 21-34; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 304-308.

თანამონაწილედ (დავითი), მაგრამ დოგმატურად მაინც არ იქნება მართებული, ეს ქმედება შეფასდეს ჯგუფურად ჩადენილი მკვლელობის მომზადებად.

საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაშიც **სამივე პირის ქმედება** დანაშაულის მომზადებას წარმოადგენს. კერძოდ, **პაატა და გეგა** მკვლელობის ჩასადენად მოემზადნენ იმით, რომ არა მხოლოდ შეთანხმდნენ მის ჩადენაზე, არამედ ფუნქციებიც გაინაწილეს (ვის რა უნდა გაეკეთებინა უშუალოდ მკვლელობის ჩადენისას), ასევე დავითისგან მიიღეს დანაშაულის იარაღი (დანა).

**რაც შეეხება დავითს**, მანაც მოამზადა მკვლელობა იმით, რომ დაამზადა მკვლელობის იარაღი და შეგნებულად გადასცა იგი სავარაუდო ამსრულებლებს – პაატას და გეგას.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პაატამ და გეგამ მეტი წვლილი შეიტანეს დანაშაულის მომზადების საქმეში, ვიდრე დავითმა, ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდო ამსრულებლებიც უკვე გამოკვეთილია, ეს არ ცვლის საქმის არსს, რადგან სამივე მათგანი მკვლელობის მომზადების უშუალო ფიგურანტია (სხვა საკითხია, რომელმა მათგანმა შეიტანა მეტი წვლილი მასში, რაც სსკ-ის 57-ე მუხლის საფუძველზე მხედველობაში მიიღება მათ მიმართ სასჯელის დანიშვნისას. ასევე სხვა საკითხია, თუ ვინაა მოაზრებული სავარაუდო ამსრულებლად).<sup>9</sup>

გამომდინარე აქედან, გაუმართლებელი იქნება, პაატა და გეგა ჩავთვალოთ ჯგუფური მკვლელობის მომზადების ამსრულებლებად, ანუ თანამსრულებლებად (სსკ-ის 18, 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), ხოლო დავითი – ჯგუფური მკვლელობის მომზადების თანამონაწილედ (სსკ-ის 18, 25, 109-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტი):

(ა) ვინაიდან მომზადების სტადიაზე ჯერ საბოლოოდ არაა გარკვეული, უშუალოდ ერთი პირი ჩაიდენს მკვლელობას, თუ ორივე (პაატა და გეგა); (ბ) უფრო მეტიც, არავინ უწყის, საერთოდ მივა თუ არა საქმე დანაშაულის უშუალოდ ჩადენამდე; (გ) ვინაიდან ამ ეტაპზე სამივე მათგანის ქმედება მხოლოდ პირობებს ქმნის მკვლელობის ჩასადენად, დოგმატურად დასაბუთებული და უფრო გამართლებული იქნება, თითოეულის ქმედება დაკვალიფიცირდეს

<sup>9</sup> სსკ-ის 57-ე მუხლის არსზე იხ. *ივანიძე მათა*, წიგნში: *ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2024, გვ. 660-662.*

მარტივი მკვლელობის მომზადებად (სსკ-ის 18, 108-ე მუხლი).

**მესამე მაგალითი** (ბოლო მომენტში მოხდა ისე, რომ დანაშაული უშუალოდ ერთმა პირმა ჩაიდინა):

პაატა, გეგა და დავითი ბინის ქურდობაზე შეთანხმდნენ. მათ შეისწავლეს ბინის პატრონის მარშრუტი, მოიმარაგეს კარის გახსნისთვის საჭირო საშუალება და შუა ღამით, როცა ბინაში არავინ იმყოფებოდა, გაემართნენ შემთხვევის ადგილისკენ. შეთანხმებისამებრ, პაატა და გეგა უნდა შესულიყვნენ ბინაში და გამოეტანათ ნივთები (სავარაუდო ამსრულებლები), ხოლო დავითი ავტომანქანით დაელოდებოდა მათ კორპუსის გარეთ, რათა ნაქურდალი ნივთები გადაეტანათ უსაფრთხო ადგილას (დამხმარე).

პაატა და გეგა შევიდნენ სადარბაზოში და გაემართნენ ბინის შესასვლელი კარისკენ, მაგრამ მოულოდნელად გეგამ კატეგორიული უარი განაცხადა კარის გახსნასა და ბინაში შეღწევაზე,<sup>10</sup> რაც იმით ახსნა, რომ ეშინოდა და ერჩია, დავითთან ერთად დამდგარიყო კორპუსის გარეთ. ამიტომ იგი უკან დაბრუნდა. პაატას მარტო მოუწია ბინის კარის გახსნა და ბინაში შეღწევა. იგი რამდენიმე საათში ნაქურდალი ნივთებით დაბრუნდა უკან,<sup>11</sup> სადაც მას ელოდებოდნენ გეგა და დავითი. მათ სამივემ ნაქურდალ ნივთებთან ერთად ავტომანქანით დატოვეს იქაურობა.

როგორც ვხედავთ, ქურდობის ობიექტური შემადგენლობის (ანუ მცდელობის) დაწყებამდე, რამდენიმე წუთით ადრე (ანუ ჯერ კიდევ მომზადების სტადიაზე), ერთ-ერთმა სავარაუდო (და არა რეალურმა) ამსრულებელმა უარი თქვა ამსრულებ-

<sup>10</sup> საქართველოს საკანონმდებლო რეალობიდან გამომდინარე, ბინის ქურდობის მცდელობა იწყება არა საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში შესვლის, ან თუნდაც ბინის კართან მისვლის მომენტიდან, არამედ ბინის კარის გახსნის დაწყების მომენტიდან. იხ. *თოდუა ნონა*, წიგნში: *ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2024, გვ. 500-504.*

<sup>11</sup> საქართველოს საკანონმდებლო რეალობიდან გამომდინარე, ბინის (ან სხვა დაცული ობიექტის) ქურდობა დამთავრებულად ითვლება ბინაში არსებული ნივთების არა ხელში ჩაგდებას მომენტიდან (ეს მცდელობის სტადიაა), არამედ ბინიდან ამ ნივთების გამოტანის მომენტიდან, ანუ **ნივთის დაუფლების** მომენტიდან, როცა დამნაშავეს მისი განკარგვის შესაძლებლობა მიეცემა (იხ. *თოდუა ნონა*, წიგნში: *თოდუა (რედ.)*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე, 2023, გვ. 29-31; 33.).



ლობაზე და თანამონაწილის ფუნქციის შესრულება ამჯობინა.

ამდენად, დანაშაულის მომზადებაში მონაწილე პირთაგან კერძოდ რამდენი იქნება ამსრულებელი, ხოლო რამდენი – თანამონაწილე, ეს საკითხი **ზუსტად გაირკვევა მაშინ**, როცა დაინყება დანაშაულის მცდელობა, ანუ როცა დაინყება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება. მაინამდე იგი მხოლოდ სავარაუდოა.

აქედან გამომდინარე, დანაშაულის მომზადების სტადიაზე არ უნდა დავსვათ მომზადების პროცესში მონაწილე პირთაგან ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნისა და ამ ფაქტის ქმედების კვალიფიკაციაში ასახვის საკითხი, რადგან ამის გადანყვეტა მხოლოდ მცდელობის სტადიაზე შესაძლებელი, ხოლო მომზადების სტადიაზე იგი მხოლოდ სავარაუდოა.

შესაბამისად, არ უნდა დავსვათ თანამსრულებლობის საკითხი და ქმედება არ უნდა დავაკვალიფიციროთ ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის მომზადებად. როგორც წესი (თუ სახეზე არაა სხვა დამამძიმებელი – მაკვალიფიცირებელი გარემოება, მაგ., ბინაში შეღწევით ქურდობის მომზადება), ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის მომზადებად.

გასაზიარებელია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შემდეგი მოსაზრება: ამსრულებლის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ან მისი განხორციელების მცდელობის გარეშე დანაშაულში თანამონაწილეობა არ არსებობს.<sup>12</sup>

როგორც ვხედავთ, ამ მოსაზრებაში ხაზგასმას გაკეთებულია დანაშაულის შემადგენლობის ან მთლიანად, ან მის ნაწილობრივ განხორციელებაზე – დამთავრებულ დანაშაულზე, ან დანაშაულის მცდელობაზე (და არა დანაშაულის მომზადებაზე). ამით კი არაპირდაპირ ნათქვამია ის, რომ მომზადების სტადიას არ ახასიათებს თანამონაწილეობა (არც ფართო და არც ვიწრო გაგებით).

მხედველობიდან არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის მომზადება ეკუთვნის ანმყოს (იგი დროის მოცემულ მონაკვეთში ხდება), ხოლო დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად ეკუთვნის მომავალს, კერძოდ, მცდელობის სტადიას – ჩაიდენს თუ არა დანაშაულს პირთა ჯგუ-

ფი, ეს საკითხი უდავოდ გადანყდება მომავალში, როცა დაინყება ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება. მხოლოდ მცდელობის დროს გამოიკვეთება, პირთა ჯგუფიდან კერძოდ ვინ ასრულებს ობიექტური შემადგენლობის ნაწილს მაინც, ხოლო ვინ უწყობს ხელს დანაშაულის ჩადენას სხვაგვარად (მაგ., დამხმარის ფუნქციის შესრულებით) ისე, რომ არ ასრულებს მის ნაწილსაც კი. მომზადების სტადიაზე ეს საკითხი მხოლოდ სავარაუდოა, რადგან ჯერ არაა დაწყებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა.<sup>13</sup>

### III. სასამართლო პრაქტიკა

საინტერესოა, როგორია სასამართლო პრაქტიკა დანაშაულის მომზადების სტადიისას თანამონაწილეობის საკითხზე?

მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითი:

2016 წელს, ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე ყაჩაღობის მომზადების ფაქტზე, რაც ჩადენილი უნდა ყოფილიყო ბინაში უკანონოდ შეღწევით, ჯგუფურად და რომლის მიზანი იყო დიდი ოდენობით სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება (ბრალდებულს მოვიხსენიებთ შერქმეული სახელით).<sup>14</sup>

#### საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში:

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისათვის ნასამართლევა გიორგიმ გადანყვიტა ერთ-ერთ სოფელში მცხოვრებ ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის მოწყობა. ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის იგი ცდილობდა, მოეძებნა თანამზრახველები. ამ მიზნით დაუკავშირდა პირს (ვინმე დათოს), რომელთანაც ერთად იხდიდა სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში და გაანდო ჩანაფიქრი.

დათოს არ სურდა ამ საქმეში გარევა და ყველაფერი შეატყობინა პოლიციას. დაიგეგმა სპეც. ოპერაცია. კერძოდ, პოლიციის რამდენიმე თანამშრო-

<sup>13</sup> არ უნდა დავგავიწყდეს, რომ განსხვავებით გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობისაგან, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული ისეთი სპეციალური ნორმა, რაც დაანესებდა პასუხისმგებლობას პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენაზე შეთანხმებისათვის.

<sup>14</sup> 2016 წლის მაისში გამოტანილი ამ განაჩენის ასლი მოგვეწვინა დაშიფრული სახით, რის გამოც საქმის ნომერს ვერ ვუთითებთ.

<sup>12</sup> იხ. ნაჭყებია, გურამი, წიგნში: ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2024, გვ. 436.

მელი, როგორც ვითომც ქურდული სამყაროს წევრები, დათომ შეხვედრა გიორგის, რომელსაც უკვე მოფიქრებული ჰქონდა ჯგუფური ყაჩაღობის გეგმა, რაც გააცნო „ამსრულებლებს“. მანვე თავისთავზე აიღო თავდასხმისათვის საჭირო იარაღებითა და საშუალებით (რეზინის ხელთათმანი, ე.წ. „სკოჩი“) მათი მომარაგება. სამჯერ შეხვდა „თავდამსხმელებს“, დაათვალიერებინა თავდასხმის ობიექტის ადგილმდებარეობა და გააცნო სახლის სქემა. ასევე გადასცა მათ ცეცხლსასროლი იარაღი (ე.წ. რკინა) რაც უნდა გამოეყენებინათ თავდასხმისას. იგი შეუთანხმდა „თავდამსხმელებს“ (სინამდვილეში პოლიციის თანამშრომლებს) თავდასხმის დროზე და დანიშნულ დროს ავტომობილით მართლაც მივიდნენ შესაბამის სახლთან, რა დროსაც დაკავებულ იქნენ პოლიციის თანამშრომლების მიერ.<sup>15</sup>

როგორც ვხედავთ, გიორგიმ ორგანიზება გაუკეთა ყაჩაღობას. კერძო, მან მოაწყო იგი – შეადგინა თავდასხმის გეგმა, გამოძებნა თავდასხმისათვის საჭირო იარაღი და საშუალება, გამოძებნა „ამსრულებლები“, დაგეგმა თავდასხმის ზუსტი დრო, მისი დეტალური გეგმა გააცნო „ამსრულებლებს“, გადასცა მათ დანაშაულის იარაღი და საშუალება, ავტომანქანით გაჰყვა მათ შემთხვევის ადგილამდე.

თუმცა როგორც შემდგომ გაირკვა, გიორგიმ მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ფაქტობრივად ვერ შეძლო ყაჩაღობის ორგანიზება, რადგანაც საქმეში არ არსებობდა ყაჩაღობის ამსრულებლები (თუნდაც ერთი ამსრულებელი) – ისინი მხოლოდ გიორგის წარმოდგენაში არსებობდნენ.

ეს საქმე საინტერესოა როგორც წარუმატებელი ნაქეზებისას (ამ შემთხვევაში კი, წარუმატებელი ორგანიზებისას) ქმედების კვალიფიკაციის თვალსაზრისით (სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილი),<sup>16</sup> ისე მომზადების სტადიაზე ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაციის თვალსაზრისით.

<sup>15</sup> იხ. განაჩენი, გვ. 1-4.

<sup>16</sup> ამჯერად არაა ჩვენი განხილვის საგანი სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის დანაწესი, რომლის მიხედვით: თუ ამსრულებელს დანაშაული არ დაუმთავრებია, თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება დანაშაულის მომზადებაში ან დანაშაულის მცდელობაში თანამონაწილებისათვის. დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად.

ამჟამად ჩვენ მას განვიხილავთ დანაშაულის მომზადების სტადიაზე ქმედების ჯგუფურად კვალიფიკაციის შესაძლებლობის კუთხით.

ამ საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი იმ ნაწილში, სადაც ქმედება დაკვალიფიცირდა როგორც ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის მომზადება, დოგმატურად დაუსაბუთებელია. მართალია, გიორგისა და ორი სავაუდო ამსრულებლის (საქმეში ჩანერგილი პოლიციელების) შეთანხმების მიხედვით ყაჩაღობა უშუალოდ ამ ორ პირს უნდა ჩადენინა, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ შეთანხმება იყო – ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობა – თავდასხმა, ჯერ არ იყო დაწყებული (რაც ყაჩაღობის შემთხვევაში სსკ-ის 179-ე მუხლის მიხედვით დამთავრებულ დანაშაულს გვაძლევს).<sup>17</sup> შესაბამისად, ჯერ მხოლოდ ვარაუდი არსებობდა დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის თაობაზე, რადგან არავინ იცის, რეალურად განხორციელდებოდა თუ არა იგი ჯგუფურად (სხვა საკითხია, რომ წარუმატებელი ორგანიზების გამო, მოცემულ მაგალითში მას საერთოდ არ ეწერა განხორციელება).<sup>18</sup> ამდენად, სასამართლოს გადანყვეტილება დოგმატურად გამართული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი ბრალდებიდან ამორიცხავდა მითითებას ჯგუფურობაზე, რაც არ გაკეთებულა.

#### IV. დასკვნა

**დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი:** მართალია, შესაძლებელია, დანაშაულს ამზადებდეს პირთა ჯგუფი, მაგრამ ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ამზადებენ ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთია დანაშაულის მომზადება ჯგუფურად, ანუ ჯგუფის მიერ

<sup>17</sup> ყაჩაღობის სამართლებრივ არსზე იხ. *ლექციები ვილი, მზია/თოდუა, ნონა*, წიგნში: თოდუა (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე, 2023, გვ. 52-63.

<sup>18</sup> წარუმატებელი (ანუ ხელმოცარული) ნაქეზებისა და ორგანიზების საკითხზე იხ. *მჭედლიშვილი-ჭედრიძი, ქეთევან*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 230-232; ნაჭყებია, გურამ/თოდუა, ნონა, წიგნში: ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2024, გვ. 475-476; ასევე *თოდუა, ნონა* წიგნში: წიგნში: თოდუა/ივანიძე/ტურავა (რედ.), სისხლის სამართალი, კომენტარი, მე-2 ტომი, 2021, გვ. 446-447.

(რაც შესაძლებელია და უდავოა), ხოლო სულ სხვაა იმ დანაშაულის მომზადება, რაც ჩადენილი იქნება ჯგუფურად (ანუ ორი ან მეტი ამსრულებლის მიერ).

ის ფაქტი, რომ პირთა ჯგუფი ამზადებს დანაშაულს, უდავოდ **არ ნიშნავს იმას**, რომ ისინი ამზადებენ **ჯგუფურად ჩადენილ** დანაშაულს – იქნება თუ არა დანაშაული ჩადენილი ჯგუფურად, ეს საკითხი ნათელი გახდება მაშინ, როცა განხორციელდება მცდელობის სტადია, რა დროსაც გამოიკვეთება, უშუალოდ ერთი ამსრულებელი სჩადის მას, თუ პირთა ჯგუფი.

# პირობითი მსჯავრის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი (საკანონმდებლო სრულყოფისათვის)

ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქ. *იოსებ ვარძელაშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## I. შესავალი

პირობითი მსჯავრი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სისხლის სამართალში. პირობითი მსჯავრი და მასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალურია არა მხოლოდ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, არამედ სასამართლო პრაქტიკაშიც. პირობითი მსჯავრის დანიშვნის წესი რამდენჯერმე შეიცვალა და ახლებურად ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში<sup>1</sup> ბოლო დროს შესული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, პირობითი მსჯავრის დანიშვნა აიკრძალა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულის დროს. სტატიის მიზანია განხილულ იქნას პირობითი მსჯავრის დანიშვნის დღეს მოქმედი რედაქცია, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულის დროს პირობითი მსჯავრის დანიშვნის აკრძალვას ეხება, ვინაიდან პირობითი მსჯავრის დეტალური განხილვა ცალკე ვრცელ მსჯელობას მოითხოვს.

## II. პირობითი მსჯავრის არსი

პირობითი მსჯავრის დანიშვნის განხილვამდე, სასურველია განმარტებულ იქნას პირობითი მსჯავრი. პირობითი მსჯავრის ცნება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ჩამოყალიბებული არ არის. პირობითი მსჯავრი განმარტებულია სისხლის სამართლის თეორიაში.

პირობითი მსჯავრი არის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება, რომელიც მსჯავრდებულს აძლევს შესაძლებლობას, გამოსაცდელ ვადაში დაამტკიცოს, რომ მისი გამოსწორებისათვის არაა საჭირო დანიშნული სასჯელის რეალურად მოხდა<sup>2</sup>.

პროფ. *გიორგი ტყეშელიაძე* სასჯელსა და პირობით მსჯავრს შორის განსხვავებას სასჯელის ინდივიდუალიზაციის სტადიაში ხედავს.<sup>3</sup>

პირობითი მსჯავრი განაჩენის აღსრულების ან სასჯელის მოხდის განსაკუთრებული სახეა<sup>4</sup>.

პირობითი მსჯავრი გერმანულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში შემდეგნაირად არის განმარტებული: „პირობითი მსჯავრი გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული სანქციის აღსრულებაზე უარი თქმას“.<sup>5</sup>

სსკ-ის მე-40 მუხლში ამომწურავად არის ჩამოთვლილი სასჯელის სახეები. ამ ჩამონათვალში არ გვხვდება პირობითი მსჯავრი. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირობითი მსჯავრი არ არის სასჯელის სახე. უნდა აღინიშნოს, რომ პირობითი მსჯავრის დანიშვნის წინაპირობა არის სასჯელის დანიშვნა. სასამართლო თავდაპირველად ნიშნავს სასჯელს (მაგ. ჯარიმა, შინაპატიმრობა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა) და ამის შემდეგ დანიშნულ სასჯელს გადააქცევს პირობით მსჯავრად. სასამართლო პირობით მსჯავრთან ერთად დანიშნავს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაში პირობით მსჯავრდებულმა უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ პირობითი მსჯავრის ცნება. პირობითი მსჯავრი ეს არის სისხლისსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც გულისხმობს სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის პირობით გამოუყენებლობას.

<sup>1</sup> შემდგომში შემოკლებული, როგორც სსკ.

<sup>2</sup> იხ. რედ. *ნაჭყეაძე, გურამ/თოდუა, ნონა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2016, გვ. 526.

<sup>3</sup> იხ. *ტყეშელიაძე, გიორგი*, პირობითი მსჯავრის ზოგიერთი საკითხი, *ჟურნალი საბჭოთა სამართალი*, 1964, #5, 19.

<sup>4</sup> იხ. *Шаргородский, М.Д.*, Наказание по советскому уголовному праву, 1958, გვ. 156.

<sup>5</sup> იხ. *Weigelt, Enrico*, Bewähren sich Bewährungsstrafen? – Eine empirische Untersuchung der Praxis und des Erfolgs der Strafaussetzung von Freiheits- und Jugendstrafen, 2009, გვ. 1.

### III. პირობითი მსჯავრის დანიშვნის საფუძველი

სსკ-ის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად. როგორც ვხედავთ, პირობითი მსჯავრის დანიშვნის წინაპირობა არის საპროცესო შეთანხმების გარეშე. აღნიშნული საკითხი განხილული იქნება მოგვიანებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ მიუთითებს, თუ რომელი სასჯელი შეიძლება ჩაითვალოს პირობითად. მაგალითად, შესაძლებელია თუ არა ჯარიმის, შინაპატიმრობის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პირობითად ჩათვლა? თუ შესაძლებელია მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის ჩათვლა პირობითად? როგორც ეს გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის<sup>6</sup> 56-ე პარაგრაფის თანახმად, სასამართლოს შეუძლია სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა გადააქციოს პირობით მსჯავრად.<sup>7</sup> გსსკ-სგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ამგვარი შეზღუდვა არ არსებობს. სსკ-ის მიხედვით, შესაძლებელია არა მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის პირობითად გამოყენება, არამედ ჯარიმის, შინაპატიმრობის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პირობითად ჩათვლა.

როგორც უკვე აღინიშნა, პირობითი მსჯავრის გამოყენება ძირითადად, საპროცესო შეთანხმების არსებობისას ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმება იდება პროკურორთან და შემდეგ შესაძლებელია პირობითი მსჯავრის გამოყენება. ამდენად, საპროცესო შეთანხმების გარეშე, მოსამართლე შეზღუდულია პირობითი მსჯავრის დანიშვნის უფლებამოსილებით.

პირობითი მსჯავრის მუხლი პროკურორის სისხლისსამართლებრივი დევნის ე.წ. დისკრეციულობის პარალელურად, სამოსამართლეო უფლებამოსილე-

ბების შემცირების ხარჯზე, მატერიალურ სისხლის სამართალშიც ამკვიდრებს პროკურორის ჰეგემონიას.<sup>8</sup> იმის, გათვალისწინებით, რომ სასჯელის დანიშვნის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ სასამართლოს, ხოლო პირობითი მსჯავრის დანიშვნის წინაპირობა არის სასჯელის დანიშვნა, საპროცესო შეთანხმების გარეშეც უნდა იყოს შესაძლებელი მოსამართლის მიერ პირობითი სასჯელის გამოყენება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული გარემოებები და აღნიშნულის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესახებ.

### IV. პირობითი მსჯავრის დანიშვნის აკრძალვა

სსკ-ის 63-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა არასრულწლოვნის მიმართ ჩაიდინა ამ კოდექსის 137-ე-139-ე, 141-ე და 253-ე-255<sup>2</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, დანიშნული სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლა დაუშვებელია (საპროცესო შეთანხმების შემთხვევაშიც). აღნიშნული აკრძალვა 2020 წლამდე სსკ-ში არ არსებობდა. სტატიის ძირითადი მიზანია აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების განხილვა და მისი ანალიზი. ამდენად, პირობითი მსჯავრის (სრულად) დანიშვნა დაუშვებელია არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ შემდეგ დანაშაულებზე: გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში, გარყვნილი ქმედება, პროსტიტუციაში ჩაბმა, პროსტიტუციის ხელშეწყობა, პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება, არასრულწლოვნის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში და არასრულწლოვნისთვის შეხვედრის შეთავაზება სექსუალური მიზნებისთვის.

თავდაპირველად განვიხილოთ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ სქესობრივ დანაშაულებზე

<sup>6</sup> შემდგომში შემოკლებული, როგორც გსსკ.

<sup>7</sup> იხ. გსსკ-ის 56-ე პარაგრაფი.

<sup>8</sup> იხ. ტურავა, მერაბი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, 2013, გვ. 365.

პირობითი მსჯავრის დანიშვნის აკრძალვის საკითხი. იურიდიულ ლიტერატურაში სქესობრივი დანაშაულები იყოფა ორ ჯგუფად: 1) ძალმომრეობითი დანაშაულები (სსკ 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლები) და 2) არაძალმომრეობითი დანაშაულები (სსკ 140-ე და 141-ე მუხლები).<sup>9</sup> აღნიშნული დანაშაულებიდან პირობითი მსჯავრის სრულად გამოყენება დაუშვებელია არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ოთხ დანაშაულზე. ესენია: გაუპატიურება (სსკ 137-ე მუხლი), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება (სსკ 138-ე მუხლი), პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება (სსკ 139-ე მუხლი) და გარყვნილი ქმედება (სსკ 141-ე მუხლი). თუმცა საინტერესოა ის, რომ აღნიშნული აკრძალვა არ ვრცელდება სსკ-ის 140-ე მუხლზე, რომელიც გულისხმობს სექსუალური ხასიათის შეღწევას თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში. არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ძალადობრივ სქესობრივ დანაშაულებზე პირობითი მსჯავრის (სრულად) დანიშვნის აკრძალვა ლოგიკური და მისაღებია, თუმცა საინტერესოა რატომ აკრძალა კანონმდებელმა არაძალადობრივი სქესობრივი დანაშაულებიდან მხოლოდ გარყვნილ ქმედებაზე (სსკ 141-ე მუხლი) პირობითი მსჯავრის დანიშვნა? რატომ არ ვრცელდება იგივე აკრძალვა სსკ-ის 140-ე მუხლზე (სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში)? მიზანშეწონილია შევადაროთ ერთმანეთს სსკ-ის 140-ე და 141-ე მუხლები. სსკ-ის 140-ე მუხლი გულისხმობს სრულწლოვნის სექსუალური ხასიათის შეღწევას დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში. ხოლო, სსკ-ის 141-ე მუხლი გულისხმობს ძალადობის გარეშე სრულწლოვანის გარყვნილ ქმედებას დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ. როგორც ჩანს, ამ ორ დანაშაულს შორის მსგავსება ის არის, რომ ორივე დანაშაული ძალადობის გარეშე ხორციელდება. ამასთან, ორივე დანაშაულის ამსრულებელი არის სრულწლოვანი პირი, ხოლო დაზარალებული თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი. რაც შეეხება განსხვავებას, სსკ 140-ე მუხლის დროს, ადგილი აქვს სექსუალური ხასიათის შეღწევას, ხოლო 141-ე მუხლის (გარყვ-

ნილი ქმედება) შემთხვევაში ადგილი არ აქვს სექსუალური ხასიათის შეღწევას. გარყვნილი ქმედება შეიძლება გამოიხატოს ფიზიკურ შეხებაში ან ინტელექტუალურ გარყვანაში (სექსუალურ საკითხებზე საუბარი). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სსკ 140-ე მუხლი (სექსუალური ხასიათის შეღწევა დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში) უფრო მძიმე დანაშაულია, ვინაიდან ადგილი აქვს თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში შეღწევას, ვიდრე სსკ 141-ე მუხლი, რომელიც გარყვნილ ქმედებას გულისხმობს, რა დროსაც ადგილი არ აქვს შეღწევას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაუგებარია თუ რატომ აკრძალა კანონმდებელმა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების დროს პირობითი მსჯავრის დანიშვნა და იგივე აკრძალვა არ შეახო სსკ 140-ე მუხლს, რომელიც უფრო მძიმე დანაშაულად ითვლება.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, კანონმდებლობით აკრძალა პირობითი მსჯავრის (სრულად) დანიშვნა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ისეთ დანაშაულზე, როგორცაა არასრულწლოვნისთვის შეხვედრის შეთავაზება სექსუალური მიზნებისთვის (სსკ 255<sup>2</sup> მუხლი). აღნიშნული დანაშაული გულისხმობს სრულწლოვნის მიერ წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლი პირისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შეხვედრის შეთავაზებას მის მიმართ ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით. ამდენად, თუკი ადგილი აქვს სრულწლოვნის მიერ თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლი პირისათვის შეხვედრის შეთავაზებას, სსკ 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით, პირობითი მსჯავრის დანიშვნა დაუშვებელია, ხოლო სსკ 140-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში პირობითი მსჯავრის (სრულად) დანიშვნა დასაშვებია. გამოდის, რომ სსკ 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (სექსუალური ხასიათის შეღწევა დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში) მომზადების (რომლის სპეციალურ ნორმას წარმოადგენს სსკ 255<sup>2</sup> მუხლი) შემთხვევაში პირობითი მსჯავრის დანიშვნა დაუშვებელია, ხოლო დამთავრებული დანაშაულის (სსკ 140-ე მუხლი) შემთხვევაში დასაშვებია. ამდენად, ამ მხრივაც არსებობს გარკვეული შეუსაბამობა და შესაბამისად

<sup>9</sup> იხ. წულაია, ზაური, სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი 1, მეორე გამოცემა, 2003, გვ. 181.

პირობითი მსჯავრის დანიშვნის აკრძალვა საკანონმდებლო ცვლილებას საჭიროებს. აღნიშნული ხარვეზი გასწორდება იმ შემთხვევაში, თუ სსკ-ის 63-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილს დამატება სსკ 140-ე მუხლიც და პირობითი მსჯავრის (სრულად) დანიშვნა დაუშვებელი იქნება არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ყველა სქესობრივ დანაშაულზე (არ აქვს მნიშვნელობა ძალადობრივი სქესობრივი დანაშაული იქნება, თუ არაძალადობრივი).

## V. პირობითი მსჯავრის დანიშვნა საპროცესო შეთანხმების გარეშე

პირობითი მსჯავრის დანიშვნა შესაძლებელია ორ შემთხვევაში: 1) საპროცესო შეთანხმებით; 2) საპროცესო შეთანხმების გარეშე – სასამართლოს ინიციატივით. საპროცესო შეთანხმების არსებობისას, პირობითი მსჯავრის დანიშვნა შესაძლებელია ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულის შემთხვევაში, გარდა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულის დროს. აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით პირობითი მსჯავრის დანიშვნის აკრძალვაზე დეტალური მსჯელობა იყო ზემოთ. ამჯერად, განხილული იქნება პირობითი მსჯავრის დანიშვნის საკითხი საპროცესო შეთანხმების გარეშე.

სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული და იგი აღიარებს ან/და თანამშრომლობს გამოძიებასთან, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ მსჯავრდებულმა წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. როგორც ვხედავთ, სასამართლოს გამონაკლისის სახით შეუძლია საკუთარი ინიციატივით დანიშნოს პირობითი მსჯავრი. თუმცა, ზოგიერთი მეცნიერი განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს. მაგალითად, პროფ. ნ. თოდუა, მიუთითებს, რომ პირობითი მსჯავრის გამოყენების აუცილებელი წინაპირობა არის საპროცესო შეთანხმების არსებობა, თუნდაც პირი წარსულში სრულებით არ იყოს ნასამართლევი, ხოლო ამჟამად კი ჩადენილი ჰქონდეს ნაკლებად მძიმე დანაშაული ან

სულაც გაუფრთხილებელი დანაშაული.<sup>10</sup> აღნიშნული მოსაზრება არ უნდა იქნას გაზიარებული, რადგან სსკ 63-ე მუხლის მე-3 ნაწილი არ მიუთითებს საპროცესო შეთანხმების არსებობაზე, განსხვავებით ამავე მუხლის პირველი ნაწილისაგან, სადაც პირობითი მსჯავრის დასანიშნად აუცილებელია საპროცესო შეთანხმება.

სსკ 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლოს უფლება აქვს დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად, თუ სახეზე იქნება სამი ნიშანი ერთდროულად. ეს ნიშნებია: 1) მსჯავრდებულს ჩადენილი უნდა ჰქონდეს განზრახი ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაული; 2) მსჯავრდებულმა უნდა აღიარებდეს ან თანამშრომლობდეს გამოძიებასთან; 3) მსჯავრდებულმა წარსულში ნასამართლევი არ უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის. ამ სამი ნიშნიდან თუ რომელიმე არ გვაქვს, სასამართლოს უფლება არ აქვს საკუთარი ინიციატივით დანიშნოს პირობითი მსჯავრი. მაგალითად, თუ მსჯავრდებულმა ჩაიდინა მძიმე დანაშაული, სასამართლოს უფლება არ აქვს დანიშნოს პირობითი მსჯავრი, ვინაიდან პირველი ნიშანი არ გვაქვს სახეზე. შესაძლებელია პირველი ნიშანი გვექონდეს, მაგალითად, ჩადენილი იყოს ნაკლებად მძიმე დანაშაული, მაგრამ მსჯავრდებულმა არ აღიარებდეს ან არ თანამშრომლობდეს გამოძიებასთან. ამ შემთხვევაშიც, სასამართლოს არ აქვს უფლება დანიშნოს პირობითი მსჯავრი, რადგან მეორე ნიშანი გამოირიცხება. ამასთან, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენას, მსჯავრდებულმა აღიარებდეს დანაშაულს, მაგრამ წარსულში ნასამართლევი იყოს განზრახი მძიმე დანაშაულისათვის, მაგალითად, ჩადენილი ჰქონდეს ყაჩაღობა. ამ შემთხვევაშიც გამოირიცხება პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესაძლებლობა. საინტერესოა ისეთი შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულს ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, აღიარებს დანაშაულს, წარსულში ნასამართლევი იყო განზრახი მძიმე დანაშაულისათვის, თუმცა ნასამართლობა აქვს გაქარწყლებული. აქვს თუ არა უფლება სასამართლოს, საკუთარი ინიციატივით

<sup>10</sup> იხ. რედ. ნაჭყებია, გურამ/თოდუა, ნონა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2016, გვ. 528; თოდუა, ნონა, პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 382.

დანიშნოს პირობითი მსჯავრი? რა თქმა უნდა აქვს, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მოხსნილი ან გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება. ამასთან, სიტყვამ „ნარსულში“ შესაძლებელია ნორმის სხვადასხვაგვარი განმარტება განვიხილოთ. შეიძლება აღნიშნული ნორმა იმდაგვარად იქნას განმარტებული, რომ თუ მსჯავრდებული ნარსულში ნასამართლევი იყო განზრახი დანაშაულისათვის, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნასამართლობა გაქარწყლებული, პირობითი მსჯავრის დანიშვნა დამაბრკოლებელი გახდეს. ასეთი განმარტება არ იქნება სწორი, ვინაიდან თუ ნორმა არ არის ცხადი და მკაფიო, მისი განმარტება უნდა მოხდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. კარგი იქნება, თუ კანონმდებელი სსკ-დან ამოიღებს სიტყვას „ნარსულში“ და მიეთითება მხოლოდ შემდეგნაირად: მსჯავრდებული ნასამართლევი არ უნდა იყოს განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულისათვის.

სსკ-ის 63-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებული ნარსულში ნასამართლევი იყო ორი ან მეტი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის, დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა დაუშვებელია. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, მაგალითად, თუ მსჯავრდებულს ნარსულში ჩადენილი ჰქონდა ორი განზრახი დანაშაული (ქურდობა და თაღლითობა), არ აქვს მნიშვნელობა დანაშაულის კატეგორიას და ნასამართლობა არ არის მოხსნილი ან გაქარწყლებული, სასამართლოს უფლება არ აქვს საკუთარი ინიციატივით დანიშნოს პირობითი მსჯავრი. როგორც უკვე აღინიშნა, სიტყვამ „ნარსულში“ შესაძლებელია სხვადასხვაგვარი განმარტება გამოიწვიოს, შესაბამისად, უმჯობესი იქნება, თუ ის ამოღებული იქნება სსკ-დან და მიეთითება მხოლოდ „ნასამართლევი იყო“.

## VI. დასკვნა

სტატიაში განხილული იქნა პირობითი მსჯავრის დანიშვნის ზოგიერთი საკითხი. ყურადღება იქნა გამახვილებული პირობითი მსჯავრის არსზე, მისი დანიშვნის წინაპირობებზე. ნაშრომში აღინიშნა, რომ მიზანშეწონილია გაიზარდოს სასამართლოს უფლებამოსილება პირობითი მსჯავრის დანიშვნისას. ძირითადი აქცენტი გაკეთებული იქნა პირობითი მსჯავრის დანიშვნის აკრძალვაზე. კერძოდ,

სსკ-ში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, პირობითი მსჯავრის დანიშვნა აკრძალა არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში. მაგალითად, არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების დროს აკრძალულია დანიშნული სასჯელის სრულად პირობითად ჩათვლა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია სრულწლოვნის სექსუალური ხასიათის შელწევა დამნაშავესთვის წინასწარი შეცნობით თექვესმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში, რომელიც გარყვნილ ქმედებაზე უფრო მძიმე დანაშაულია (მით უფრო უნდა იყოს აკრძალული პირობითი მსჯავრის გამოყენება), პირობითი მსჯავრის დანიშვნა შესაძლებელია. ამდენად, სსკ-ის 63-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილი ხარვეზიანია და შესწორებას საჭიროებს.